

**ეზბაკი და უფალი**

**ღმართი**

*სამი მოქმედება და თერთმეტი სურათი*

ფრანგულიდან თარგმნა

მზია ბაქრაძემ

რედაქტორი

დავით წერედიანი

დამდგმელი რეჟისორი — ლუი ჟუვე  
მხატვარი — ფელიქს ლაბისი

მთავარ როლებს ასრულებენ:

გეცი - პიერ ბრასერი

ჰაინრიხი — ჟან ვილარი

ნასტი — ანრი ნასიე

ტეტცელი — ჟან ტულო

კარლი — რ.ჟ. შოფარი

ჰილდა — მარია კაზარესი

კატერინა — მარი ოლივიე

## პირველი მოქმედება

### სურათი პირველი

მარცხნივ, ცასა და მიწას შორის, მოჩანს არქიეპისკოპოსის სასახლის დარბაზი. მარჯვნივ - ეპისკოპოსის სახლი და ციხე-სიმაგრის გალავანი. ფარდის გახსნისას მხოლოდ სასახლის დარბაზია განათებული. სცენის დანარჩენი ნაწილი ჩაბნელებულია.

### სცენა პირველი

არქიეპისკოპოსი - (ფანჯარაში იხედება.) ნუთუ აღარ მოვა? ჩემი ქვეშევრდომების ხელმა ოქროს მონეტებზე ჩემი გამოსახულება გაცვითა და გალია, შენმა უღმობელმა ხელმა კი მე თვითონ გამლია, უფალო! მთავარეპისკოპოსის აჩრდილილა დავრჩი. დღევანდელმა სალამომ დამარცხების ამბავი თუ მომიტანა, აჩრდილიც აღარ დავრჩები და რალად გინდა, უფალო, კაცთაგან უხილავი მღვდელმთავარი? (შემოდის მსახური.) ვინ არის, პოლკოვნიკი ლინეჰარტი?

მსახური — არა, ბანკირი ფუკრი გეახლათ და გთხოვათ...

არქიეპისკოპოსი — მოიცადოს. (პაუზა.) ლინეჰარტი არ გამოჩენილა? ახალი ამბები უნდა მოეტანა, როგორ იგვიანებს. (პაუზა.) სამზარეულოში რა ხდება, მხოლოდ მაგ ბრძოლაზე ლაპარაკობენ?

მსახური — მხოლოდ მაგ ბრძოლაზე, მონსენიორ.

არქიეპისკოპოსი — რაო, მაინც, რას ამბობენ?

მსახური — იმას, რომ ყველაფერი ჩინებულად დაიწყო, რომ კონრადი მთასა და მდინარეს შორის გვყავს გამომწყვდეული, რომ...



**არქიეპისკოპოსი** — ვიცი, ვიცი. მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ხომ შეიძლება, ყველაფერი ცუდად შეტრიალდეს.  
**მსახური** — მონსენიორ...

**არქიეპისკოპოსი** — გასანი! (*მსახური გადის.*) ღმერთო, ასე რისთვის დავისაჯე? ჩემს მინებზე მტერი დათარეშობს, ვორმსი კი, ჩემი კეთილი ქალაქი, ამიჯანყდა. სანამ კონრადს ვეომებოდი, ზურგში დანა ჩამცა! რას წარმოვიდგენდი, უფალო, თუ ასეთ განსაცდელს მიმზადებდი? ნუთუ, ბავშვის ხელით კარიკარ სატარებელი უსინათლო მათხოვარი გინდა გავხდე? ცხადია, შენს ნებას ვერ გადავალ და, თუ მაინცდამაინც ასე გსურს, აღსრულდეს ნება შენი. ოღონდ გვეედრები, უფალო, ნუ დაივიწყებ, რომ ოცი წლისა აღარა ვარ და წამებულის გვირგვინი არასოდეს მიძებნია.

*შორიდან ისმის შეძახილები: „გამარჯვება, გამარჯვება“; შეძახილები ახლოვდება. არქიეპისკოპოსი სმენად იქცევა და გულზე ხელს მიიდებს.*

**მსახური** — (*მემოსვლისთანავე.*) გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ! მტერი განადგურებულია, მონსენიორ. პოლკოვნიკი ლინეჰარტი გეახლათ.

**პოლკოვნიკი** (*მემოდის.*) — გავიმარჯვეთ, მონსენიორ, განსაცვიფრებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. ეს დღე ისტორიაში ჩაინერება. მტერმა ექვსი ათასი კაცი დაკარგა, ბრძოლის ველზე დახოცილი თუ მდინარეში დამხვრჩალი. ვინც გადარჩა, თავქუდმოგლეჯილი გარბის.

**არქიეპისკოპოსი** — გმადლობ, უფალო! კონრადისა რა იცი?

**ლინეჰარტი** — ისიც დახოცილთა შორისაა.

**არქიეპისკოპოსი** — გმადლობ, უფალო! (*პაუზა.*) თუ მართლა მკვდარია, შემინდვია. (*ლინეჰარტს.*) შენ კი ჩემი ლოცვა-კურთხევა მიიღე. წადი და ყველას უამბე, რაც მოხდა.

**ლინეჰარტი** — (*იჭიმება.*) ის-ის იყო მზე ამოინვერა, მტერის ღრუბელი რომ შევამჩნიეთ...

**არქიეპისკოპოსი** — (*ანწყვეტინებს.*) არა, არა! წვრილმანები საჭირო არ არის. სწორედ რომ წვრილმანები არ არის საჭირო. გამარჯვების დანწრილმანებულ აღწერას რომ იწყებენ, კაცი იბნევა: გამარჯვება დამარცხებისაგან ველარ გაურჩევია. მითხარი, ხომ ნამდვილად გავიმარჯვეთ?

**პოლკოვნიკი** — უზადო გამარჯვება იყო. ხელოვნების ნიმუში.

**არქიეპისკოპოსი** — ახლა წადი, მინდა ვილოცო. (*პოლკოვნიკი გადის. არქიეპისკოპოსი კეკვას იწყებს.*) გავიმარჯვე, გავიმარჯვე! (*ხელი გულთან მიაქვს.*) ოჰ! (*მუხლს იდრეკს სალოცავ სკამზე.*) აბა,

ვილოცოთ!

*ნათდება სცენის მარჯვენა მხარე. ციხე-სიმაგრის გალავნის ზემო ნაწილი. ჰაინცი და შმიტი ქონჯურებიდან გადმოხრილან.*

**ჰაინცი** — შეუძლებელია, შეუძლებელი. ღმერთი ამას არ დაუშვებს.

**შმიტი** — დაიცა, ისევ თავიდან იწყებენ. შეხედე, ერთი, ორი, სამი... სამი... და ერთი, ორი, სამი, ხუთი...

**ნასტი** — (გამოჩნდება გალავანზე.) რა ხდება?

**შმიტი** — ნასტი! ძალიან ცუდი ამბავია.

**ნასტი** — ღვთის რჩეულთათვის ცუდი ამბები არ არსებობს.

**ჰაინცი** — უკვე ერთ საათზე მეტია, ცეცხლით ნიშანს იძლევიან. ისევ და ისევ იმეორებენ. აჰა, შეხედე: ერთი, ორი, სამი და ხუთი. (მთაზე მიანიშნებს.) არქიეპისკოპოსმა ბრძოლა მოიგო.

**ნასტი** — ვიცი.

**შმიტი** — მდგომარეობა უიმედოა. ვორმსში გამოგვიმწყვდიეს. აღარც მოკავშირეები, აღარც სურსათი. შენ კი გვაიმედებდი, გეცი დაიღლება და ალყას მოხსნისო, კონრადი არქიეპისკოპოსს გაანადგურებსო. არადა, ხომ ხედავ, კონრადმა ჭირი მოგვჭამა, ხოლო არქიეპისკოპოსის არმია გეცის არმიას შეუერთდება ჩვენი გალავნის კედლებთან. სიკვდილის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია.

**გერლახი** — (შემორბის.) კონრადი დამარცხდა. ბურგმაისტერი და მრჩევლები რატუმაში შეიკრიბნენ და ბჭობენ.

**შმიტი** — დასწყევლოს გამჩენმა! ალბათ იმაზე მსჯელობენ, როგორ ჩაბარდნენ.

**ნასტი** — ღმერთი ხომ ყველას გნამთ, ძმებო?

**ყველა** — კი, ნასტი, გვნამს.

**ნასტი** — მაშ, ნურაფრისა შეგეშინდებათ. კონრადის დამარცხება ზეგარდმო ნიშანია.

**შმიტი** — ზეგარდმო ნიშანი?

**ნასტი** — დიახ, ღმერთი ნიშანს მაძლევს. გერლახ, სასწრაფოდ გაიქეცი რატუმაში და ეცაღე გაიგო, საბჭომ რა გადაწყვიტა.

*გალავნის კედლები ღამეში უჩინარდება.*

**არქიეპისკოპოსი** — (წამოდგება.) ჰეი, შემოდი. (მსახური შემოდის.) ბანკირს დამიძახე. (ბანკირი შემოდის.) დაჯექი ბანკირო. მთლად ტალახში ამოსვრილხარ. საიდან მოდიხარ?

**ბანკირი** — 36 საათია გზაში ვარ. მინდოდა ჩამომესწრო, ვიდრე რაიმე საშინელებას ჩაიდენდით.

**არქიეპისკოპოსი** — საშინელებას?

**ბანკირი** — ვშიშობ, იმ ქათამს არ წააგდებინოთ თავი, ყოველწლიურად ოქროს კვერცხს რომ გიღებთ.

**არქიეპისკოპოსი** — ვერ გავიგე, რას მეუბნები.

**ბანკირი** — ვორმსზე მოგახსენებთ. ხმა დადის, ალყაში მოგიქცევიათ: თუ თქვენი ჯარისკაცები ქალაქს დაარბევენ, თქვენც დაიქცევით და მეც დამაქცევთ. თქვენს ასაკში ომობანას თამაში ნამდვილად აღარ შეგფერით.

**არქიეპისკოპოსი** — კონრადი მე არ გამომიწვევია.

**ბანკირი** — მჯერა. ალბათ ასეა. მაგრამ ვერაეინ დამარწმუნებს, რომ მისგან თქვენი გამოწვევა თქვენივე გამოწვეული არ იყო.

**არქიეპისკოპოსი** — კონრადი ჩემი ვასალი გახლდათ და მორჩილება მართებდა, მაგრამ სატანამ ჩააგონა, რაინდები ააჯანყე და სათავეში ჩაუდგეო.

**ბანკირი** — რაზე ვერ შეთანხმდით, რა სურდა, სანამ აგეშლებოდათ?

**არქიეპისკოპოსი** — უკლებლივ ყველაფერი სურდა.

**ბანკირი** — კარგი, კონრადს თავი დაუანებოთ. ცხადია, რაკი დამარცხდა, დამნაშავეც ის არის, მაგრამ თქვენი ქალაქი ვორმსი...

**არქიეპისკოპოსი** — ვორმსი ჩემი განძია, ჩემი სიყარული. როგორც კი კონრადმა საზღვარი გადმოლახა, უმადური ვორმსიც იმ დღესვე ამიჯანყდა.

**ბანკირი** — დიდად დაუშავებია. თქვენი შემოსავლის სამ მეოთხედს აკი ვორმსიდან იღებთ. ახლა ვინ რაღას გადაგიხდით? ვინ დამიბრუნებს გაცემულ თანხებს, თუ მოხუცი ტიბერიუსის მსგავსი მდიდრები ამოხოცეთ?

**არქიეპისკოპოსი** — მღვდლებს სდევნიდნენ, აიძულეს მონასტრებს შეფარებოდნენ. ჩემი ეპისკოპოსი შეურაცხყვეს, საეპისკოპოსოდან გამოსვლა აუკრძალეს.

**ბანკირი** — ეგ უმნიშვნელო წვრილმანებია! ისინი თავისით არასოდეს აჯანყდებოდნენ, თქვენ აიძულეთ. ძალმომრეობა იმას არგია, ვისაც დასაკარგავი აღარაფერი აქვს.

**არქიეპისკოპოსი** — ახლა რას ითხოვ?

**ბანკირი** — მათ შეწყალებას. ხარკი შევანეროთ და ამით გავათავოთ.

**არქიეპისკოპოსი** — ვაი რომ...

**ბანკირი** — რატომ ვაი რომ?

**არქიეპისკოპოსი** — მე მიყვარს ვორმსი, ბანკირო, უხარკოდაც შევიწყალებდი.



**ბანკირი** — მაშ, რაღას უცდით?

**არქიეპისკოპოსი** — ქალაქი ალყაში მე არ მომიქცევია.

**ბანკირი** — მაშ, ვინ მოაქცია?

**არქიეპისკოპოსი** — გეცმა.

**ბანკირი** — გეცი ვინლაა, კონრადის ძმა?

**არქიეპისკოპოსი** — დიახ, და მთელ გერმანიაში საუკეთესო მხედართმთავარი.

**ბანკირი** — მერედა, რა ესაქმება თქვენი ქალაქის კედლებთან? ის ხომ თქვენი მტერია?

**არქიეპისკოპოსი** — მართალი ვითხრა, არც მე ვიცი, ვინაა გეცი. ჯერ კონრადის მოკავშირე იყო და ჩემი მტერი, შემდეგ ჩემი მოკავშირე გახდა და კონრადს უმტრო. ამჟამად... ძალზე ცვალებადი ზნე სჭირს, სხვა რომ აღარაფერი ვთქვა.

**ბანკირი** — კი მაგრამ რაში დაგჭირდათ ასეთი საეჭვო მოკავშირე?

**არქიეპისკოპოსი** — არჩევანის დრო აღარ მქონდა. კონრადი და გეცი ერთად შემოიჭრნენ და ჩემი მიწები მიიტაცეს. ბედად, გავიგე, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო და გეცს ჩუმად დავირდი, ჩემს მხარეზე თუ გადმოხვალ, შენი ძმის მიწებს შენ მოგცემ-მეთქი. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ომი კარგა ხნის წაგებული მექნებოდა.

**ბანკირი** — ისიც ადგა და თავის ჯარებიანად თქვენს მხარეზე გადმოვიდა? მერე? მერე რა მოხდა?

**არქიეპისკოპოსი** — ზურგის დაცვა დავავალე. ეტყობა, მობეზრდა. საგარნიზონო ცხოვრება გულზე არ ეხატება. ერთ მშვენიერ დღესაც თავისი ჯარი ვორმსის გალავანთან მოიყვანა და ჩემს დაუკითხავად ქალაქს ალყა შემოარტყა.

**ბანკირი** — უბრძანეთ... (*არქიეპისკოპოსი ნალვლიანად იღიმება და მხრებს იჩეჩავს.*) არ გემორჩილებათ?

**არქიეპისკოპოსი** — ვინახავთ სადმე, რომ საომარი მოქმედების დროს გენერალი სახელმწიფოს მეთაურს დამორჩილებოდეს?

**ბანკირი** — მოკლედ, ჩაჭერილი ჰყოლიხართ.

**არქიეპისკოპოსი** — საქმეც ეგ არის.

*გალავანი ნათდება.*

**გერლახი** — (*შემოდის.*) საბჭომ ვადაწყვიტა გეცს პარლამენტარები გაუფავნოს.

**ჰაინცი** — ასეც ვიცოდი. (*პაუზა.*) ლაჩრები!

**გერლახი** — ჩვენი ერთადერთი შანსია - გეცმა მიუღებელი პირობები წამოაყენოს. თუ მართლა ისეთია, როგორსაც ამბობენ,

შენყალვას არ უნდა ველოდეთ.

**ბანკირი** — იქნებ დაინდოს ქალაქი და არ გაძარცვოს?

**არქიეპისკოპოსი** — ვშიშობ, არც ადამიანებს დაინდობს.

**შიტი** — (გერლახს.) რატომ გგონია? რატომ?

**არქიეპისკოპოსი** — უსაზარლესი ჯურის ნაბიჭვარია, მეტადრე დედის მხრიდან. ბოროტების ჩადენა გულს უხარებს.

**გერლახი** — ო, ეგ ღორის დინგი! ნაბუშარი! ეგ ბოროტების ბუდე! თუ მართლა მთელი ვორმისის ამოწყვეტა აქვს განზრახული, ქალაქმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა იბრძოლოს.

**შიტი** — განზრახულიც რომ ჰქონდეს, არც ისეთი გულუბრყვილოა, ეს ამბავი წინასწარ საქვეყნოდ გამოაცხადოს. პირობას დადებს, შემომიშვით და ხელს არაფერს ვახლებო.

**ბანკირი** — (აღშფოთებული.) ვორმისს 30000 დუკატი მართებს ჩემი: ახლავე უნდა შეწყდეს ეს ყველაფერი. სასწრაფოდ გაგზავნეთ თქვენი ჯარები გეცის წინააღმდეგ.

**არქიეპისკოპოსი** — (მწუხარედ.) შეშინია, ვაითუ გამინადგუროს. არქიეპისკოპოსის დარბაზი უჩინარდება ღამეში.

**ჰაინცი** — (ნასტის.) მართლა დავმარცხდით?

**ნასტი** — ღმერთი ჩვენთან არის, ჩემო ძმებო; ჩვენ არ დავმარცხდებით. ამაღამ ვორმსიდან გავალ, ვეცდები მოაღყეებს გავუსხლტე და ვალდორფში ჩავიდე. რვა დღეში 10000 შეიარაღებულ გლეხს შევაგროვებ.

**შიტი** — რვა დღეს გაძლება არ უნდა? მაგათ შემხედვარეს არც ის გამიკვირდება, ქალაქის კარი მტერს ამაღამდე გაუღონ.

**ნასტი** — კარი არ უნდა გავაღებინოთ.

**ჰაინცი** — ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებ?

**ნასტი** — არა, სამაგისოდ ვითარება ჯერ ძალზე გაურკვეველია.

**ჰაინცი** — მაშ, როგორ მოვიქცეთ?

**ნასტი** — ისეთ დღეში უნდა ჩავყაროთ მდიდრები, რომ მხოლოდ თავის გადარჩენაზე იფიქრონ.

**ყველა** — ეგ როგორღა მოხერხდება?

**ნასტი** — ხოცვა-ჟლეტით.

გალავნის ძირას სცენა ნათდება. კიბესთან ქალი ზის და სათვალთვალო პოსტს მიშტერებია. 35 წლისაა, შემოფლეთილი ტანსაცმელი აცვია. გვერდზე მღვდელი გაუფლის ლოცვანის კითხვით.

**ნასტი** — ვინ არის ეგ მღვდელი? რატომ სხვებთან ერთად ციხეში არ ზის?

ჰაინცი — ვერ იცანი?

ნასტი — ა, ჰაინრიხი ყოფილა. როგორ შეცვლილა. მაგრამ მაინც უნდა ჩაგესვათ.

ჰაინცი — ღარიბებს უყვართ, რადგან მათსავით ცხოვრობს. უკმაყოფილებას მოვერიდე.

ნასტი — ეგ კაცი ყველაზე საშიშია.

ქალი — (მღვდელი შეამჩნია). მამაო, მამაო! (მღვდელი გარბის.) ასე გაჩქარებული სად გარბიხარ?

ჰაინრიხი — (ჩერდება.) აღარაფერი გამაჩნია! აღარაფერი! აღარაფერი! ყველაფერი გავეცი.

ქალი — ეგ რა გამართლებაა, გაიქცე, როცა გეძახიან.

ჰაინრიხი — (დაქანცული იერით.) გშია?

ქალი — არა.

ჰაინრიხი — მაშ, რასა მთხოვ?

ქალი — მინდა ამიხსნა.

ჰაინრიხი — (სწრაფად.) აღარაფრის ახსნა აღარ შემიძლია.

ქალი — ჯერ ხომ არ იცი, რა უნდა გკითხონ?

ჰაინრიხი — კეთილი, მკითხე, ოღონდ სწრაფად. რისი ახსნა გნაღია?

ქალი — რატომ მოკვდა ბავშვი?

ჰაინრიხი — ვინ ბავშვი?

ქალი — (მწარედ ჩაიციხებს.) ჩემი შვილი, შენ თვითონ არ დაასაფლავე გუშინ? სამი წლისა იყო და შიმშილისაგან მოკვდა.

ჰაინრიხი — ჩემო დაო, დავიღალე და ველარავის ველარ ვცნობ. ყველას ერთი და იგივე სახე და თვალუბი გაქვთ.

ქალი — რატომ მოკვდა?

ჰაინრიხი — არ ვიცი.

ქალი — შენ ხომ მღვდელი ხარ?

ჰაინრიხი — დიახ, მღვდელი ვარ.

ქალი — მაშ, ვინლა ამიხსნის, თუ შენ არა? (პაუზა.) ახლა თავი რომ მოვიკლა, ცოდვას ჩავიდენ?

ჰაინრიხი — (მტკიცედ.) მძიმე ცოდვას ჩავიდენ.

ქალი — მეც ასე ვფიქრობდი. არადა, მაგის დიდი სურვილი მაქვს. ხომ ხედავ, აუცილებელი ყოფილა, აგეხსნა.

ჰაინრიხი — ყველაფერი ღვთის განგებით ხდება. ღმერთი თვით სიკეთეა. რაც უკეთესზე უკეთესია, ის ხდება.

ქალი — ვერ გავიგე.

ჰაინრიხი — ღმერთმა შენზე მეტი იცის. შენ რაც ბოროტება გგონია, ღვთის თვალში სიკეთეა, რადგან ყველა შედეგი აწონილ-დაწონილი



აქვს.

**ქალი** — თვითონ თუ გესმის, რასაც მეუბნები?

**ჰაინრიხი** — არა! არა! არ მესმის. არაფერი არ მესმის. არც შემოძლია და აღარც მინდა გავიგო. უნდა გწამდეს! გწამდეს! გწამდეს!

**ქალი** — *(მწარედ ჩაიცინებს.)* შენ ამბობ, უნდა გწამდესო, თვითონ კი ვერ გატყობ, საკუთარი ნათქვამისა გჯეროდეს.

**ჰაინრიხი** — რასაც ახლა გეუბნები, დაო ჩემო, ამ სამი თვის განმავლობაში იმდენჯერ მაქვს ნათქვამი, აღარც კი ვიცი, რწმენით ვამბობ თუ ჩვევით... მაგრამ ერთ რამეში არ შეცდე. მე მწამს, მთელი გულით და სულით მწამს. ღმერთო ჩემო, შენა ხარ მოწამე, რომ ერთი წუთითაც არ გაჰკარებია ეჭვი ჩემს გულს. *(პაუზა.)* დედაკაცო, შენი შვილი ცაშია და შენ მას შეხედები.

*იჩოქებს.*

**ქალი** — დიახ, მამაო, დიახ, მაგრამ ცა სულ სხვა რამეა, თანაც ისე დავიღალე, რომ ძალა აღარ მეყოფა, გავიხარო. ვეღარც ცაში გავიხარებ.

**ჰაინრიხი** — მაპატიე, ჩემო დაო.

**ქალი** — რა უნდა მაპატიო, ჩემთვის არაფერი დაგიშავებია.

**ჰაინრიხი** — მაპატიე, ჩემი სახით ყველა მღვდელს აპატიე, ყველა ადამიანს - მდიდარსაც და ღარიბსაც.

**ქალი** — *(გაკვირვებით.)* მთელი გულით მიპატიებია, კმაყოფილი ხარ?

**ჰაინრიხი** — რა თქმა უნდა. ახლა კი, ჩემო დაო, ერთად ვილოცოთ; ღმერთს შევთხოვოთ, იმედი დაგვიბრუნოს.

*ამ ბოლო სიტყვების თქმისას, ნასტი ნელა ჩამოდის გაღავნის კბეზე.*

**ქალი** — *(ნასტის დაინახავს და გახარებული ნამოიძახებს.)* ნასტი, ნასტი!

**ნასტი** — რა გინდა?

**ქალი** — მეპურევე, ჩემი შვილი მოკვდა. შენ ყველაფერი იცი. ესეც გეცოდინება, რატომ მოკვდა?

**ნასტი** — დიახ, ვიცი.

**ჰაინრიხი** — ნასტი, გემუდარები, გაჩუმდი. უბედურება დაატყდება, ვინც განხეთქილებას თესავს.

**ნასტი** — იმიტომ მოკვდა, რომ ჩვენი ქალაქის მდიდრები არქიეპისკოპოსს აუჯანყდნენ, თავიანთ ძალიან მდიდარ სენიორს. როცა მდიდრები ერთმანეთს შორის ომობენ, ღარიბები იხოცებიან.

**ქალი** — ომის ნებას განა ღმერთი აძლევს?

**ნასტი** — პირიქით, უკრძალავს.

**ქალი** — ეს კი ამბობს, ღვთის უნებურად არაფერი ხდებაო.

**ნასტი** — არაფერი, სიავის გარდა, რომელსაც კაცთა ბოროტება შობს.

**ჰაინრიხი** — ტყუი, მეპურევე, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევე, ვორმსელები გინდა გააბრიყვო.

**ნასტი** — მაშ, შენი ფიქრით, ღმერთს ძაძები და უსარგებლო ტანჯვა-ვაება ნებავს? მე ვაცხადებ, ამ საქმეში ღვთის ხელი არ ურევია.

*ჰაინრიხი ჩუმად არის.*

**ქალი** — მაშ, ღმერთს არ უნდოდა ჩემი შვილის სიკვდილი?

**ნასტი** — ეგ რომ ნდომოდა, ამქვეყნად არ მოავლენდა.

**ქალი** — *(დამშვიდებული.)* ასე მირჩევნია. *(მღვდელს მიმართავს.)* ხედავ, მამაო: აი, ახლა გავიგე. მაშ, კეთილ ღმერთს ანაღვლებს ჩემი ტანჯვა?

**ნასტი** — მისი მწუხარება უსაზღვროა.

**ქალი** — შევლით კი ველარაფერს მიშველის?

**ნასტი** — როგორ არა. შვილს დაგიბრუნებს.

**ქალი** — *(უიმედოდ.)* ვიცი, ცაში დამიბრუნებს.

**ნასტი** — ცაში კი არა, მიწაზე.

**ქალი** — *(გაკვირვებული.)* მიწაზე?

**ნასტი** — მხოლოდ ნემსის ყუნწში უნდა გაძვრე და შვიდი წელი გაუძლო უბედურებას. ამის შემდეგ ღმერთის მეუფება დადგება მიწაზე: ჩვენი მკვდრები დაგვიბრუნდებიან. ყველას ყველა ეყვარება და აღარავის ეშია.

**ქალი** — შვიდი წელი რატომ უნდა ვიცადოთ?

**ნასტი** — შვიდი წლის ბრძოლა გემართებს ბოროტების დასაოტრუნავად.

**ქალი** — თუ ასეა, დიდი ჯაფა დაგვადგება.

**ნასტი** — ამიტომაც სჭირდება უფალს შენი დახმარება.

**ქალი** — ყოვლადძლიერ ღმერთს ჩემი დახმარება სჭირდება?

**ნასტი** — ასეა, ჩემო დაო. კიდევ შვიდ წელს იმეფებს სატანა მიწაზე. მაგრამ თუ ყოველი ჩვენთაგანი შეუპოვრად იბრძოლებს, ჩვენც გადავრჩებით და ღმერთიც - ჩვენთან ერთად. გჯერა ჩემი?

**ქალი** — *(დგება.)* კი, ნასტი, შენი მჯერა.

**ნასტი** — შენი ბიჭი ცაში არ არის, დედაკაცო, ის შენს წიაღშია. შენ მას 7 წელი ატარებ და დადგება დრო, როცა შენს გვერდზე ივლის, ხელს ჩაგკიდებს და შენ მას ხელმეორედ შობ.

**ქალი** — შენი მჯერა, მჯერა.



ქალი ვადის.

**ჰაინრიხი** — შენ ნაწყმედ მაგ ქალს.

**ნასტი** — თუ ასე ფიქრობ, რატომ არ შემანყვეტინე?

**ჰაინრიხი** — იმიტომ რომ ისეთი უბედური აღარ ჩანდა. (ნასტი მხრებს იჩეჩავს და ვადის.) უფალო, ძალა არ მეყო გამეჩერებინა. შევეცოდე, მაგრამ მნამხარ, ღმერთო ჩემო, მნამს შენი ყოვლად - ძლიერება, მნამს შენი წმინდა ეკლესია - დედა ჩვენი, იესოს წმინდა სხეული, რომლის ნაწილი მეცა ვარ; მნამს რომ ყოველივე შენი განგებით ხდება, ბავშვის სიკვდილიც კი; მნამს, რომ ყოველივე სიკეთეა; მნამს, რადგან უაზრობაა! უაზრობა! უაზრობა!

მთელი სცენა ნათდება. მდიდრები ცოლებითურთ არქიეპისკოპოსის სასახლის გარშემო შეკრებილან და იცდიან.

**ბრბო** — ახალი არაფერია?

— არაფერი ...

— აქ რას ვუდგავართ?

— ველოდებით...

— რას ველოდებით?

— არაფერს ...

— დაინახეთ?

— სად, მარჯვენა?

— დიას.

— ბინძური სიფათები!

— ასეა, წყალი რომ დაიძრება, რაც ლამია, ზედაპირზე ამოაქვს.

— საკუთარ ქალაქში თავი შინ ველარ გივრძენია.

— ეს ომი დროზე უნდა დამთავრდეს, უნდა დამთავრდეს, თუ არა და ცუდი ამბები დატრიალდება.

— ეპისკოპოსის ნახვა მინდა, ეპისკოპოსი უნდა ვნახო.

— არ დაგვენახებო, განრისხებულია...

— ვინ? ვინ?..

— ეპისკოპოსი...

— მას შემდეგ, რაც აქ გამოკეტეს, იშვიათად თუ გამოჩნდება, ფარდას გასწევს და იქიდან იჭვრიტება ხოლმე.

— კეთილი გამომეტყველება არა აქვს.

— მაინც რა გინდათ გვითხრას?

— იქნებ ახალი ამბები იცოდეს.

ხალხში ჩოჩქოლია.

**ხმები ბრბოდან** — ეპისკოპოსო, ეპისკოპოსო, გამოდი, დაგვენახე!..

— გვიჩიე რამე!

— რა მოგველის?

**ხმა** — ქვეყნის დასასრული დგება!

*ერთი მამაკაცი ბრბოს გამოეყოფა, საეპისკოპოსოს კედელთან მიდის და ზურგით მიეყუდება. ჰაინრიხი სწრაფად მოსცილდება და ბრბოს შეერევა.*

**წინასწარმეტყველი** — ქვეყნიერება დაიღუპა, დაიღუპა!!

დავცხოთ ჩვენს ქვებუდანებს!

დასცხეთ, დასცხეთ, დასცხეთ:

ღმერთი ჩვენთან არის!

*ინცება ყვირილი, პანიკა.*

**ბურჟუა** — წყნარად, წყნარად, ნუ აპყვებით. ეგ მხოლოდ წინასწარმეტყველია.

**ბრბო** — კიდევ ერთი გამოგვიჩნდა? კმარა, ენა ჩაიგდე. ყოველი მხრიდან წინასწარმეტყველები მოძვრებიან. მაშინ, აბა, ჩვენს მღვდლებს რაღას ვერჩოდით?

**წინასწარმეტყველი** — დედამინა ამყრალდა!

მზე შესტირის ღმერთს,

ალარ მინდაო, უფალო, ნათება.

გავებზრდი ამდენი სიდამპლის ცქერით.

რაც უფრო ვათბობ მინას, მით უფრო ყროლდება.

სხივთა ბოლოები ქუჭყით დამიფარა.

უბედურება მონეულა, ამბობს მზე.

ჩემი ოქროსფერი თმა სკორეში ჩაფენილა.

*ბურჟუა წინასწარმეტყველს ურტყამს.*

**ბურჟუა** — ხმა ჩაინწყვიტე!

*წინასწარმეტყველი ეცემა, მერე მინაზე წამოჯდება.*

*უცებ ეპისკოპოსის ფანჯარა იღება. საზეიმოდ გამოწყობილი ეპისკოპოსი აივანზე გამოდის.*

**ბრბო** — ეპისკოპოსი!

**ეპისკოპოსი** — სად არიან კონრადის ჯარები? სად არიან რაინდები? სად არიან ანგელოზთა ლეგიონები, მტერი რომ უნდა განედვენათ? მარტონი დარჩით. მეგობრებმა მივატოვეს, იმედი გაგიცრუვდათ და დაწყევლილნი ხართ. მიპასუხეთ, ვორმსის მოქალაქენო: თუ მღვდელმსახურთა ჩამწყვედა ღვთის საამებელი საქმე იყო, მაშ, ღმერთმა რატომ მივატოვათ? (ბრბო გმინავს.) მიპასუხეთ!

**ჰაინრიხი** — იმედი მაინც დაუტოვეთ ამ ხალხს!

**ეპისკოპოსი** — ვინ ლაპარაკობს?

**ჰაინრიხი** — ჰაინრიხი, წმინდა გილჰაუს მღვდელი.

**ეპისკოპოსი** — ხმა ჩაინყვიტე, შე ღვთისაგან განდგომილო, როგორ ბედავ, თვალებში მიყურო?

**ჰაინრიხი** — შეუხედეთ მათ, მონსენიორ, შეუხედეთ, ვითარცა მე შეგინდობთ თქვენს ლანძღვას.

**ეპისკოპოსი** — შე იუდავ, იუდა ისკარიოტელო! წადი, თავი ჩამოიხრჩე!

**ჰაინრიხი** — მე იუდა არა ვარ.

**ეპისკოპოსი** — მაშ, მანდ რა გინდა? მაგათ შორის რატომ ჩამდგარხარ? რატომ ჩვენსავით ციხეში არა ხარ გამომწყვდეული?

**ჰაინრიხი** — თავისუფლება დამიტოვეს, რადგან იციან, როგორ მიყვარს ისინი; ხოლო, თუ თვითონვე არ შევეუერთდი სხვა მღვდლებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გაუბედურებულ ქალაქში ვინმემ მაინც ჩაატაროს წირვა, ზიარება მისცეს ადამიანს. მე რომ არა, აქ ეკლესია აღარ იქნებოდა, ვორმსს არავინ დაიცავდა ერეტიკოსებისაგან და ადამიანები ძალღებავით დაიხოცებოდნენ. მონსენიორ, ნუ ხელყოფთ მათ სასოებას.

**ეპისკოპოსი** — ვინ აგზნობდა? ვინ გაჭმევდა? წერა-კითხვა ვინ გასწავლა? ვინ გაგანათლა? ვინ გაკურთხა მღვდლად?

**ჰაინრიხი** — ეკლესიამ, ჩემმა წმინდათაწმინდა დედამ.

**ეპისკოპოსი** — ყველაფერს მას უნდა უმადლოდე, უპირველესად ეკლესიას ეკუთვნი.

**ჰაინრიხი** — უპირველესად ეკლესიას, მაგრამ ამათი ძმაცა ვარ.

**ეპისკოპოსი** — *(მტკიცედ.)* უპირველესად ეკლესიას.

**ჰაინრიხი** — დიახ, უპირველესად ეკლესიას, მაგრამ...

**ეპისკოპოსი** — მაგ ხალხთან მინდა ლაპარაკი. მაგრამ, თუ ჯიუტად განაგრძობენ თავიანთ ცოდვილ საქმეს და აჯანყებას არ შეწყვეტენ, მაშინ გიბრძანებ, რომ ეკლესიის მსახურთ - შენს ნამდვილ ძმებს დაუბრუნდე და მათთან ერთად ჩაიკეტო მინიმის ან სემინერის მონასტერში. ემორჩილები შენს ეპისკოპოსს?

**მამაკაცი ბრბოდან** — არ მიგვატოვო, ჰაინრიხ, შენ ღარიბების მღვდელი ხარ, შენ ჩვენ გვეკუთვნი.

**ჰაინრიხი** — *(მწარე, მაგრამ მტკიცე ხმით.)* უპირველესად ეკლესიას ვეკუთვნი. გემორჩილებით, მონსენიორ.

**ეპისკოპოსი** — ვორმსელებო, კარგად შეხედეთ თქვენს თეთრსა და ხალხმრავალ ქალაქს, შეხედეთ მას უკანასკნელად: ის შიმ-



შილისა და შავი ქირის საზარელ ადგილად გადაიქცევა; ყველაფერი კი იმით დამთავრდება, რომ მდიდრები და ღარიბები ერთმანეთს დაერევიან და მუსრს გაავლებენ. როცა გეცის ჯარისკაცები შემოვლენ, გვამების და ნანგრევების გარდა, აღარაფერი დახვდებათ. მე ძალმიძს თქვენი გადარჩენა, მაგრამ ჯერ გული უნდა მომიღობოთ.

**ხმები** — გვისხენით, მონსენიორ, გადაგვარჩინეთ!

**ეპისკოპოსი** — დაიჩოქეთ, ამპარტავანო მოქალაქენო, და ღმერთს შენდობა სთხოვეთ. *(ბურჟუები ერთმანეთის მიყოლებით იროქებენ, დანარჩენები ფეხზე რჩებიან.)* უფალო ღმერთო, მოგვიტყევე ჩვენი ცოდვები და დააცხრე არქიეპისკოპოსის რისხვა.

**ბრბო** — უფალო, მოგვიტყევე ჩვენი ცოდვები და დააცხრე არქიეპისკოპოსის რისხვა.

**ეპისკოპოსი** — ამინ! ადექით. *(პაუზა.)* ჯერ მღვდლებსა და ბერებს გაათავისუფლებთ და მერე ქალაქის კარს გააღებთ. ტაძრის კარიბჭესთან დაიჩოქებთ და სინანულს მიეცემით. ჩვენ კი ამასობაში გეცთან ნავალთ და თქვენს დანდობას შევთხოვთ.

**ბურჟუა** — რომ არ შეისმინოს?

**ეპისკოპოსი** — გეცზე მალლა არქიეპისკოპოსი დგას. იგი ყველას მამაა და წყალობას არ მოგვაკლებს.

*ცოტა ხნით ადრე საყარაულოსთან გამოჩნდა ნასტი. იგი ჩუმად უსმენს, ბოლო სიტყვებზე ორი საფეხურით დაბლა ჩამოინაცვლებს გალავნის კიბეზე.*

**ნასტი** — გეცს არქიეპისკოპოსთან რა საქმე აქვს, იგი ეშმაკს ეკუთვნის. მან კონრადს, საკუთარ ძმას ფიცი მისცა, მაგრამ უღალატა. დღეს რომ პირობა მოგვცეს, სიცოცხლეს გაჩუქებთო, ნუთუ ისეთი სულელები ხართ, მისი სიტყვა დაიჯეროთ?

**ეპისკოპოსი** — შენ ეი, მანდ, მალლა რომ შემომდგარხარ, ვინც უნდა იყო, გიბრძანებ...

**ნასტი** — შენ ვინა ხარ, რომ მიბრძანო? მაგას რას უსმენთ. თქვენ არავის ბრძანებას არ ემორჩილებით, გარდა იმ თავკაცებისა, რომლებიც თვითონ აირჩიეთ.

**ეპისკოპოსი** — შენ ვილამ ავირჩია, საფრთხობელავ?

**ნასტი** — ღარიბებმა ამირჩიეს. *(ხალხს მიმართავს.)* ჯარისკაცები ჩვენს მხარეზე არიან. ქალაქის კარიბჭესთან კაცები დავაყენე. სიკვდილი არ ასცდება, ვინც კარის გაღებაზე კრინტს დაძრავს.

**ეპისკოპოსი** — მიდი, მიდი, შე უბადრუკო, თამამად ნაუძეხი მაგ ხალხს. პირდაპირ ჯოჯოხეთში შეუძეხი! ხსნის ერთადერთი ცხალა დარჩენიათ და იმასაც ართმევ?

**ნასტი** — იმედი რომ არ მქონოდა, პირველი მე გირჩევდით, ჩაბარდით-მეთქი. ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ღმერთმა მიგვატოვა. ანგელოზებში ვინ დაგაეჭვათ? ცა ცარიელია. ანგელოზები მინაზე ირჯებიან. ისინი მტრის ბანაკს დაესხნენ თავს.

**ბიურგერი** — რომელი ანგელოზები?

**ნასტი** — ქოლერისა და შავი ჭირის, შიმშილისა და განხეთქილების ანგელოზები. დაიხსომეთ: ქალაქი აუღებელია და ღმერთი ჩვენს მხარეზეა. ისინი ალყას მოხსნიან.

**ეპისკოპოსი** — ვორმსელებო, ვინც ამ ერეტიკოსს მოუსმენს, ყველას ჯოჯოხეთი ელის. ჩემს საუკუნო ნეტარებას ვფიცავ.

**ნასტი** — შენი საუკუნო ნეტარება ღმერთმა უკვე დიდხანია ძალღებს მიუგდო საჯიჯგნად.

**ეპისკოპოსი** — შენსას კი, ცხადია, ღმერთი ცივ ნიავს არ აკარებს და შენს მისვლას ელოდება, სათუთად მოვლილი ჩაგაბაროს. ის ახლაც შემოგხარით, მის ერთგულ მსახურს რომ შეურაცხყოფთ.

**ნასტი** — ღვთისმსახურად ვინ გაკურთხა?

**ეპისკოპოსი** — წმინდა ეკლესიამ.

**ნასტი** — კახპაა ეგ შენი ეკლესია: თავის წყალობას მდიდრებს ფულზე ურიგებს. შენ უნდა გითხრა აღსარება? ცოდვები შენ უნდა შემინდო? შენი დაფხავებული სულის დანახვამ ღმერთი კბილებს აკრაჭუნებს. რაში გვჭირდება, ძმებო, მღვდლები? ყველა ადამიანს შეუძლია ნათლისცემა, ცოდვათა შენდობა, ქადაგება. სიმართლეს გეუბნებით. ან ყველა ადამიანი წინასწარმეტყველია, ან ღმერთი არ არსებობს.

**ეპისკოპოსი** — ფუი, ფუი, ფუი, ნყეულიმც იყავ!

*მონყალების ქისას ესვრის სახეში.*

**ნასტი** — *(მიანიშნებს სასახლის კარზე.)* ჭიანჭამი კარია, ერთი ხელისკვრით შევამტვრევთ. *(პაუზა.)* რა მომთმენნი ხართ, ძმებო! *(პაუზა. ხალხს მიმართავს.)* ეგენი ერთმანეთზე არიან გადაბმულნი: ეპისკოპოსი, საბჭო, მდიდრები. ქალაქის ჩაბარება აქვთ გადანყვეტილი, რადგან თქვენი ეშინიათ. ხარკს ვინდა გადაუხდით, თუ ქალაქს ჩააბარებენ? თქვენ! ისევ თქვენ! რაღას უტყდით, აღდექით, ჩემო ძმებო, უნდა დავხოცოთ ეგენი, ნეტარებას რომ ვეზიაროთ.

*ხალხი დრტყინავს.*

**ბურჟუა** — *(თავის ცოლს მიმართავს.)* წამოდი. გავეცალოთ აქაურობას.

**მეორე ბურჟუა** — *(თავის ვაჟს.)* ჩქარა, ჩვენი ფარდულის

დარაბები დავხუროთ და ჩავიკეტოთ.

**ეპისკოპოსი** — ღმერთო, შენ ხარ მონამე, ყველაფერი ვიღონე ამ ხალხის გადასარჩენად. ისე მოკვდები შენი დიდებისათვის, თავი არ შემენანება, რადგან ვიცი, რომ შენი რისხვა თავს დაატყდება ვორმს და მიწასთან გაასწორებს.

**ნასტი** — ეს ბებერი ცოცხლადა გჭამთ. ნეტა საიდან აქვს ასეთი ძლიერი ხმა? ეტყობა, მუცელს მაძღრისად იყორავს. დაიარეთ მისი სხვენები: იქ იმდენი ხორბალი ინახება, ნახევარი წელი მთელ ლაშქარს გამოკვებავს.

**ეპისკოპოსი** — ტყუი, ჩემი სხვენები ცარიელია და შენ ეს კარგად იცი.

**ნასტი** — წადით, ნახეთ, ჩემო ძმებო, თქვენი თვალით ნახეთ. სიტყვაზე ნუ დაუჯერებთ.

*ბიურგერები სასწრაფოდ გადიან. ნასტისთან მხოლოდ უბრალო ხალხი რჩება.*

**ჰაინრიხი** — (ნასტის უახლოვდება.) ნასტი!

**ნასტი** — შენ რაღა გინდა?

**ჰაინრიხი** — თავადაც კარგად იცი, რომ სხვენები ცარიელია. ისიც იცი, რომ ის სანახევროდ მშოიერია და თავის წილს ღარიბებს ურიგებს.

**ნასტი** — შენ ჩვენი ხარ თუ არა?

**ჰაინრიხი** — თქვენი ვარ, როცა იტანჯებით, წინააღმდეგი ვარ, როცა ეკლესიის სისხლი გინდათ დაღვაროთ.

**ნასტი** — ჩვენთანა ხარ, როცა გვხოცავენ, წინააღმდეგი ხარ, როცა თავის დაცვას ვბედავთ.

**ჰაინრიხი** — მე ეკლესიას ვეკუთვნი, ნასტი.

**ნასტი** — შეამტვრიეთ კარი!

*მამაკაცები კარს აწვებიან. ეპისკოპოსი ჩუმად ლოცულობს.*

**ჰაინრიხი** — (კარის წინ დგება.) ჯერ მე მომკალით.

**მამაკაცი ხალხიდან** — შენ რატომ უნდა მოგკლათ?

*ჰაინრიხს ურტყამენ და მიწაზე აგდებენ.*

**ჰაინრიხი** — დამარტყით! სულზე მეტად მიყვარხართ, თქვენი მირტყამთ. (დგება და ნასტისაკენ მიდის.) ოღონდ ეპისკოპოსს ხელი არ ახლო, ნასტი, ეპისკოპოსს ხელი არ ახლო. თუ გინდა მე მომკალი, ოღონდ ეპისკოპოსს ხელი არ ახლო.

**ნასტი** — ვითომ რატომ? წნორედ ეგ არის, ხალხი ვინც დაამ-  
ბია.

**ჰაინრიხი** — კარგად იცი, რომ ასე არაა. კარგად იცი. თუ



გინდა შენი ძმები ჩაგვრისაგან იხსნა, ტყუილით რატომ იწყებ?

**ნასტი** — მე არასოდეს ვტყუი.

**ჰაინრიხი** — ახლა ტყუი, ხორბლის ერთ მარცვალსაც ვერ ნახავ მის სხვენებში.

**ნასტი** — ეგ სულერთია. სამაგიეროდ მისი ეკლესიები სავსეა ოქროთი და თვალ-მარგალიტით. ყველა, ვინც ოდესმე შიმშილით დახოცილა, მარმარილოს ქრისტეების ფერხით თუ სპილოს ძელის ღვთისმშობლის წინ, მე ვამბობ, რომ ყველა მაგის დახოცილია.

**ჰაინრიხი** — ეს ერთიდაიგივე არ არის. შეიძლება არ ტყუი, მაგრამ სიმართლესაც არ ამბობ.

**ნასტი** — შენს სიმართლეს არ ვამბობ: ჩვენსაც ვამბობ და, თუ ღმერთს ღარიბები უყვარს, განკითხვის დღეს ჩვენს სიმართლეს შეუერთდება.

**ჰაინრიხი** — ჰოდა, ეპისკოპოსის განსჯაც მას მიანდე. ოღონდ ეკლესიის სისხლი არ დაღვარო.

**ნასტი** — მე მხოლოდ ერთ ეკლესიას ვცნობ: ეს არის კაცთა ერთობა.

**ჰაინრიხი** — ანუ ყველა ადამიანის, ყველა ქრისტიანის ერთობა, ვისაც სიყვარული აერთიანებს. შენ კი მის კურთხევას ხოცვა-ჟლეტით იწყებ.

**ნასტი** — ჯერ სიყვარულისთვის არ მოგვიცლია. სიყვარულის უფლებას მხოლოდ სისხლის დაღვრით მოვიპოვებთ.

**ჰაინრიხი** — ღმერთი ძალმომრეობას კრძალავს. სძულს იგი.

**ნასტი** — ჯოჯოხეთს რაღას უშვები? როგორ გგონია, ცოდვილებს რაგვარადაც უსწორდებიან, ძალმომრეობა არ არის?

**ჰაინრიხი** — ღმერთმა თქვა: ვინც მახვილს აიღებს...

**ნასტი** — მახვილითვე დაიღუპება... რას იზამ, ჩვენც მახვილით დავიღუპებით. ყველანი დავიღუპებით. მაგრამ ჩვენი შვილები ღმერთის მეუფებას იხილავენ მინაზე. გაგვეცალე. სხვას არაფრით სჯობიხარ.

**ჰაინრიხი** — ნასტი, ნასტი, რა დაგიშავეთ? რატომ არ გიყვარვართ?

**ნასტი** — რა დაგიშავე? შენ მღვდელი ხარ და რაც არ უნდა მოიმოქმედო, მუდამ მღვდელი დარჩები.

**ჰაინრიხი** — მე თქვენი ვარ. ღატაკი და ღატაკის შვილი.

**ნასტი** — მაშინ მოლაღატე ყოფილხარ, მორჩა და გათავდა.

**ჰაინრიხი** — კარი შეამტვრიეს! (კარი დაწოლას ვერ უძლებს და კაცები სახლში შეცვივდებიან. ჰაინრიხი მუხლებზე ეცემა.) ღმე-

რთო ჩემო, თუ ჯერ კიდევ გიყვარს ადამიანთა მოდგმა და ყველა არ შეგძულებია, წინ აღუდექი ამ მკვლელობას.

**ეპისკოპოსი** — შენი ლოცვა არ მჭირდება, ჰაინრიხ! თქვენთვის ყველასთვის, ვინც არ უწყით, რას სჩადით, შემინდვია; შენ კი, ღვთის მგმობლო, გწყევლი.

**ჰაინრიხი** — ოო...

**ეპისკოპოსი** — ალილუია, ალილუია, ალილუია!

*ეპისკოპოსს სცემენ. იგი აივანზე  
ეცემა.*

**ნასტი** — ახლა სცადონ, ჩააბარონ ქალაქი.

**მამაკაცი ხალხიდან** — *(კართან გამოჩნდება.)* სხვენში ხორბალი არ იყო.

**ნასტი** — მინიმის მონასტერში გადამალავდნენ.

**მამაკაცები** — მინიმის მონასტერისკენ დავიძრათ.

*მამაკაცები ვარბიან.*

**მამაკაცი** — მონასტერში! მონასტერში!

**ნასტი** — *(შმიტს.)* ვეცდები ამაღამ ალყიდან გავალწიო.

*გადიან. ჰაინრიხი წამოდგება, მიმოიხედავს. ის და წინასწარმეტყველი მარტონი რჩებიან. უცებ ეპისკოპოსს შეამჩნევს, რომელიც ფართოდ გახელილი თვალებით შესცქერის.*

**ჰაინრიხი** *(ცდილობს სასახლეში შევიდეს. ეპისკოპოსი ხელს ჩააგლებს და არ უშვებს.)* არ შევალ, ხელი გამიშვი, გამიშვი-მეთქი. თუ კიდევ ცოცხალი ხარ, შემინდე. ღვარძლი ცუდი რამ არის, მინიერია, თან ნუ ნაიყოლებ, მსუბუქად მოკვდი. *(ეპისკოპოსი რაღაცის თქმას ცდილობს.)* რაო? *(ეპისკოპოსი იცინის.)* მოლალატე ვარ? ჰო, ცხადია. ხომ გაიგონე ისინიც მოლალატეს მეძახიან. ერთი მითხარი: ნეტა როგორ მოვახერხე ერთდროულად ყველას ლალატი? *(ეპისკოპოსი ისევ იცინის.)* რა გაცინებს? რა? მათ მცემეს. მე კი მიყვარდა ისინი, ღმერთო, როგორ მიყვარდა! *(პაუზა.)* მიყვარდა, მაგრამ ვატყუებდი, ჩემი დუმილით ვატყუებდი. ხმას არ ვიღებდი: ბუზებივით იხოცებოდნენ, მე კი ჩუმად ვიყავი, როცა პური შიოდათ, ჯვრით ვეახლებოდი ხოლმე. როგორ გგონია, ჯვარი იჭმევა? აბა, გამიშვი ხელი; მე და შენ თანამზრახველები ვართ. ეცდილობდი, მათი სილატაკის თანაზიარი ვყოფილიყავი: სიცივე და შიმშილი მათთან ერთად გამეყო, მაგრამ ისინი მაინც იხოცებოდნენ. გამოდის, რომ ვლალატობდი. ვარწმუნებდი, ეკლესია ღარიბია-მეთქი. ახლა ისინი გაცოფდნენ და კაცთა კვლა დაიწყეს. წაწყმედის გზას ადგანან. ჯოჯოხეთის გარდა, ვერაფერს ნახავენ,



ვერც ამქვეყნად, ვერც საიქიოში. (ეპისკოპოსი რალაც გაურკვეველ სიტყვას ამბობს.) მაგრამ, აბა, მე რა შემიძლია? რით დავუშლი? (სცენის სიღრმისაკენ მიდის და ქუჩაში იყურება.) მოედანზე ხალხი მოჯარდა, მონასტრის კარს ეჯაჯგურებია. მაგრამ კარი მაგარია. დილაზე გაუძლებს. ო, რა უძლური ვარ, რა უძლური, უძლური! ჰა, მომუნე პირი, ღირსეულად მოკვდი. (ეპისკოპოსი გასაღებს ავღებს.) ეს რა გასაღებია? კარისა? შენი სასახლის კარისა? არა? ტაძრისა? ჰო... სალაროსი? არა? აკლდამისა? იმ კარისა, სულ რომ დავეტილია? ამოთქვი ბარემ.

**ეპისკოპოსი** — მიწისქვეშა გასასვლელის.

**ჰაინრიხი** — მერე სად გადის ეგ მიწისქვეშა გასასვლელი? არა თქვა! ჯობს, იქამდე მოვკვდე, სანამ იტყოდე.

**ეპისკოპოსი** — ქალაქიდან გაგიყვანს.

**ჰაინრიხი** — მაგ გასაღებს არ ავიღებ. (პაუზა.) მიწისქვეშა გასასვლელით საძვალეს გავივლი და ქალაქიდან გავალ? შენ გინდა, რომ გეცთან მივიდე და ამ მიწისქვეშა გზით ვორმში შემოუშვა? ჩემი იმედი არა გქონდეს.

**ეპისკოპოსი** — იქ 200 მღვდელია, მათი სიცოცხლე შენს ხელშია.

*პაუზა.*

**ჰაინრიხი** — დასწყევლოს ღმერთმა! აი თურმე რატომ იცი-ნოდი. კარგი ოინია. გმადლობთ, ეპისკოპოსო. გმადლობთ! ლატაკები გაჟღეტენ მღვდლებს, ან გეცი გაჟღეტს ლატაკებს. 200 მღვდელი თუ — 20000 ადამიანი. კარგ არჩევანს მიტოვებ. 20000 ადამიანი, ცხადია, ბევრად მეტია, ვიდრე 200 მღვდელი; საქმე ის არის, რამდენ ადამიანად ფასობს ერთი მღვდელი. როგორც ჩანს, ეს ჩემი გადასაწყვეტია. ბოლოს და ბოლოს, მე ეკლესიას ვეკუთვნი. გასაღებს არ ავიღებ. მღვდლები პირდაპირ სასუფეველში წავლენ, (ეპისკოპოსი კვდება.) თუკი შენსავით ღვარძლს არ წაიღებენ იმქვეყნად. მოკლედ, შენ მორჩი შენს საქმეს. ღამე მშვიდობისა. შეუნდე ღმერთო, ვითარცა მე შეკუნდე. გასაღებს არ ავიღებ, არავითარ შემთხვევაში არ ავიღებ, არა და არა... არა! გასაღებს იღებს.

**წინასწარმეტყველი** — (წამოდგება.) უფალო, აღსრულდეს, ნება შენი! ქვეყანა წაწყმდა, წაწყმდა! აღსრულდეს ნება შენი!

**ჰაინრიხი** — უფალო, შენ აკი დაწყევლე კაენი და მისი მოდგმა. დაე, აღსრულდეს ნება შენი! შენ განაგე, ადამიანს ჭიამ დაუხრას გული, ყველა განზრახვა გაუღაყდეს, ყველა მისი საქმე წახდეს და დალპეს. დაე, აღსრულდეს ნება შენი! დაე, აღსრულდეს

ნება შენი!

წინასწარმეტყველი — დავცხოთ ჩვენს დამპლებს! დასცხეთ, დასცხეთ! ღმერთი ჩვენთან არის!

## სურათი მეორე

გეცის ბანაკის მისადგომებთან. ღამეა. სიღრმეში მოჩანს ქალაქი. გამოჩნდება ოფიცერი, რომელიც ქალაქს ათვალიერებს. მაშინვე გამოდის მეორე ოფიცერიც.

## სცენა პირველი

### ოფიცრები, ჰერმანი.

მეორე ოფიცერი — აქ რას აკეთებ?

პირველი ოფიცერი — ქალაქს გავყურებ. ხანდახან მგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს სადღაც გაქრება.

მეორე ოფიცერი — (პირველს.) არსადაც არ გაქრება. მაგის ბედი ჩვენ ვინ მოგვცა. (უცებ მიბრუნდება.) ეს რა არის?

ორ კაცს შემოაქვს საკაცე, ზედ ზენარგადაფარებული ადამიანი წევს. პირველი ოფიცერი საკაცეს უახლოვდება, ზენარს გადახდის და მაშინვე აფარებს.

პირველი ოფიცერი — მდინარეში გადააგდე! ამნამსვე!

მეორე ოფიცერი — ის უკვე...

პირველი ოფიცერი — ჰო, მთლად გაშავებულია.

პაუზა. სანიტრები გზას განაგრძობენ. ავად-მყოფი კენესის.

მეორე ოფიცერი — მოიცადეთ!

ჩერდებიან.

პირველი ოფიცერი — რა იყო?

მეორე ოფიცერი — ცოცხალია.

პირველი ოფიცერი — არ მაინტერესებს. მდინარეში!

მეორე ოფიცერი — (სანიტრებს.) რომელი ათასეულიდანაა?

**სანიტარი** — ცისფერი ჯვრიდან.

**მეორე ოფიცერი** — ჩემი ათასეულიდან ყოფილა. ზურგისაკენ!

**პირველი ოფიცერი** — გაგიჟდი! მდინარეში!

**მეორე ოფიცერი** — ნებას არავის მივცემ, რომ ჩემი ჯარისკაცები მდინარეში კნუტებივით დაახრჩონ.

*ოფიცრები ერთმანეთს უყურებენ. სანიტრები, დამცინავი ღიმილით საკაცეს ძირს დგამენ და იცდიან.*

**პირველი ოფიცერი** — მკვდარია თუ ცოცხალი, დატოვება არ შეიძლება, მთელ ბანაკს მოსდებს ქოლერას.

**მესამე ოფიცერი** — *(შემოდის.)* ან ქოლერას მოსდებს მთელ ბანაკს, ან კიდევ პანიკა ატყდება. სასაწრაფოდ გადაავადეთ მდინარეში!

**სანიტარი** — კენესის სანყალი.

*პაუზა. მეორე ოფიცერი გაბრაზებული მიუტრიალდება სანიტარს, მახვილს იმიშვლებს და საკაცეზე მწოლიარეს კლავს.*

**მეორე ოფიცერი** — აღარ იკვნესებს. გასწით. *(სანიტრები გადაიან.)* მესამეა, გუშინდელს აქეთ უკვე სამი მოკვდა.

**ჰერმანი** — *(შემოდის.)* არა, მეოთხეა. ეს-ესაა კიდევ ერთი მოკვდა. მაინცა და მაინც შუა ბანაკში.

**მეორე ოფიცერი** — სხვებმა დაინახეს?

**ჰერმანი** — აკი ვითხარი, შუა ბანაკში მოკვდა-მეთქი.

**მესამე ოფიცერი** — მე რომ უფროსი ვიყო, ამაღამე მოვსხნიდი ალყას.

**ჰერმანი** — იცოცხლე, კარგი იქნებოდა, მაგრამ შენ არა ხარ უფროსი.

**პირველი ოფიცერი** — მაშ, უნდა მოველაპარაკოთ.

**ჰერმანი** — ვის დაუჯერებს? *(პაუზა.)* მაინც ყველაფერს თავის ნებაზე გააკეთებს.

**მეორე ჯარისკაცი** — მაშინ წასულია ჩვენი საქმე. თუ ქოლერამ დაგვინდო, ჩვენივე ჯარისკაცები ამოგვუშავენ.

**ჰერმანი** — ეგრე იქნება, თუ თვითონ არ ჩაძაღღდება.

**პირველი ჯარისკაცი** — თვითონ? ქოლერისაგან?

**ჰერმანი** — ქოლერისაგან ან სხვა რამისაგან. *(პაუზა.)* ასე მითხრეს, არქიეპისკოპოსს მაგის სიკვდილი დიდადაც არ ეწყინებაო.

*პაუზა.*

**მეორე ოფიცერი** — მე ვერ შევძლებ.

**პირველი ოფიცერი** — ვერც მე; ისე მეზიზღება, ვერ შევეხები.

**ჰერმანი** — მერე, შენ ვინა გთხოვს. შენ გაჩუმდი და ხელს



ნუ შეუძლი, ვისაც შენნაირად არ ეზიზღება.

## სცენა მეორე

### იზიზენი, გეცი, კატერინა.

**გეცი** — *(შემოდის.)* ნუთუ არაფრის თქმა არ გინდათ? არც იმისა, რომ ჯარისკაცებს პური აკლიათ? არც იმისა, რომ მათ ქოლერა ცვლავს? ბოლოს და ბოლოს ვერც იმის თხოვნას მიბუღავთ, ალყა მოეხსნა და განსაცდელი აგაშოროთ? ნუთუ ასე გეშინიათ ჩემი?

*ყველა ჩუმდება.*

**კატერინა** — ხედავ, როგორ გიყურებენ, ჩემო სიცოცხლე. შენ ამით არ უყვარხარ. სულაც არ გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს მუცელგამოფატრული რომ გიპოვო.

**გეცი** — შენ მაინც გიყვარვარ?

**კატერინა** — ვერ მოგართვეს.

**გეცი** — მაგრამ სასიკვდილოდ მაინც არ გემეტები.

**კატერინა** — შენ გგონია, არ მინდა და იმიტომ?

**გეცი** — ვიცი, ვიცი, რაზეც ოცნებობ და მეც მშვიდად ვარ. მოვკვდები თუ არა, 20000 მამაკაცი გადავივლის. თუმცა 20000 კაცი შენთვისაც ბევრი იქნება.

**კატერინა** — 20000-ს უფრო გავუძლებ, ვიდრე საძულველ ერთს.

**გეცი** — სწორედ ეგ მიყვარს შენი, ასე რომ გძულვარ. *(ოფიცრებს.)* როდის მოეხსნათ ქალაქს ალყა? როდის გინდათ? სამშაბათს, ხუთშაბათს? კვირას? მაშ ასე, ჩემო მეგობრებო, ქალაქს არც სამშაბათს, არც ხუთშაბათს არ ავიღებ. ამაღამ ავიღებ!

**მეორე ოფიცერი** — ამაღამ?

**გეცი** — ახლავე. *(ქალაქს გაჰყურებს.)* ხედავთ ცისფერ სინათლეს, აი იქ, ძლივს რომ ბუუტავს. ყოველ საღამოს ვუყურებ და ყოველ საღამოს ზუსტად ამ დროს ქრება. იცოდეთ, ასმეერთედ და უკანასკნელად ვუყურებ, როგორ ქრება ეგ სინათლე. მშვიდობით. რას იზამ, ის უნდა მოკლა, რაც გიყვარს. აი, სხვაგანაც ქრება სინათლე. დასწყევლოს გამჩენმა! ხალხი ადრე წვება, ხვალ დილით ადრე აპირებს ადგომას. არადა, ხვალინდელი დღე აღარ

გაუთენდებათ. ჰე, ჰე, მშვენიერი ღამეა, არა? არც ისე ნათელი, მაგრამ ვარსკვლავებით მოჭედილი: საცაა, მთვარეც ამოვა, ისეთი ღამეა, ავი რომ არაფერი ხდება ხოლმე. მათ ყველაფერი გაითვალისწინეს, ყველაფერზე დაყაბულდნენ, ხოცვა-ჟლეტაზედაც კი: მაგრამ საამლამისოდ არა. ასეთი წმინდა ცა ნდობას იმსახურებს. ეს ღამე მათ ეკუთვნით. (მოულოდნელად.) რა ძლიერება ვიგრძენი! ღმერთო, ეს ქალაქი ჩემია და მე მას შენ მოგიძღვნი. სულ მალე ჩირაღდანივით ავაგინებ შენს სადიდებლად. (ოფიცრებს). ერთმა მღვდელმა ვორმსიდან გამოქცევა მოახერხა და განზრახული აქვს ქალაქში შეგვიყვანოს. კაპიტან ულრიხთანაა დაკითხვაზე.

**მესამე ოფიცერი** — ჰე!

**გეცი** — რაო?

**მესამე ოფიცერი** — მოღალატეებს არ ვენდობი.

**გეცი** — მართლა? მე კი ძალიან მიყვარს.

*შემოდის ოფიცერი, წინ მღვდელი გამოუგდია, რომელსაც ჯარისკაცი მოჰყვება.*

## სცენა მესამე

*იზიკენი, ჰაინრიხი, კაპიტანი.*

**ჰაინრიხი** — (გეცის წინ მუხლებზე ეცემა.) მანამეთ! ფრჩხილები დამაძრეთ! ცოცხლად გამაძრეთ ტყავი (გეცი გადაიხარხარებს.)

**გეცი** — (მუხლებზე ეცემა მღვდლის წინ.) ამომგლიჯეთ შიგნე-ულობა. ხელ-ფეხი და თავი მომკვეთეთ, ოთხში ამომიღეთ. (დგება.) ჩანს, ყინული დაიძრა. (კაპიტანს.) ეს კაცი ვინ არის?

**კაპიტანი** — ჰაინრიხია, ვორმსის მღვდელი, ჩვენთვის ქალაქი უნდოდა ჩაებარებინა.

**გეცი** — მერე?

**კაპიტანი** — აღარ სურს ლაპარაკი.

**გეცი** — (ჰაინრიხისკენ მიდის.) რატომ?

**კაპიტანი** — ამბობს, გადავიფიქრო.

მესამე ოფიცერი — გადაიფიქრა! ვუჩვენებ გადაფიქრებას! კბილები ჩაულენეთ, ხერხემალი გადაუმტვრიეთ.

ჰაინრიხი — ჩამილენეთ კბილები! გამამიტვრიეთ ხერხემალი!

გეცი — ეს რა ცოფიანი ყოფილა. (ჰაინრიხს.) რატომ გინდოდა ჩვენთვის ქალაქის ჩაბარება?

ჰაინრიხი — მღვდლების გადარჩენა მინდოდა, ხალხს მათი გაჟლეტა სურს.

გეცი — რატომღა გადაიფიქრე?

ჰაინრიხი — შენი დაქირავებული ჯარისკაცები ვნახე.

გეცი — მერე?

ჰაინრიხი — სახეზე ანერიათ ყველაფერი.

გეცი — რაო, მაინც ისეთი რა ანერიათ?

ჰაინრიხი — ის, რომ ჩემი მცდელობა, რამდენიმე ადამიანი გადავარჩინო, ქალაქის ამოჟლეტით დამთავრდება.

გეცი — შენ რა, არასოდეს გინახავს დაქირავებული ჯარისკაცები? არ იცოდი, რომ მათ კეთილი სახეები არა აქვთ?

ჰაინრიხი — ესენი გაცილებით უარესები ჩანან.

გეცი — კარგი ერთი. ყველა ჯარისკაცი ერთმანეთს ჰგავს. რა, ანგელოზებს ელოდი?

ჰაინრიხი — არა, ადამიანებს. მათთვის სხვათა შებრალება მინდოდა მეთხოვა. თუ შემომფიცავდნენ, რომ ხელს არავის ახლებდნენ, მე მათ ქალაქში შევიყვანდი.

გეცი — ჩემს სიტყვას თუ ენდობი?

ჰაინრიხი — შენ სიტყვას? (უყურებს გეცს.) შენ გეცი ხარ?

გეცი — დიას მე..

ჰაინრიხი — მე... მე მგონი, რომ შენი ნდობა შეიძლება.

გეცი — სიტყვაზე? (პაუზა.) კარგი, მომიცია ეგ სიტყვა. (ჰაინრიხი ჩუმადაა.) თუ ქალაქში შეგვიყვან, გეფიცები, ყველას სიცოცხლეს ვაჩუქებ.

ჰაინრიხი — გინდა, რომ დაგიჯერო?

გეცი — აკი ასეთი განზრახვა გქონდა?

ჰაინრიხი — კი, მქონდა, სანამ გნახავდი.

გეცი — (სიცილს იწყებს.) მართალი ხარ. ვინც მნახავს, ჩემს სიტყვას იშვიათად თუ ენდობა. ეტყობა, სახეზე მანერია, რომ მაგდენი ჭკუა მყოფნის, ნათქვამი გადავთქვა. მომისმინე: სცადე, სიტყვაზე დამიჭირო, სცადე, მხოლოდ სცადე... ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ ქრისტიანი ვარ: გინდა ბიბლიაზე დაგიფიცო? უბრალოდ მენდე. თქვენ, მღვდლები აკი სულ იმის ცდაში ხართ ბოროტნი სიკეთით აცთუნოთ?



**ჰაინრიხი** — შენი ცთუნება სიკეთით? წარმომიდგენია, რა სიამოვნებას მოგანიჭებდი, ეს რომ მეცადა.

**გეცი** — შენ გამიგე. (ღიმილით უყურებს.) გაეთრიეთ ყველანი! ოფიცრები და კატერინა გადიან.

## სცენა მეოთხე

### გეცი, ჰაინრიხი

**გეცი** — (თითქმის დამტკბარი.) მთლად ოფლში გავღვრილხარ. როგორ იტანჯები!

**ჰაინრიხი** — სხვებივით მაინც არ ვიტანჯები. ღმერთმა ინება სხვების ტანჯვა უტანჯველად მეტარებინა... რას მიყურებ?

**გეცი** — (ისევ დამტკბარი ხმით.) მეც მქონია ასეთი ორპირი სიფათი. გიყურებ და საკუთარი თავი მეცოდება. მე და შენ ერთი ჯიშისანი ვართ.

**ჰაინრიხი** — ტყუილია! შენ საკუთარ ძმას უღალატე, მე ჩემს ძმებს არ ვუღალატებ!

**გეცი** — ამაღამ უღალატებ.

**ჰაინრიხი** — არც ამაღამ და არც არასდროს.

პაუზა.

**გეცი** — (გულგრილად.) ნეტა რას უზამენ ღატაკები მღვდლებს? საყასბოს კაუჭებზე ჩამოჰკიდებენ?

**ჰაინრიხი** — (ყვირის.) გარჯიდი! (ხელებს თავში იტაცებს.) ომი საშინელებაა. მე ერთი საწყალი მღვდელი ვარ და ამ საშინელების თავიდან აცილება არ შემიძლია.

**გეცი** — ნუ თვალთმაქცობ! ამაღამ 20000 კაცის სიკვდილ-სიცოცხლეს შენ განაგებ.

**ჰაინრიხი** — არ მინდა ასეთი განმგებლობა. იგი ეშმაკისეულია.

**გეცი** — გინდა თუ არ გინდა, შენს ხელთაა. (ჰაინრიხი გარბის.) ეჰჰე! გარბიხარ? რაკი გარბიხარ, ჩანს, გადაგინყვეტია კიდევ.

ჰაინრიხი ბრუნდება, გეცს უყურებს და იცინის.

**ჰაინრიხი** — მართალი ხარ. გაოქცევი თუ თავს მოვიკლავ, ამით არაფერი შეიცვლება. ერთიცა და მეორეც თავის დაძვრენის ხერხია. მე ღმერთის რჩეული ვარ.

**გეცი** — უფრო სწორი იქნებოდა გეტქვა, ვირთხას ვგავარო.

**ჰაინრიხი** — ეგ იგივეა. რჩეული ის არის, ვისაც ღმერთის ხელი კედელს მიაჭყლებს. (პაუზა.) ღმერთო, რალა მე ამირჩიე?

**გეცი** — (ნაზად.) ხედავ, აგონიაც გენყება. მინდა ტანჯვა შეგიმსუბუქო. ნება მომეცი, დაგეხმარო.

**ჰაინრიხი** — შენ დამეხმარო, როცა ღმერთი დუმს? (პაუზა.) მაშ, გეტყვი, ვიცრუე: მისი რჩეული არა ვარ. აბა, მე რა რჩეული ვარ? ვინ მაძალბდა ქალაქიდან გამოსვლას? ვინ დამავალა, შენს სანახავად მოვსულიყავი? სიმართლე რომ გითხრა, მე თვითონ ავირჩიე ჩემი თავი. როცა შენსკენ მოვემართებოდი, რომ ჩემი ძმების შეწყალება მეთხოვა, მაშინვე ვიყავი დარწმუნებული, ვერაფერს მივალწვედი. შენმა და შენი ჯარისკაცების ბოროტმა გამომეტყველებამ კი არ გადამაფიქრებინა, არამედ იმან, რომ თქვენი ნამდვილი სახე თვალნათლივ დავინახე. ვოცნებობდი ბოროტების ჩადენას და როგორც კი დავინახეთ, მივხვდი, რომ მართლაც ვიყავი ჩამდენი. იცი, ლატაკები რომ მძულს?

**გეცი** — კი, ვიცი.

**ჰაინრიხი** — რატომ გამირბიან, როცა ხელს ვუნწვი? რატომ იტანჯებიან ჩემზე მეტად? ღმერთო, რატომ დაუშვი ლატაკების არსებობა ამქვეყნად? ან რატომ ბერად არ აღმკვეცე? მონასტერში ხომ მხოლოდ შენი ვიქნებოდი. მაგრამ მარტო შენ როგორ უნდა გეკუთვნოდე, როცა ადამიანები არსებობენ და შიმშილით იხოცებიან. (გეცს მიმართავს.) აქ იმიტომ მოვედი, ყველანი შენთვის გადმომეცა, იმედი მქონდა, ყველას გაანადგურებდი და მეც დამავინწყებოდა, რომ ისინი როდისმე არსებობდნენ.

**გეცი** — ახლა რალა გიშლის?

**ჰაინრიხი** — გადავიფიქრე; შენ ქალაქში არ შეხვალ.

**გეცი** — ვინ იცის, იქნებ ღმერთის ნებაა, ქალაქში შეგვიშვა? ყური მიგდე: თუ გაჩუმდები, მღვდლები ამაღამვე დაიხოცებიან - ეჭვი არ შეგეპაროს. მაგრამ ლატაკები, შენ გგონია ისინი კი გადარჩებიან? ალყას არ მოვხსნი. ერთ თვეში ვორმსში ყველა ჩაძალდება. მათი ბედი შენზე ჰკიდია. ორ სიკვდილს შორის ერთი შეგიძლია აირჩიო. ლაჩარო, ჯობს, უფრო სწრაფი სიკვდილი აირჩიო. იცი, ამით, რას მოიგებენ ლატაკები? თუკი ამაღამვე განუდებიან, მღვდლების ამოხოცვამდე, ხელები სისხლში აღარ ექნებათ გასვრილი და უკლებლივ სამოთხეში მოხვდებიან. სხვა არჩევანის შემთხვევაში, დიდი-დიდი რამდენიმე კვირა კიდევ აცოცხლო, მერე კი სისხლში ამოთხვრილებს პირდაპირ ჯოჯოხეთში გაამგზავრებ. მისმინე, მღვდლო: შენ ახლა ეშმაკი გკარნახობს, შეუნარჩუნო მათ მინიერი სიცოცხლე, რომ სულის წაწყმედა მოასწრონ. (პაუზა.)



მითხარი ბარემ, როგორ შევიდე ქალაქში?

**ჰაინრიხი** — შენ არ არსებობ.

**გეცი** — რაო?

**ჰაინრიხი** — შენ არ არსებობ. შენი სიტყვები მანამდე კვდებიან, ვიდრე ჩემს სმენას მოაღწევინ. შენი სიფათის პატრონი დღისით არც უნდა ჩნდებოდე. ვიცი, რასაც იტყვი, წინასწარ ვგრძნობ შენს ყოველ მოძრაობას. შენ ჩემი ქმნილება ხარ და მე გკარნახობ ფიქრებს. მე სიზმარში ვარ - ყველაფერი მკედარია და ჰაერი ბანგით არის გაჟღერებული.

**გეცი** — თუ ასეა, მეც სიზმარში გხედავ, თანაც ისე ცხადად, რომ უკვე მომწყინდი. ისლა დაგვრჩენია, დავადგინოთ, ვის ვინ ესიზმრება.

**ჰაინრიხი** — მე ქალაქიდან არ გამოვსულვარ. ქალაქიდან არ გამოვსულვარ! ჩვენ მოხატული ტილოების წინ ვთამაშობთ. აბა, დიდებულო ოქროპირო, გაითამაშე კომედია, როლი ზეპირად იცი? ჩემი როლია ვთქვა: არა! არა! არა! არა და არა! ვერაფერს მე უბნები? ყოველივე ეს მხოლოდ საცთურია, ყოვლად ჩვეულებრივი, თანაც სიცხადესაც არა ჰგავს. საიდან მოვხვდებოდი მე გეცის ბანაკში? (მიუთითებს ქალაქზე.) ნეტავი ეს სინათლეები ჩაქრებოდნენ! ქალაქს იქ რა უნდა, მე აკი მის შუაგულში ვიმყოფები? (პაუზა.) ვიცი, რომ მაცთუნებენ, მაგრამ არ ვიცი, რა მიზნით. (გეცს.) ერთი კი დანამდვილებით ვიცი, წამიც და ეშმაკს ვიხილავ: როგორც კი ეშმაკი თავის დამანჭულ სახეს გამომიჩენს, სპექტაკლი ფანტასმაგორიებით იწყება.

**გეცი** — ნანახი გყავს?

**ჰაინრიხი** — უფრო ხშირად, ვიდრე შენ დედაშენი გინახავს.

**გეცი** — ვგავარ?

**ჰაინრიხი** — შე საცოდავო, შენ ხომ ტაკიმასხარა ხარ.

**გეცი** — ტაკიმასხარა?

**ჰაინრიხი** — ტაკიმასხარა ყოველთვის საჭიროა. მისი როლია, მე შემენინაალმდეგოს. (პაუზა.) სწორი გამოვდექი.

**გეცი** — რა თქვი?

**ჰაინრიხი** — სწორი გამოვდექი-მეთქი. უკანასკნელი სინათლე ჩაქრა. ვორმისის ეშმაკეული მოლანდებაც გაქრა. კიდეც ცოტა და შენც გაუჩინარდები და ეს სასაცილო ცთუნებაც დამთავრდება. ლამეა. გარს ყველგან ლამეა. რა სიმშვიდეა.

**გეცი** — განაგრძე, მღვდლო, ნულარ შეჩერდები. უკვე გამახსენდა, რაც უნდა თქვა. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა... ჰო, ჩემო ძმაო, ზუსტად მახსენდება: ო, როგორ გინდა, ეს ლამე მხო-

ლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფი იყოს. მეც, სწორედ ეგ მინდოდა.

**ჰაინრიხი** — *(ჩურჩულებს.)* ნეტა სად გამეღვიძება?

**გეცი** — *(სიცილს იწყებს.)* შენ გლვიძავს, გაიძვერავ, და მშვენივრად იცი, რომ გლვიძავს. ყოველივე ცხადში ხდება. შემომხედე, ხელი შემახე, შენს წინ ვდგავარ ცოცხალი და ხორციელი. აჰა, შეხედე, მთვარეც ამოდის და შენს ეშმაკეულ ქალაქს ეფინება. კარგად შეხედე: განა ეს წარმოსახვაა? კარგი ერთი. ეს ხომ ნამდვილი კლდეა, ნამდვილი გალავანი, ნამდვილი ქალაქი, ნამდვილი ხალხით სავსე, შენ კი ნამდვილი მოღალატე ხარ.

**ჰაინრიხი** — მოღალატე მხოლოდ ის არის, ვინც ღალატს სჩადის. მე ღალატს არ ჩავიდენ. რომ გასკდე კიდეც, არ ჩავიდენ.

**გეცი** — ვინც მოღალატეა, ღალატსაც ის სჩადის. შენ ღალატს აუცილებლად ჩაიდენ; ასეა მღვდელო, შენ უკვე მოღალატე ხარ. ორი მხარე პირისპირ დგას და გინდა ერთდროულად ორივეგან იყო; ორმაგ თამაშს თამაშობ ანუ ორ ენაზე ფიქრობ. ღატაკთა გაჭირვებას საეკლესიო ლათინურზე გამოცდას ეძახი, გერმანულად კი უთანასწორობას. იმაზე უარესი რაღა მოგივა, მე რომ ქალაქში შემიშვებ? უბრალოდ მოღალატე გახდები, ის, რაც სულ იყავი, მუდამ, ეგ არის და ეგ. მოღალატე, რომელიც ღალატს სჩადის, თავის თავთან უკვე შერიგებული მოღალატეა.

**ჰაინრიხი** — საიდან იცი ყოველივე, თუ ჩემი კარნახით არ ლაპარაკობ?

**გეცი** — ვიცი, მეც ხომ მოღალატე ვარ. *(პაუზა.)* შენი გასაველელი გზა უკვე გავლილი მაქვს. აბა, შემომხედე: ფერი არ მოგნონს ჩემი, თუ ჯანღონეს მიწუნებ?

**ჰაინრიხი** — ჯანღონით სავსე ხარ, რადგან ისე იქცევი, როგორც შენი ბუნება ვთხოვს. ქვეყანამ იცის, რომ ყველა ნაბიჭვარი მოღალატეა. მე კი ნაბიჭვარი არა ვარ.

**გეცი** — *(ყოყმანობს, დაარტყას თუ არა, მაგრამ თავს იკავებს.)* წესადა მაქვს, ნაბიჭვარს კაცი რომ დამიძახებს, იმას სიტყვა აღარ გავამეორებინო.

**ჰაინრიხი** — ნაბიჭვარო!

**გეცი** — მღვდელო, მღვდელო, გონს მოდი! ნუ მაიძულებ, ყურები დაგაჭრა. თუმცა ეგ ვერაფერი ბედენაა, თუ ენას დაგიტოვებ. *(უცებ ეხვევა.)* სალამი, ჩემო უმცროსო ძმაო, მოგესალმები, ჩემო ძმაო, მოგესალმები, როგორც ნაბიჭვარს. შენც ხომ ნაბიჭვარი ხარ. შენს გასაჩენად სამღვდელოება სილატაკესთან დანვა... ოჰ, რა უღიმღამო ვნებაა! *(პაუზა.)* ცხადია, ცხადი, რომ ყველა ნაბიჭვარი მოღალატეა. აბა, სხვა რა უნდა აკეთონ? დაბა-

დეზიდანვე გაორებული ბუნება მქონია. დედაჩემი ვილაც მანან-  
ნალას დაუნვა და ორი შეუთავსებელი ნახევრისაგან გამაკეთეს.  
ამ ნახევრებს მე ვერასოდეს გავამთელებ: ერთიმეორისათვის ამა-  
ზრზენნი არიან, არადა, ხომ არ გგონია, რითიმე მჯობიხარ? ნახე-  
ვრად მღვდელს რომ ნახევრად ლატაკი მივუმატოთ, ერთი მთლი-  
ანი ადამიანი მაინც არ გამოვა. ჩვენ არა ვართ რა და არა გვაქვს  
რა. ამქვეყნად ყველა კანონიერ ბავშვს საზღაურის გარეშე შეუ-  
ძლია გაიხაროს. მაგრამ ვერც შენ და ვერც მე ვერ გავიხარებთ.  
სამყაროს ბავშვობიდანვე კლიტის ჭუჭრუტანიდან ვუმზერ: იგი  
ერთი მშვენიერი, პატარა სავსე კვერცხია, სადაც ყველას კუთ-  
ვნილი ადგილი უკავია, მაგრამ გარნმუნებ, ჩვენ მის შიგნით არ  
ვიმყოფებით, მის გარეთ ვართ. უარყავი ეს სამყარო, რომელსაც  
შენ არ უნდებარ! ჰქმენ ბოროტება, იცი, რა მსუბუქად იგრძნობ  
თავს! (შემოსულ ოფიცერს.) რა გინდა?

**ოფიცერი** — არქიეპისკოპოსის კაცი გეახლათ.

**გეცი** — შემოვიდეს.

**ოფიცერი** — ახალი ამბავი მოიტანა. მტერმა 7 ათასი მო-  
კლული დაგვიტოვა. ეს უკანდახევაა.

**გეცი** — ჩემი ძმა სად არის? (ოფიცერს უნდა ყურში რალაცა  
უთხრას.) ნუ მიახლოვდები. ხმამაღლა ილაპარაკე.

**ოფიცერი** — კონრადი მოკლულია.

*ამ მომენტიდან ჰაინრიხი დაჟინებით უყუ-  
რებს გეცს.*

**გეცი** — გვამი იპოვეს?

**ოფიცერი** — კი.

**გეცი** — როგორ მდგომარეობაში იპოვეს? მიპასუხე?

**ოფიცერი** — მთლად სახენაშლილი.

**გეცი** — ნახმლევეებისაგან?

**ოფიცერი** — მგლებისაგან.

**გეცი** — მგლებისაგან? აქ მგლები იცის?

**ოფიცერი** — არნჰაიმის ტყეში...

**გეცი** — კეთილი. ჯერ აქ ეს საქმე მოვამთავრო. მერე მთე-  
ლი ჯარით თავს დავეცემით. არნჰაიმის ყველა მგელს მუსრს გავა-  
ვლებ. გასნი. (ოფიცერი ვადის. პაუზა.) უზიარებლად მოკვდა; მგლებ-  
მა სახე დაუგლიჯეს, მაგრამ, ხედავ, მე ვიღიმები.

**ჰაინრიხი** — რატომ უღალატე?

**გეცი** — საქმის ბოლომდე მიყვანა მიყვარს და იმიტომ.  
მღვდლო, მე თვითონ შევქმენი ჩემი თავი. ნაბიჭვრად გამაჩინეს,  
მაგრამ ძმის მკვლელის სახელი მე მოვიპოვე, თავად. (პაუზა). ახლა



ის ჩემია, მხოლოდ ჩემი.

**ჰაინრიხი** — რა არის შენი?

**გეცი** — ჰაიდენშტამის სრული სამკვიდრო. სხვა ჰაიდენ-შტამები აღარ არიან. ახლა ეს გვარი მელა შემრჩა, ყველაფერი, რაც ალბერტიკით დაიწყო და კონრადით დამთავრდა, ჩემია, მე მეკუთვნი, მე ვარ ერთადერთი მემკვიდრე. კარგად შემომხედე, მღვდლო. მე საგვარეულო აკლამა ვარ. რატომ იცინი?

**ჰაინრიხი** — მეგონა, ამაღამ მარტო მე ვნახავდი ეშმაკს, ახლა ვრწმუნდები, ერთად ვიხილავთ.

**გეცი** — ეშმაკი ფეხებზე მკიდია. იგი ხელთ კი იგდებს სულს, მაგრამ მათი ნაწყმედა არ ძალუძს. მე მხოლოდ ღმერთთან ვინებებ საქმის დაჭერას, ურჩხულსაც და წმინდანსაც მხოლოდ იგი ქმნის. ღმერთი მე მხედავს, მღვდლო, იცის, ძმა რომ მოვკალი და ამაზე გულიდან სისხლი სდის. დიახ, უფალო, ძმა მოვკალი. და რა შეგიძლია ჩემს წინააღმდეგ მოიმოქმედო? უმძიმესი დანაშაული ჩავიდინე, მაგრამ სიმართლის ღმერთს არ ძალუძს ჩემი დასჯა: თხუთმეტ წელზე მეტია, რაც დამწყველა, სხვა რაღა უნდა მიყოს! მაგრამ მოვრჩეთ, დღეისთვის საკმარისია. დალუვა მინდა. დღეს ჩემი ზეიმია.

**ჰაინრიხი** — *(ჯიბიდან გასაღებს იღებს და გეცს აწვდის.)*

**გეცი** — რა არის?

**ჰაინრიხი** — გასაღებია.

**გეცი** — რისი გასაღები?

**ჰაინრიხი** — ეორმსის.

**გეცი** — ხომ ვითხარი, დღეისათვის კმარა მეთქი. ბოლოს და ბოლოს ძმა იყო ჩემი! ყოველდღე კი არ ვასაფლავებ ძმას! ხომ შეიძლება, სვალამდე შევბუღება ავილო?

**ჰაინრიხი** — *(მისკენ მიიწევს.)* მხდალო!

**გეცი** — გასაღებს თუ გამოგართმევ, ყველაფერს გადავწვავ.

**ჰაინრიხი** — აქ, ხევის სიღრმეში დიდი თეთრი კლდეა. იმ კლდის ძირას ბუჩქებით დაფარული ხვრელია. ხვრელიდან მინისქვეშა გასასვლელში შეხვალთ და მიაღებთ კარს, რომელსაც ეს გასაღები აღებს.

**გეცი** — ლატაკების მადლს მოისხამ! როგორ დაგლოცავენ.

**ჰაინრიხი** — ეგ მე აღარ მეხება; მე სული უკვე წავინწყმიდე, ჩემი ლატაკები შენთვის მომინდვია; ახლა არჩევანი შენზეა, ბუშო...

**გეცი** — წუთის წინ არ მეუბნებოდი, რომ საკმარისია ჩემი სიფათის დანახვა...

**ჰაინრიხი** — ცუდად დამინახავს.

გეცი — ახლა რაღას ხედავ?

ჰაინრიხი — იმას, რომ შენი თავი თვითონვე გეზიზღება.

გეცი — ეგ კი მართალია, მაგრამ არ შეცდე. უკვე 15 წელია თავი მეზიზღება. მერედა რა? ნუთუ ვერ გაიგე, რომ ბოროტება ჩემი არსებობის აზრია. მოიტა ეგ გასაღები. (ართმევს გასაღებს.) ეჰ, მღვდელო, ბოლომდე ფიქრობდი თავის მოტყუებას. გეგონა რაღაც ისეთი ხერხი აღმოაჩინე, ღალატი აშკარა არ იქნებოდა. მაგრამ ღალატს მაინც ვერ ასცდი. კონრადი გეცი.

ჰაინრიხი — კონრადი?

გეცი — ნუ ლელავ; ისე ძალიან მგავხარ, რომ საკუთარი თავი მგონიხარ.

გადის.

## მესამე სურათი

გეცის კარავი. მთვარის შუქზე კარვის შესასვლელიდან შორს ქალაქი მოსჩანს.

## სცენა პირველი

### ჰერმანი, კატერინა.

ჰერმანი შემოდის და ცდილობს გასაშლელ სანოლს ამოეფაროს. თავსა და ზედა ტანს მაღავს, უშველელები უკანალი კი უჩანს. შემოდის კატერინა, მიეპარება და ფეხს ამოარტყამს. ჰერმანი შეშინებული წამოხტება. კატერინა უკან იწევს და იცინის.

მესამე ოფიცერი, ჰერმანი — ხმა, კრინტი! არ დაიყვირო! კატერინა — თუ დავიყვირებ, დაგიჭერენ და გეცი სახრჩობელაზე ჩამოგკიდებს. ჯობია, მოვილაპარაკოთ. რას უპირებ?

ოფიცერი — შენ რომ ძარღვებში სისხლი გდიოდეს, კახპავ, ჩემს გასაკეთებელს შენ გააკეთებდი. კმარა, გასნი აქედან და ღმერთს მაძღობა შესწირე, რომ შენს მაგივრად სხვები ირჯებიან.

კატერინა — თუ მოკლავთ, მე რა მომივა? მთელი ბანაკი

დამერევა.

ოფიცერი — გაგაქცევთ.

კატერინა — ფულსაც მომცემთ?

ოფიცერი — ცოტას.

კატერინა — სამზითვო ფული მომეცით და მონასტერში წავალ.

ოფიცერი — შენ და მონასტერი? ერობაში თუ ირჩევ ყოფნას, ყველაფერზე მეტად საროსკიპო მოგიხდება. თეძობის რხევის ისეთი ნიჭი გაქვს, დიდხალ ოქროს დააგროვებ. გადანყვიტე, შენგან მხოლოდ დუმილი მჭირდება.

კატერინა — მენდე, გავჩუმდები. არ გაგცემ. ის კი არ ვიცი, საიმისოდ გავწირავ თუ არა, რომ მოგაკვლევინოთ.

ოფიცერი — რატომ?

კატერინა — ჩვენი მიზნები სხვადასხვაა, ძვირფასო კაპიტანო. მამაკაცს შეუძლია თავისი ღირსება მახვილით აღიდგინოს. მე კი მან კახპად მაქცია და მაგის აღდგენა ბევრად უფრო რთულია. (პაუზა.) ამაღამ ქალაქს აიღებენ. ომი დამთავრდება. ყველა თავის გზას გაუდგება. აი, როცა შემოვა, ვკითხავ, რას მიპირებს... თუ არ ვამაგდებს...

ოფიცერი — შენ გგონია, დაგიტოვებს? ხომ არ გაგიჟდი? რაში სჭირდება?

კატერინა — თუ დამიტოვებს, თითსაც ვერ დააკარებ.

ოფიცერი — თუ გაგაგდებს?

კატერინა — მაშინ შენთვის დამითმია. თუ დავიყვირებ „ახია შენზე, გეც“, სამალავიდან გამოდი და, რაც გინდა, ის უყავი.

ოფიცერი — რალაც არ მომწონს ეს გარიგება! ვერ ვიტან, როცა ჩემი საქმე ქალზეა დამოკიდებული.

კატერინა — (მთელი ამ დროის განმავლობაში გარეთ იყურება.) მაშინ პირქვე დაემხე, შეწყალება სთხოვე, მეტი არაფერი დაგზრჩენია.

ჰერმანი სასწრაფოდ იმალება. კატერინა იცინის.



## ს ც ე ნ ა მ ი ო რ ი

ბეცი, კატერინა, კერმანი დამალული.

ბეცი — (შემოდის.) რა გაცინებს?

კატერინა — ჩემს სიზმრებზე მეცინება: მკვდარი მესიზმრე, ზურგში ხანჯალგაყრილი. (პაუზა.) ენა ამოიდგა?

ბეცი — ვინ?

კატერინა — მღვდელმა.

ბეცი — რომელმა მღვდელმა? ჰო, აბა, რას იზამდა.

კატერინა — მაშ, ამაღამ მოხდება?

ბეცი — ეგ შენი საქმე არ არის. ჩექმა გამხადე. (კატერინა ჩექმებს ხდის.) კონრადი მოუკლავთ.

კატერინა — ვიცი. მთელმა ბანაკმა იცის.

ბეცი — დამისხი. ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ. (კატერინა ღვინოს აწვდის.) შენც დალიე.

კატერინა — არ მინდა.

ბეცი — დალიე, ღვთის სახელით! დღეს დღესასწაულია.

კატერინა — მშვენიერი დღესასწაულია. მკვლელობით დაიწყო და ხოცვა-ჟლეტით დამთავრდება.

ბეცი — უბედნიერესი დღე დამიდგა. ხვალ საკუთარი სამფლობელოებისაკენ გავწე.

კატერინა — რა გეჩქარება?

ბეცი — ერთი სული მაქვს. 30 წელია, ამაზე ვოცნებობ. ნუთნსაც აღარ დაგვარგავ. (კატერინა აღელვებული ჩანს.) რა იყო, შეუძლოდ ხარ?

კატერინა — (თავს ერევა.) ერთ რამედ ღირს შენი მოსმენა. ამბობ, ჩემი მიწებიო. კონრადის სხეული კი ჯერ არ გაცივებულა.

ბეცი — უკვე 30 წელია, რაც გულის სიღრმეში ამ მიწებს ჩემად ვთვლი. (ჭიქას სწევს.) ჩემი მიწებისა და ჩემი სასახლის სადღეგრძელოს ვსვამ. მომიჭახუნე. (კატერინა ჩუმად სწევს თავის ჭიქას.) შენი მიწებისა იყოს-თქო, მითხარი.

კატერინა — არ გეტყვი.

ბეცი — რატომ არ მეტყვი, კახპავ?

კატერინა — იმიტომ, რომ ეგ მიწები შენ არ გეკუთვნის. ვითომ რა, აღარ ხარ ნაბიჭვარი, რაკი ძმა მოკალი? (ბეცი იცინის, სილის გარტყმას მოუწოდებებს, კატერინა აიცდენს და სიცილ-სიცილით უკან იხევს.) მიწები მემკვიდრეობით გადადის.

**გეცი** — ნეტა ისეთი რა უნდა მოეცათ, მაგ მემკვიდრეობაზე დავთანხმებულებიყავი. ჩემი ის არის, რასაც თვითონ მოვიპოვებ. მომიჭახუნე, თორემ გავბრაზდები.

**კატერინა** — შენი მინებისა იყოს, შენი სასახლისა!

**გეცი** — დაე, სასახლის დერეფნები ღამღამობით გაგული-სებულმა მოჩვენებებმა გაავსონ.

**კატერინა** — აბა რა, მასხარავ, მაყურებელი ხომ გჭირდება. მოჩვენებებისა იყოს. (პაუზა.) ასე რომ, ძვირფასო, შენი მხოლოდ ისაა, რასაც შენით მოიპოვებ, არა?

**გეცი** — მხოლოდ და მხოლოდ.

**კატერინა** — მაშ, ციხე-სიმაგრისა და სამფლობელოს გარდა, ერთი ფასდაუდებელი განძიც გეკუთვნის, მაგრამ არც გაგონდება.

**გეცი** — რა განძი?

**კატერინა** — მე, ჩემო ძვირფასო, მე. განა ძალით არ მომი-პოვე? (პაუზა.) მე რას მიპირებ? გადანყვიტე!

**გეცი** — (უყურებს და ფიქრობს.) თან წაგიყვან.

**კატერინა** — წამიყვან? (აღუღვებული დადის.) რატომ წამი-ყვან? ისტორიულ სასახლეში გინდა კახპას დაუდო ბინა?

**გეცი** — დედაჩემის ლოგინში მინდა კახპა ჩავანვინო.

**კატერინა** — უარი რომ გითხრა? რომ არ გამოგყვე?

**გეცი** — ზუსტად მაგის იმედი მაქვს, რომ არ გამოგყვები.

**კატერინა** — მაშ, ძალით გინდა წამიყვანო. ეგ უკვე რაღაცას ნიშნავს. სირცხვილი იქნებოდა, ნებით წამოგყოლოდი. (პაუზა.) რატომ გაქვს ყოველთვის იმის სურვილი, ძალით წაიღო, რაც ნებით გეძლევა?

**გეცი** — იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ, გულით არ მაძ-ლევენ. (კატერინასკენ მიდის.) შემომხედე, კატერინა, რაღაცას მი-მაღაე.

**კატერინა** — (სწრაფად.) მე? არაფერს.

**გეცი** — ერთი ხანია, შეიცვალე. ხომ ძველებურად გეჯავრები?

**კატერინა** — რაც მართალია, მართალია! მეჯავრები.

**გეცი** — ისევ ჩემს მოკვლაზე ოცნებობ?

**კატერინა** — ღამღამობით მაგაზე ფიქრი არ მასვენებს.

**გეცი** — არ გავინყდება, რომ დაგამცირე და წაგბილნე?

**კატერინა** — ეგეც სულ მახსოვს.

**გეცი** — ჩემი ალერსი გეზიზღება?

**კატერინა** — გული მერევა.

**გეცი** — მშვენიერია. შენს მკლავებში ნეტარებას განვიციდით, რომ გეთქვა, მაშინვე გაგაგდებდი.



კატერინა — კი მაგრამ...

გეცი — აღარაფრის ფლობა არ მაინტერესებს, ქალის აღერსიც კი აღარ მინდა.

კატერინა — რატომ?

გეცი — ყელში ამომივიდა. 20 წლის განმავლობაში, ყველა სამონყალოდ მაძლევს ყველაფერს, იმ ჰაერსაც კი, რომელსაც ვსუნთქვ; ნაბიჭვარი ხომ ხელებს უნდა უკოცნიდეს ყველას, ვინც მისთვის წყალობას გამოიმეტებს. ოჰ, ახლა მე გავცემ წყალობას, თანაც რა უხვად!

ფრანცი — (შემოდის.) მისი აღმატებულების დესპანი გეახლათ.

გეცი — შემოვიდეს.

## სცენა მესამე

### იზიპენი, ბანკირი.

ბანკირი — მე ფუკრი ვარ.

გეცი — მე გეცი ვარ, ეს კატერინაა.

ბანკირი — ბედნიერი ვარ, მივესალმო ასეთ დიდ მხედართმთავარს.

გეცი — მეც დიდად ბედნიერი ვარ, მივესალმო დიდ ბანკირს.

ბანკირი — სამი საუცხოო ამბავი მოგიტანეთ.

გეცი — არქიეპისკოპოსმა გაიმარჯვა, ჩემი ძმა მოკვდა და მისი მთელი ავლადიდება ამიერიდან მე მეკუთვნის, ამის თქმა გინდოდათ?

ბანკირი — ნამდვილად, მე...

გეცი — მოდი, აღვნიშნოთ. დალევთ რამეს?

ბანკირი — კუჭი მანუხებს. არანაირი სასმელი არ მესმევა... მე...

გეცი — თუ გინდა, ამ ლამაზ გოგოს მოგართმევ!

ბანკირი — ჩემი ხნის კაცს გოგო რად უნდა?

გეცი — ჩემო სანყალო კატერინა, არ უნდისხარ. (ბანკირს), იქნებ ბიჭები გირჩევნიათ? ამაღამვე გაახლებ კარავში.

ბანკირი — არა, არა, არავითარი ბიჭები! არავითარი ბიჭები! მე...

გეცი — ლანდსკნებტზე რას მეტყვი? ექვსი ფუტის სიმაღლისაა, სახებანჯგვლიანი, ნამდვილი პოლიფემია.

ბანკირი — ოჰ, ოჰ, ეგ მითუმეტეს...

გეცი — მაშინ დიდებით შეგამოვობთ. (*იძახის*). ფრანც! (*ფრანცი შემოდის*). ფრანც, საპატიოდ გაატარე ბანკირი; ჯარისკაცებმა „გაუმარჯოს ბანკირს“ იყვირონ და ქუდები ჰაერში ისროლონ.

*ფრანცი გადის.*

ბანკირი — მაგაზე მადლობის მეტი რა მეტქმის, მაგრამ ყველაფერს აჯობებდა, ცალკე გვესაუბრა.

გეცი — (*გაკვირვებით*) აბა, სხვას რას ვაკეთებთ, რაც აქა ხართ. (*კატერინაზე მიუთითებს*.) აჰ, ამაზე ბრძანებთ? ისე ჩათვალეთ, თითქოს კატა იყოს ან ძაღლი. ნუ მოგერიდებათ, ბრძანეთ, რაც გენებოთ.

ბანკირი — მისი აღმატებულება, ცნობილია, რომ მშვიდობის მომხრეა, ხოლო თქვენს განსვენებულ ძმას, მოგესხენებათ, ამ ომში დიდი დანაშაული მიუძღვის.

გეცი — (*მრისხანედ*) ჩემი ძმა! მაგ ბებერ ჯაგლაგს მოთმინების ფიალა რომ არ აევსო მისთვის...

ბანკირი — ბატონო ჩემო...

გეცი — დაივინყეთ, რაც გითხარით. დიდად მადლიერი დაგრჩებოდით, ჩემი ძმის სახელს თუ არ მიხსენებთ. ასეა თუ ისე, ჭირისუფალი მქვია.

ბანკირი — მის აღმატებულებას სურს მშვიდობის დამყარება განსაკუთრებული მოწყალებით აღინიშნოს.

გეცი — დიდებულია! საპატიმროთა კარებს დახსნის?

ბანკირი — საპატიმროთა კარებს? ო, არა!

გეცი — იქნებ მის აღმატებულებას სურს, დასჯილი ჯარისკაცები გავათავისუფლო?

ბანკირი — მის აღმატებულებას სწორედ ეგა სურს. მაგრამ გაცილებით ფართოდ. მისი აზრით, ამნისტია ვორმისის ყველა მცხოვრებს უნდა შეეხოს.

გეცი — რას მეუბნებით?!

ბანკირი — მან გადაწყვიტა უნებლიე შეცდომების გამო არ დასაჯოს ისინი.

გეცი — ვერაფერს იტყვი. დიდებული აზრია.

ბანკირი — ნუთუ შევთანხმდით? ასე უცებ?

გეცი — შევთანხმდით!

*ბანკირი ხელებს იფშენეტს.*

ბანკირი — მაშ, ყველაფერი რიგზეა. თქვენ გონიერი ადამიანი ხართ. როდის ფიქრობთ ალყის მოხსნას?

გეცი — ხვალ ყველაფერი დამთავრდება.

**ბანკირი** — ხვალ, ცოტა ნაადრევი იქნება. მის აღმატებულებას სურს მოელაპარაკოს ალყაში მყოფთ. თუ თქვენი ჯარი კიდევ რამდენიმე დღე დარჩება ქალაქის კედლებთან, მოლაპარაკება გაადვილდება.

**გეცი** — გასაგებია, მოლაპარაკებას ვინ გამართავს?

**ბანკირი** — მე.

**გეცი** — როდის?

**ბანკირი** — ხვალ.

**გეცი** — შეუძლებელია.

**ბანკირი** — რატომ?

**გეცი** — კატერინა, ვუთხრათ?

**კატერინა** — ვუთხრათ, ჩემო სიცოცხლე!

**გეცი** — შენ უთხარი. მე ვერ ვბედავ, მეშინია, არ გამინანყენდეს.

**კატერინა** — ხვალ, ბანკირო, ქალაქში ძეხორციელი აღარ დარჩება.

**ბანკირი** — როგორ?

**გეცი** — ყველას ამოვხოცავთ.

**ბანკირი** — ყველას ამოვხოცავთ?

**გეცი** — ყველას. ამაღამვე. ხედავთ ამ გასაღებს? ეს ქალაქის გასაღებია. ერთი საათის შემდეგ უღებთ დაიწყება.

**ბანკირი** — ყველას გაჟღეტთ? მდიდრებსაც?

**გეცი** — მდიდრებსაც.

**ბანკირი** — კი, მაგრამ არქიეპისკოპოსის შეწყალება რომ მოინონეთ?

**გეცი** — ახლაც მომწონს. ის მღვდელმსახურია და შეურაცხყოფილია. პატიების ორი მიზეზი აქვს. მე რატომ უნდა ვაპატიო? ვორმის მცხოვრებლებს ჩემთვის არ შეუცოდავთ. არა, არა, მე მეომარი ვარ, ანუ ჩემი ხელობა კაცის კვლავ, მოვალეობა მკარნახობს, დავხოცო, ხოლო არქიეპისკოპოსის მოვალეობა შეუნდოს, მისი ხელობა ეგ არის.

*პაუზა. ბანკირი სიცილს იწყებს. მას კატერინა და ბოლოს გეციც აჰყვება.*

**ბანკირი** — (იციინის.) ხუმრობა გყვარებით.

**გეცი** — კი, თუ რაიმე მიყვარს, ხუმრობაა!

**კატერინა** — რა ენამოსწრებულია, არა?

**ბანკირი** — ძალიან, თავისი საქმეც კარგად მიჰყავს.

**გეცი** — რომელი საქმე?

**ბანკირი** — უკვე 30 წელია ერთ პრინციპს მივდექ: სამყაროს ანგარება მართავს. ადამიანები ჩემს წინაშე უკეთილშობილესი გან-



ზრახვებით ამართლებენ საკუთარ საქციელს. ცალი ყურით ვისმენ ხოლმე მათ ნალაპარაკებს და თან ჩემს თავს ვეუბნები: მიხვდი, რა სარგებელს ეძებს.

**გეცი** — როცა მიხვდებით, რას აკეთებ?

**ბანკირი** — ვცდილობ, მოველაპარაკო.

**გეცი** — მე რა სარგებელს ვეძებ?

**ბანკირი** — რა გითხრათ.

**გეცი** — მაინც? მაინც?

**ბანკირი** — ნუ ვიჩქარებთ. თქვენ რთულად გასაგებ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნით. თქვენთან მოლაპარაკება ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წარიმართოს.

**გეცი** — მაინც რომელ კატეგორიას?

**ბანკირი** — იდეალისტების კატეგორიას.

**გეცი** — ეგ რაღაა?

**ბანკირი** — იცით, ადამიანებს სამ კატეგორიად ვყოფ: ერთი - ვისაც ბევრი ფული აქვს, მეორე - ვისაც სრულებით არა აქვს, და მესამე - ვისაც ცოტა აქვს. პირველ კატეგორიას იმის შენარჩუნება სურს, რაც აქვს. მისი მიზანია წესრიგის დაცვა. მეორეს სურს, ხელში ჩაიგდოს ის, რაც არ გააჩნია. მისი მიზანია, დაანგრიოს არსებული სოციალური წყობა და თავისთვის სასარგებლო წყობილება დაამყაროს. პირველი და მეორე კატეგორიის ადამიანები რეალისტები არიან. მათთან შეთანხმება შესაძლებელია. მესამე კატეგორიას სურს დაამხოს სოციალური წყობა, რათა ხელში ჩაიგდოს ის, რაც არა აქვს, თანაც იმას ცდილობს, რაც აქვს, არ დაკარგოს, მაშასადამე, ამ კატეგორიის ადამიანები ინარჩუნებენ იმას, რასაც იდეაში ანადგურებენ, ან სინამდვილეში ანგრევენ იმას, რასაც თითქოს ინარჩუნებენ. აი, ესენი არიან იდეალისტები.

**გეცი** — საბრალონი, როგორ ვუმკურნალოთ?

**ბანკირი** — სხვა სოციალურ კატეგორიაში უნდა გადავიყვანოთ. თუ გაამდიდრებთ, არსებულ წყობას დაიცავენ.

**გეცი** — მაშ, გამამდიდრეთ. რას მთავაზობთ?

**ბანკირი** — კონრადის მიწებს.

**გეცი** — ეგ ხომ უკვე მომეცით.

**ბანკირი** — მართალია, მაგრამ გაიხსენეთ, ამ სიკეთეს მის აღმატებულებას უნდა უმაღლოდეთ.

**გეცი** — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეგ დავიხსომე. მერედა რა?

**ბანკირი** — თქვენს ძმას ვალები ჰქონდა.

**გეცი** — სანყალი.

*პირველს იწერს, ნერვიულად ქვითინებს.*

**ბანკირი** — რა დაგემართათ?

**გეცი** — დიდი არაფერი. ნათესაური გრძნობები მომეძალა. მაშ, ვალები ჰქონია?

**ბანკირი** — ჩვენ გადავიხდით.

**გეცი** — ეგ არ მენაღვლება, რადგან არ ვაპირებ, თავს ვიდო მათი გადახდა. მაგაზე მევალებმა ინაღვლონ.

**ბანკირი** — ათასი დუკატი რენტა...

**გეცი** — ჩემს ჯარისკაცებს რა ვუყო, უარი რომ თქვან, ცარიელი ხელებით არ წავალთო?

**ბანკირი** — ათასი დუკატი რომ დავურიგოთ, არ იკმარებს?

**გეცი** — მეტიც არის.

**ბანკირი** — მაშ შევთანხმდით?

**გეცი** — არა.

**ბანკირი** — ორი ათასი დუკატი რენტა, სამი ათასი, მეტს არ მოგცემთ.

**გეცი** — ვინ გეხვეწებათ?

**ბანკირი** — მაშ, რალა გინდათ?

**გეცი** — ქალაქის ალება და მისი მიწასთან გასწორება.

**ბანკირი** — მესმის, რომ ქალაქის ალება გსურთ, მაგრამ ეშმაკმა დალაზვროს, მის დანგრევას რალად თხოულობთ?

**გეცი** — ყველა იმას მთხოვს, არ დაანგრიოთ, ამიტომაც მინდა დავანგრიო.

**ბანკირი** — ეტყობა, შევცდი.

**გეცი** — რალა თქმა უნდა, ვერ მიმიხვდით, რა მამოძრავებს, სარგებელი რაშია. ეძებეთ, ეძებეთ, იქნებ აღმოაჩინოთ! მაგრამ იჩქარეთ. ერთ საათში უნდა იპოვოთ: თუ ვერ მიაგნებთ იმ ძაფებს, რითაც თოჯინებს ათამაშებენ, ქალაქს სულ ქუჩა-ქუჩა დაგატარებთ და საკუთარი თვალით დაგანახებთ, როგორ გადავწვავთ თითოეულ სახლს.

**ბანკირი** — თქვენ არქიეპისკოპოსის ნდობას ღალატობთ.

**გეცი** — ღალატი? ნდობა? ყველა რეალისტი ერთ ყალიბზეა გამოჭრილი. სათქმელი რომ შემოგელევათ, სიტყვებს იდეალისტებისაგან სესხულობთ.

**ბანკირი** — ქალაქს თუ გადაბუგავთ, კონრადის მიწებს დაკარგავთ.

**გეცი** — თქვენთვის მიჩუქნია. მე მიწების ხელში ჩაგდება და იქ დასახლების უინი მქონდა, მაგრამ სულაც არა ვარ თქვენსავით დარწმუნებული, რომ კაცი მუდამ სარგებლისთვის ირჯება. თქვენი

იყოს ეს მინები, მისმა აღმატებულებამ უკან შეიტენოს. არქიეპისკოპოსს ძმა ვანაცვალე და 20000 მანანალა რა გამიხდა. ვორმისის მცხოვრებლებს კონრადის სულს შევნირავ, მისი სულის სახსენებლად მოიხრაკონ. რაც შეეხება ჰაიდენშტამის სამფლობელოს, იქ არქიეპისკოპოსი დასახლდეს. თუ უნდა მიწათმოქმედებას მიჰყოს ხელი. გამოადგება, რადგან განზრახული მაქვს, ამაღამვე მშრალზე დავსვა. (პაუზა.) ფრანც! (ფრანცი შემოდის.) წაიყვანე ეს ბებერი რეალისტი, თვალყური მიადევნე, ყველანაირი პატივი მიაგონ და, როცა კარავში დაბრუნდება, მაგრად გაუკარით ხელ-ფეხი.

**ბანკირი** — არა, არა, არა!

**გეცი** — რა არა?

**ბანკირი** — რემატიზმები ისედაც მკლავს და თქვენი თოკები ბოლოს მომიღებს. სიტყვას გაძლევთ, კარვიდან ფეხს არ მოვიცვლი.

**გეცი** — სიტყვაზე გენდო? ჯერჯერობით შენთვის სასარგებლოა სიტყვა მომცე, მაგრამ ძალიან მალე უსარგებლო იქნება მისი შესრულება. წაიყვანე, ფრანც, და თოკები, რაც შეიძლება, მაგრად შემოუჭირე.

*ფრანცი და ბანკირი გადიან. გარედან ისმის შეძახილები: გაუმარჯოს ბანკირს! ხმები ჯერ ახლოსაა, მერე კი სუსტდება.*

## სცენა მეოთხე

*გეცი, კატერინა, ჰერმანი, დამალული.*

**გეცი** — გაუმარჯოს ბანკირს! (გადაიხარხარებს.) მშვიდობით, მინებო! მშვიდობით, ყანებო და მდინარეებო! მშვიდობით სასახლე!

**კატერინა** — (იცინის.) მშვიდობით, მინებო! მშვიდობით, სასახლე! მშვიდობით, საგვარეულო სურათებო!

**გეცი** — ნუ დაგენანება, იქ ცხოვრება საშინლად მოსანყენი იქნებოდა. (პაუზა.) ბებერი სულელი. (პაუზა.) არ უნდა გამოვეწვიე.

**კატერინა** — ბრაზობ?

**გეცი** — რა შენი საქმეა. (პაუზა.) ბოროტებამ ყველას ბოროტება უნდა მოუტანოს და უპირველეს ყოვლისა, ვინც მას სჩადის.



კატერინა — (გაუბრდავად.) იქნება სჯობდეს, ქალაქი არ აგელო?

გეცი — ქალაქს თუ არ ავიღებ, შენ სასახლის ქალბატონი ვერ გახდები.

კატერინა — ამაზე არ მიფიქრია.

გეცი — ცხადია, არ გიფიქრია. გაიხარე: ქალაქს ავიღებ.

კატერინა — რატომ?

გეცი — იმიტომ, რომ ეს ბოროტებაა.

კატერინა — რად გინდა ბოროტება?

გეცი — იმიტომ, რომ სიკეთე უკვე გაკეთდა.

კატერინა — ვინ გააკეთა?

გეცი — მამალღმერთმა. მე კი რასაც ვაკეთებ, ჩემით ვთხოვ. შეი, სასწრაფოდ უხმეთ კაპიტან შენეს. (კარავის შესასვლელთან დგას და გარეთ იყურება).

კატერინა — რას უყურებ?

გეცი — ქალაქს (პაუზა.) ვიხსენებ, მთვარე თუ იყო...

კატერინა — როდის...სად?..

გეცი — შარშან, ჰალეს რომ ვიღებდი. მაშინაც ასეთი ღამე იყო. კარვის შესასვლელთან ვიდექი და სათვალთვალო კოშკს გაცქეროდი გალავნის თავზე. გათენებისას იერიშზე გადავედი. (კატერინასკენ მიდის.) ასეა თუ ისე, სანამ აქაურობა აყროლდება, ავითესები. ცხენს მოვახტები და, ჰაიდა...

კატერინა — შენ... შენ ნახვალ?

გეცი — ხვალ, შუადღემდე, ისე, რომ არავის გავაფრთხილებ.

კატერინა — მე?

გეცი — შენ ნესტოები დაიცავი და ღმერთს შესთხოვე, ქარმა აქეთ არ დაუბეროს. (შემოდის კაპიტანი.) ნახევარ საათში მზად უნდა იყვნენ ვოლფმარისა და ულრიხის პოლკები — ორი ათასი იარაღსამული მეომარი. ყველა დანარჩენთათვის განგაში უნდა გამოცხადდეს. შეასრულეთ უჩირაღდნებოდ და უხმაუროდ. (კაპიტანი გადის.) მოკლედ, ჩემო ღამაზო, სასახლის ქალბატონობა არ გელირსება.

კატერინა — ვშიშობ, რომ მართლაც არ მეღირსება.

გეცი — იმედი გაგიცრუვდა?

კატერინა — დიდი იმედი არცა მქონია.

გეცი — რატომ?

კატერინა — კარგად გიცნობ და იმიტომ.

გეცი — (მძაფრად.) შენ? მე მიცნობ? (ჩერდება და იცინის).

ეტყობა ყურადღებით უნდა ვიყო. ჩანს, თავში პატარ-პატარა აზრებიც მოგდის, ფიქრობ, რომ ჩამიჭირო, მიყურებ, მითვალთვალებ...

**კატერინა** — ძალიც ხომ უყურებს ეპისკოპოსს?

**გეცი** — მართალია, მაგრამ ის ძალისთავიან ეპისკოპოსს ხედავს. მე რა, ძალის თავი მაზია, კახპავ, თუ თეფისა? (უყურებს.) მოდი ჩემთან ლოგინში.

**კატერინა** — არ მოვალ.

**გეცი** — მოდი-მეთქი, შენთან დანოლა მინდა.

**კატერინა** — არასოდეს მახსოვხარ ასეთი დაფინებული. (გეცი მხარზე ჰკიდებს ხელს.) ასეთი სულსწრაფი, რა დაგემართა?

**გეცი** — ნიშანს სხვა მაძლევს, ის, ვისაც ახურებული გეცის თავი ადგას. მე და ის უნდა შევერთდეთ; ყველაფერს ამას ხომ კაეშანი ახლავს, კაეშანი კი ვნებას აღმიძრავს.

**კატერინა** — კაეშანმა შეგიპყრო?

**გეცი** — კი. (კარვის სიღრმეში მიდის, ჯდება სანოლზე, დამალული ოფიცრისაგან ზურგშექცევით.) მოდი, კახპავ, რაღას უცდი.

*კატერინა მისკენ მიდის და ძალით წამოაყენებს, მერე მის ადგილას ჯდება.*

**კატერინა** — მოვდივარ, შენი ვარ, მაგრამ ჯერ მითხარი, რა მომივა?

**გეცი** — როდის?

**კატერინა** — ხვალიდან.

**გეცი** — აბა, მე რა ვიცი. რაც გინდა, ის გააკეთე.

**კატერინა** — გამოდის, კახპა უნდა გავხედე.

**გეცი** — მე მგონი, უკეთესს ვერაფერს იზამ.

**კატერინა** — თუ არ მინდა?

**გეცი** — ვინმე სულელი იშოვე და გათხოვი.

**კატერინა** — შენ რაღას გააკეთებ?

**გეცი** — ვიომებ. ამბობენ, ჰუსისტები ამოძრავდნენო. ავდგები და მათთან წავალ.

**კატერინა** — მეც წამიყვანე.

**გეცი** — რატომ?

**კატერინა** — ზოგჯერ ქალიც ხომ მოგინდება? როცა მთვარე გაანათებს, როცა ქალაქი გექნება ასალები, კაეშანი შეგიპყრობს და სიყვარული მოგინდება.

**გეცი** — ყველა ქალი ერთნაირია. დამჭირდება და, ჩემი ჯარისკაცები იმდენს მომიყვანენ, რამდენიც მომესურვება.

**კატერინა** — (მკვახედ.) არ მინდა.

**გეცი** — არ გინდა?

**კატერინა** — მე შემიძლია ვიყო 20 ქალი, თუ გინდა ას

ქალად გადავიქცევი. მსუბუქი ვარ, ცხენზე შემისვი, არ დავამძიმებ. მინდა შენი საროსკოპო ვიყო.

*ეხვევა გეცს.*  
**გეცი** — რა დაგემართა? (პაუზა. გეცი უყურებს. უცებ მიმართავს.) ნადი, შენს მაგივრად მე მრცხვენია.

**კატერინა** — (მუდარით.) გეც!

**გეცი** — ვერ ვიტან, ასე რომ შემომციცინებ. ყველაფერ იმის შემდეგ, რაც გაგიკეთე, მართლა კახბა უნდა იყო, რომ გიყვარდე.

**კატერინა** — არ მიყვარხარ! გეფიცები! კიდეც რომ მიყვარდე, თქმით ვერასოდეს გეტყვი. შენ რა დაგიშავდება, თუ ვინმეს უყვარხარ და არ გეუბნება.

**გეცი** — არავის სიყვარული არ მჭირდება. თუ გიყვარვარ, მაშინ მთელ სიამოვნებას შენ იღებ. გასწი, კახბავ. არ მინდა, ვინმე ჩემით სარგებლობდეს.

**კატერინა** — (ყვირის.) გეც, გეც, ნუ გამავდებ, შენს მეტი ქვეყანაზე არავინა მყავს

*გეცს მისი გაგდება უნდა კარვიდან. კატერინა ებლაუჭება.*

**გეცი** — ნახვალ თუ არა?

**კატერინა** — ახია შენზე, გეც! (ჭრმანი გამოდის სამალავიდან და დანით ხელში გეცს მივარდება.) აა, ფრთხილად!

**გეცი** — (უცებ შემოტრიალდება და ჭრმანს მკლავში ჩააგლებს ხელს.) ფრანც! (შემოდის ჯარისკაცები. გეცი იცინის.) ის მაინც მოვახერხე, რომ ერთი ადამიანი ნყობიდან გამომეყვანა.

**ჭრმანი** — (კატერინას.) შე ძუკნა, გამყიდველო.

**გეცი** — (კატერინას.) მისი თანამზრახველი იყავი? ეს კი მომწონს. (ნიკაპზე უაღურსებს.) წაიყვანეთ... ახლავე გადაწვევტ მის ბედს.

*ჯარისკაცებს ჭრმანი გაჰყავთ. პაუზა.*

**კატერინა** — რას უზამ?

**გეცი** — ვერავის ვერ გავამტყუნებ, ვისაც ჩემი მოკვლა სურს. ძალიან კარგად მესმის მათი... ებრძანებ, კასრივით გახვრიტონ, მაინც კასრსა ჰგავს.

**კატერინა** — მე რაღას მიზამ?

**გეცი** — მართალია, შენც უნდა დაგსაჯო.

**კატერინა** — გაიძულებს ვინმე?

**გეცი** — კი. (პაუზა.) ბევრ ჩემს ჯარისკაცს ნერწყვი მოსდის შენს დანახვაზე. ჰოდა, მათ მივართმევ შენს თავს. თუ ცოცხალი გადარჩი, ვინმე ცალთვალა, სიფილისით სახეგამოჭმულ ჯარისკაცს



მოქმედები და ეს ჩვენი ვორმსელი მღვდელი ჯვარს დაგნერთ.

კატერინა — არ მჯერა.

გეცი — არ გჯერა?

კატერინა — არა, შენ მაგას არ იზამ, დარწმუნებული ვარ, რომ არ იზამ.

გეცი — არ ვიზამ? (*იძახის.*) ფრანც! ფრანც! (*შემოდის ფრანცი და ორი ჯარისკაცი.*) საპატარძლოს მიხედუ, ფრანც.

ფრანცი — რომელ საპატარძლოს?

გეცი — კატერინას. ჯერ ყველას საზეიმოდ მიათხოვებ, მერე კი...

## სცენა მეხუთე

### ივიკენი, ნასტი.

*შემოდის ნასტი, გეცისაჲენ მიემართება და ყურზე არტყამს.*

გეცი — ე, გლეხუჭავ, რას სჩადი?

ნასტი — ყურზე გირტყამ.

გეცი — ვგრძნობ. (*სწვდება.*) ვინა ხარ?

ნასტი — ნასტი, მეპურე.

გეცი — (*ჯარისკაცებს.*) მართლა ნასტია?

ჯარისკაცი — დიახ.

გეცი — კარგი ნადავლია, ჩემმა მზემ.

ნასტი — შენი ნადავლი არა ვარ. თვითონ ჩაგბარდი.

გეცი — ეგრე იყოს. შედეგი იგივეა. დღეს ღმერთი უხვად მასაჩუქრებს. (*უყურებს ნასტის*). მაშ, ეს ყოფილა ნასტი, გერმანიის ყველა ლატავის სენიორი. სწორედ ასეთი წარმომედგინე. სათნოებასავით უსახური.

ნასტი — მე სათნო არა ვარ. სათნოები ჩვენი შვილები იქნებიან, თუ იმდენ სისხლს დავღვრით, რომ მათ ბედნიერების უფლებას მივანიჭებთ.

გეცი — წინასწარმეტყველიც ყოფილხარ.

ნასტი — როგორც ყველა.

გეცი — მართლა? მაშ, მეც წინასწარმეტყველი ვარ?

**ნასტი** — თითოეული სიტყვა ღვთის ნაბოძებია. ყოველი სიტყვა ყოვლის მთქმელია.

**გეცი** — ერთი ამას დამიხედეთ! გამოთქმებში, ეტყობა, სიფრთხილე მმართველს.

**ნასტი** — რა აზრი აქვს, ყოველი ნათქვამი სიტყვა გაგცემს.

**გეცი** — კარგი, ახლა შენ მიპასუხე და ეცადე დაწვრილებით არ მოჰყვე, თორემ ლაპარაკი გაგვიგრძელდება. მოკლედ, შენ ნასტი ხარ, წინასწარმეტყველი და მეპურე.

**ნასტი** — დიას, მე ვარ.

**გეცი** — შენზე ამბობდნენ, ვორმსშიაო.

**ნასტი** — იქიდან წამოვედი.

**გეცი** — ამ ლამეს?

**ნასტი** — კი.

**გეცი** — ჩემთან გინდოდა ლაპარაკი?

**ნასტი** — მინდოდა მაშველი ჯარი შემეგროვებინა და ზურგიდან შემომეტია.

**გეცი** — ბრწყინვალე აზრია. რატომ გადაიფიქრე?

**ნასტი** — ბანაკში რომ გამოვიარე, გავიგე, ვილაც მოლაღატეს ქალაქის გასაღები გადმოუცია თქვენთვის.

**გეცი** — ალბათ თავბრუ დაგეხვა, ეგ რომ გაიგე.

**ნასტი** — კი, ძნელი მოსასმენი იყო.

**გეცი** — მერე, რა მოხდა?

**ნასტი** — ქვაზე ვიჯექი კარვის უკან. დავინახე, როგორ განათდა კარავი და როგორ ამოძრავდნენ ლანდები. იმ ნუთას შენთან მოსვლა და ლაპარაკი მებრძანა.

**გეცი** — ვინ გიბრძანა?

**ნასტი** — როგორ ფიქრობ? ვინ მიბრძანებდა?

**გეცი** — მართლაცდა ვის უნდა ებრძანებინა? ბედნიერი კაცი ხარ; გიბრძანეს და იცი, ვინც გიბრძანა. წარმოიდგინე, მეც მიბრძანეს. იცი, რა მიბრძანეს? ვორმსი დანვიო. მაგრამ ვერაფრით ვერ ვიგებ, ვინ მაძლევს ბრძანებებს. (პაუზა.) ღმერთმა გიბრძანა, ყურზე გაარტყიო?

**ნასტი** — კი.

**გეცი** — რატომ გიბრძანა?

**ნასტი** — არ ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ ის ცვილი გამეხვრიტა, რომლითაც ყურები გაქვს დაცობილი.

**გეცი** — შენს შესაპყრობად დიდი თანხაა დანიშნული. ღმერთმა გაგაფრთხილა?

**ნასტი** — ღმერთს ჩემი გაფრთხილება არ სჭირდებოდა.

ყოველთვის ვიცოდი, როგორ დავამთავრებდი ჩემს ცხოვრებას.

**გეცი** — შენ მართლა წინასწარმეტყველი ყოფილხარ.

**ნასტი** — წინასწარმეტყველება რა შუაშია. ჩვენი სიტანებს სიკვდილის ორად ორი გზა აქვს. მორჩილნი შიმშილით იხოცებიან, ურჩნი სახრჩობელაზე ადიან. თორმეტი წლისამ უკვე იცი, მორჩილი იქნები თუ ურჩი.

**გეცი** — კარგია. ახლა კი ჩემს წინ მუხლებზე დაემხე.

**ნასტი** — რატომ?

**გეცი** — მე მგონი, ის დროა, შეწყალება ითხოვო. რა, ღმერთმა არ გიბრძანა?

*ფრანცი ჩექმებს აცმევს.*

**ნასტი** — არა, შენ შეწყალება არ იცი, არც ღმერთმა იცის. რატომ უნდა ვითხოვო? როცა ჩემი დრო მოვა, მეც არავის დავინდობ.

**გეცი** — (დგება.) რა ეშმაკმა მოგიყვანა ჩემთან?

**ნასტი** — თვალები აგიხილო, ძმაო ჩემო.

**გეცი** — ოჰ, რა მშვენიერი ღამეა. ყველაფერი მოძრაობს. ღმერთი მინაზე დადის. ვარსკვლავები ჩემს კარაზე ცვივიან და აი, ეგეც, ერთ-ერთი უმშვენიერესი ვარსკვლავი—ნასტი მეპურე, წინასწარმეტყველი, რომელსაც სურს თვალები ამიხილოს. ვინ იფიქრებდა, რომ ცა და მიწა ასე შენუხდებოდნენ 25 ათასიანი ქალაქისათვის. მითხარი ერთი, მეპურე, ვინ დაამტკიცებს, რომ ეშმაკის მსხვერპლი არა ხარ?

**ნასტი** — როცა მზე თვალსა გჭრის, გიმტკიცებს ვინმე, ღამე არ არისო?

**გეცი** — ღამით, როცა მზეზე ოცნებობ, ვინ გიმტკიცებს, რომ დღეა? იქნებ მეც ვიხილე ღმერთი? ჰა, რას იტყვი? მაგ ორი მზიდან, რომელია უფრო ნამდვილი? (პაუზა). ყველანი ხელში მყავხართ, ყველანი: ის ქალიც, ჩემი მოკვლა რომ სურდა, არქი-ეპისკოპოსის დესპანიც და შენც, ლატაკთა მეფე. ღმერთის მარჯვენამ შეთქმულება ჩაშალა, დამნაშავენი გამოააშკარავა. კიდევ უკეთესი, მისმა ერთ-ერთმა მსახურმა ქალაქის გასაღები მომიტანა.

**ნასტი** — (შეცვლილი ხმით, ბრძანებლური კილოთი და სხარტად.) მისმა ერთ-ერთმა მსახურმა? რომელმა?

**გეცი** — რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, რაკი უნდა მოკვდე. მოდი, აღიარე, რომ ღმერთი ჩემს მხარეზეა.

**ნასტი** — შენს მხარეზე? არა, შენ ღმერთის კაცი არა ხარ. უკეთეს შემთხვევაში, ერთი მუქთახორა ხარ.

**გეცი** — შენ რა იცი?



**ნასტი** — ღმერთის რჩეულნი ანგრევენ ან აშენებენ; შენ კი არაფერს ცვლი

**გეცი** — მე?

**ნასტი** — შენ არეულობას თესავ; არეულობა კი დამყარებულნი ნესრიგის საუკეთესო მსახურია. კონრადის ღალატით მთელი რაინდობა დააუძღურე, ახლა ვორმსის დანგრევით მთელ ბურჟუაზიას დაასუსტებ. ვის მოუტანს ეს სარგებელს? ამა ქვეყნის დიდებულთ. შენ მდიდრებს ემსახურები, გეცი, და რაც უნდა მოიმოქმედო, მუდამ მათ მოემსახურები. ნგრევა ასუსტებს ღატაკებს, ამდიდრებს მდიდრებს, ძლიერთ კიდეც უფრო აძლიერებს.

**გეცი** — გამოდის, იმის საწინააღმდეგოს ვაკეთებ, რაც მინდა. (ირონიით.) საბედნიეროდ, ღმერთმა შენი თავი მომივლინა, რომ განმანათლო. რას მთავაზობ?

**ნასტი** — ახალ კავშირს.

**გეცი** — ოჰ, ახალი ღალატი მზადდება? დიდებულთა! ამას, ყოველ შემთხვევაში, მიჩვეული ვარ და დიდად არ იმოქმედებს, მაგრამ თუ ვერ შევუერთდი ვერც მოქალაქეებს, ვერც რაინდებსა და ვერც დიდებულებს, არ მესმის, ვისთან უნდა დავამყარო კავშირი?

**ნასტი** — აილე ქალაქი, მდიდრები და მღვდლები გაჟლიტე, ქალაქი ღატაკებს გადაეცი, გლეხებისაგან შემდგარი ჯარით არქიეპისკოპოსი განდევნე და ხვალ მთელი ქვეყანა შენ გამოგყვება.

**გეცი** — (გაკვირვებული.) ღატაკებს გინდა შევუერთდე?

**ნასტი** — დიახაც, ღატაკებს. ქალაქისა და სოფლის ღატაკებს.

**გეცი** — უცნაური წინადადებაა!

**ნასტი** — ისინი შენი ბუნებრივი მოკავშირენი არიან. თუ მართლა ნგრევა გინდა, თუ მინასთან აპირებ გაასწორო სატანის მიერ აგებული სასახლეები და ეკლესიები, დაამსხვრიო წარმართული კერპების უზამსი ქანდაკებები, დაწვა ათასობით წიგნი, ეშმაკეულ ცოდნას რომ ავრცელებს, მოსპო ოქრო და ვერცხლი, მაშინ ჩვენთან მოდი. ჩვენს გარეშე ტყუილ-უბრალოდ ირჯები და ბოროტებას მხოლოდ საკუთარ თავს აყენებ. ჩვენთან ყოფნით შენ ღმერთის მათრახად იქცევი.

**გეცი** — ბურჟუებს რას უპირებთ?

**ნასტი** — სიმდიდრეს წავართმევთ - ტიტვლებს შევმოსავთ და მშვიდრებს დავაპურებთ.

**გეცი** — მღვდლებს რაღას უზამთ?

**ნასტი** — რომში გავუშვებთ.

**გეცი** — დიდებულებს?

**ნასტი** — თავებს დავაყრევივინებთ.

**გეცი** — როცა არქიეპისკოპოსს გავაძევებთ, მაშინ რაღას იზამთ?

**ნასტი** — მაშინ ღმერთის ქალაქს ავაშენებთ.

**გეცი** — რა საფუძველზე ააშენებთ?

**ნასტი** — ძმობისა და ერთობის საფუძველზე. ყველანი ღმერთში არიან, ღმერთი კი ყოველ ჩვენთაგანშია. სულიწმიდა ყველას პირით მეტყველებს, ყველა ადამიანში მღვდელი და წინასწარმეტყველია, ყველას შეუძლია ნათლისცემა, ჯვრის დანერა, ხარება და ცოდვების მიტევება. ადამიანი ყველას წინაშე საერთო ცხოვრებით იცხოვრებს ამქვეყნად, ღმერთის წინაშე კი - მარტოსულის ცხოვრებით.

**გეცი** — თქვენს ქალაქში აღარავინ გაიცინებს.

**ნასტი** — განა შეიძლება იცინო იმაზე, რაც გიყვარს? კანონად სიყვარული გამოცხადდება.

**გეცი** — მერე, მე რა უნდა ვაკეთო თქვენთან?

**ნასტი** — ყველას ტოლი და სწორი შეიქმნები.

**გეცი** — თუკი არ მინდა თქვენი ტოლი ვიყო?

**ნასტი** — ყველას თანასწორი ან დიდგვაროვანთა მსახური, არჩევანი შენგა.

**გეცი** — შენი წინადადება ურიგო არაა, მეპურევე, მაგრამ საქმე ის არის, რომ ლატაკები მწყინდება ხოლმე. ყველაფერი ეჯავრებათ, რაც მე მომწონს.

**ნასტი** — შენ რა მოგწონს?

**გეცი** — ყველაფერი, რისი დანგრევაც თქვენ გსურთ. ქანდაკებები, სიმდიდრე, ომი.

**ნასტი** — მთვარე შენ ხომ არ გეკუთვნის, ბრიყვო, შენ კი იმისთვის იბრძვი, რომ დიდებულები მისი ცქერით დატკბნენ.

**გეცი** — (*გულწრფელი და გულიანი ტონით.*) რა ვქნა, მიყვარს დიდგვაროვნები.

**ნასტი** — შენ? შენ ხომ მათ ხოცავ.

**გეცი** — ჰო, დროდადრო ცოტ-ცოტას ვხოცავ ხოლმე, მაგრამ მათი ცოლები ნაყოფიერნი არიან და ერთი მოკლეულის სანაცვლოდ ათს ბადებენ. მე ყველას ჩამოხრჩობა არ მინდა. ჩემი ხელით გინდათ მზე ჩააბნელოთ და ყველა ჩირაღდანი ჩააქროთ? მაშინ ხომ გაუთენარი ღამე დადგება?

**ნასტი** — ახლა რაღა ხარ, უქმი აურზაური?

**გეცი** — დიახ, უქმი. ადამიანთათვის უქმი. მაგრამ მე ადა-

მიანი არ მედარდება. ღმერთი მისმენს, ღმერთს ვუხვრეტ ყურებს და ეს ჩემთვის საკმარისია. ჩემი ერთადერთი ღირსეული მტერი ღმერთია. არის ღმერთი, ვარ მე და არიან მოჩვენებები. ამაღამ ღმერთს ჯვარს ვაცვამ შენი და 20000 ადამიანის სიკვდილით. თუ მისი ტანჯვა უსაზღვროა, უსაზღვრო ხდება ისიც, ვინც მას ეგ ტანჯვა მიაყენა. ქალაქი გადაიბუგება და ღმერთმა ეს იცის. ამ წუთას მას ეშინია, ვგრძნობ ამას; მის მზერას ჩემს ხელებზე ვგრძნობ, ჩემს თმას მისი სუნთქვა ეხება; მისი ანგელოზები ტირიან. როგორც ერთი უბრალო ადამიანი, ის თავისთავს ეუბნება: იქნებ გეცმა ვერ გაბედოსო. იტირეთ, იტირეთ, ანგელოზებო, გავბედავ. მის შიშსა და მრისხანებას არად ჩავგაგდებ, ქალაქს ცეცხლი მოედება. უფლის სული სარკვეებიანი დერეფანია, ცეცხლი მილიონობით სარკეში აირეკლება. მაშინ მეცოდინება, რომ პირწავარდნილი ურჩხული ვარ. (ფრანცს.) ჩემი მახვილი.

**ნასტი** — (შეცვლილი ხმით.) ლატაკები შეიბრალებ. არქივის-კოპოსი მდიდარია, მისი გაჩანაგებით შევიძლია გაერთო, ლატაკებს კი, გეც, ლატაკებს ტანჯვას გაუათყვეცებ და ეგ ვერაფერი გართობაა.

**გეცი** — არა, ეგ რა გართობაა.

**ნასტი** — მაშ, რა არის?

**გეცი** — მოვალეობა.

**ნასტი** — დაგიჩოქებ და შეგევედრები.

**გეცი** — მე კი მეგონა, მუდარა აკრძალული გქონდა.

**ნასტი** — აკრძალული არაფერია, თუკი ლატაკებს გადაარჩენ.

**გეცი** — წინასწარმეტყველო, მეჩვენება თუ ღმერთმა ხაფანგში გაგაბა? (ნასტი მხრებს იჩეჩავს.) იცი, რა მოგელის?

**ნასტი** — ნამება და ჩამოხრჩობა. აკი გითხარი, მე ეს ყოველთვის ვიცოდლი.

**გეცი** — დიახ, ნამება და ჩამოხრჩობა...ნამება და ჩამოხრჩობა... რა ერთფეროვნებაა. ბოროტების ქმნაში მოსაწყენი ისაა, რომ თანდათანობით შეჩვევა იცის. არნახული ნიჭი გჭირდება, ერთთავად ახალ-ახალი რამ მოიგონო. ამაღამ შთავგონება მაკლია.

**კატერინა** — აღმსარებელი მოუყვანე!

**გეცი** — ვინ?

**კატერინა** — უალსარებოდ კაცს სასიკვდილოდ ნუ გაისტუმრებ.

**გეცი** — ნასტი! ხედავ, ეგეც არნახული ნიჭი! ცხადია, კარგო კაცო, ცოდვებს შენდობა სჭირდება. ეს ჩემი ქრისტიანული ვალია. გარდა ამისა, ერთი სიურპრიზიც გელის. (ფრანცს.) ნადი, მღვდელი



მოიყვანე... (ნასტის). ბენვის ხიდს მივადექით, რაც ყველაზე მეტად მიყვარს. ვნახოთ, ვინ როგორ გაივლის. კარგია? ცუდია? გონება მაგას ვერ განსჯის.

**ნასტი** — რომის ეკლესიის მსახური შეურაცხოვას არ მომაყენებს.

**გეცი** — განამებენ, ვიდრე აღსარებას არ გათქმევენებენ შენდა სასიკეთოდ.

შემოდის ჰაინრიხი.

## სცენა მეექვსე

### იზივენი და ჰაინრიხი.

**ჰაინრიხი** — რაც შეგეძლო, ყველანაირი ბოროტება მომაყენე. ახლა გამიშვი.

**გეცი** — რას აკეთებდა?

**ფრანცი** — სიბნელეში იჯდა და თავს აქნევდა.

**ჰაინრიხი** — რა გინდა ჩემგან?

**გეცი** — მინდა შენი ხელობის მიხედვით დაგსაქმო. ამ ქალს ახლავე ფვარი უნდა დასწერო. ეს კი უკანასკნელად აზიარო.

**ჰაინრიხი** — ეს... (შეხედავს ნასტის.) ...!

**გეცი** — (თითქოს გაკვირვებულია.) იცნობთ ერთმანეთს?

**ნასტი** — მაშ, ეს ყოფილა ის ღვთისმსახური, გასაღები რომ მოგცა?

**ჰაინრიხი** — არა! არა! არა!

**გეცი** — არა გრცხვენია, მღვდელი, რომ ტყუი?

**ჰაინრიხი** — ნასტი. (ნასტი ზედ არ უყურებს.) აბა, მღვდლებს ხომ არ დავახოცინებდი? (ნასტი არ პასუხობს. ჰაინრიხი უახლოვდება.) თქვი, შეიძლებოდა ეს ამბავი დამეშვა? (პაუზა. ბრუნდება და გეცისაკენ მიდის.) რა სჭირს ამას სააღსარებო?

**გეცი** — უნდა ჩამოახრჩონ.

**ჰაინრიხი** — მაშინ იჩქარეთ და სასწრაფოდ ჩამოახრჩეთ. აღსარებისათვის კი სხვა მღვდელი მოძებნეთ.

**გეცი** — ან შენ, ან არავინ.

**ჰაინრიხი** — ესე იგი არავინ. (გასელა უნდა.)

**გეცი** — მოიცა. (ჰაინრიხი შეჩერდება.) უაღსარებოდ გინდა მოკვდეს?

**ჰაინრიხი** — (ნელა ბრუნდება.) არა, ტაკიმასხარავ, ეგ უსამართლობა იქნება. უნდა ვაზიარო. (ნასტის.) დაიჩოქე. (პაუზა.) არ გინდა? მე ძმავო, ეკლესიის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, ამიტომაც, ეკლესიის სახელით ცოდვებს შევინდობ. გინდა, ყველას წინაშე მოვიწინაო ჩემი ცოდვა? (ყველას.) მე, ბოროტებითა და ღვარძლით აღსავსემ, ჩემი ქალაქი ამოსაჟულეტად გავიმეტე. ყველასგან ზიზღის ღირსი ვარ. შემომაფურთხე სახეში და ამით დავამთავროთ. (ნასტი არ ინძრევს.) შენ, ჯარისკაცო, შემომაფურთხე სახეში!

**ფრანცი** — (მხიარულად მიმართავს გეცს.) შევაფურთხო?

**გეცი** — (გულთბილად.) მიდი, შვილო ჩემო, შეაფურთხე, შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებ. (ფრანცი აფურთხებს.)

**ჰაინრიხი** — მორჩა და გათავდა. ჰაინრიხი სირცხვილით დაინვა. დარჩა მღვდელი, ერთი უბრალო მღვდელი; მის წინ უნდა დაიჩოქო. (მცირე ხანს იცდის, მერე კი უცებ ურცყამს.) მკვლელი! გიჟი უნდა ვიყო, რომ შენს წინაშე თავი დავიმცირო. ყველაფერი შენს გამო მოხდა.

**ნასტი** — ჩემს გამო?

**ჰაინრიხი** — დიახ, შენს გამო. წინასწარმეტყველობანა ითამაშე და, აჰა, დამარცხდი, ტყვე ხარ, ჩამოხრჩობა მოგელის და ყველა, ვინც გენდო, დაიხოცება. ყველა! ყველა! ჰე, ჰე, გეგონა, შენ გიყვარს ლატაკები, მე კი არა. ჰოდა, ხომ ხედავ, შენ ჩემზე მეტი ბოროტება მოუტანე.

**ნასტი** — შენზე მეტი, არამზადავ? (მივარდება ჰაინრიხს.) ვინ უღალატა მათ, შენ თუ მე?

**ჰაინრიხი** — მე, მე, მე. მაგრამ მაგას არასოდეს ჩავიდენდი, ეპისკოპოსი რომ არ მოგეკლა.

**ნასტი** — ღმერთმა მიბრძანა, მოკალიო, რადგან ლატაკებს აშიმშილებდა.

**ჰაინრიხი** — ღმერთმა? მართლაც და რა მარტივია ყველაფერი. მე კი, ღმერთის ბრძანებით ვუღალატე ლატაკებს, რადგანაც მათ ბერების დახოცვა სურდათ.

**ნასტი** — ლატაკების ლალატს, ღმერთი ვერ გიბრძანებდა, ის მათთან არის.

**ჰაინრიხი** — თუ მათთან არის, რატომ ხდება, რომ მათი მოსავალი ყოველთვის მწირია? ანდა ეგ შენი ჯანყი სასონარკვე-

თილებით რატომ დამთავრდა? მიპასუხე, რას უცდი, მიპასუხე, ვერ მიპასუხობ?

**გეცი** — აი, აი, ის წუთიც დადგა. აი კაეშანი და სისხლიანი ოფლი. იფ, იფ, რა მშვენიერია სიმძიმილი. რა სათნო სახე აქვს. ვუყურებ და ვგრძნობ - როგორ უახლოვდება სიკვდილი 20000 ადამიანს. (*ტუჩებში ჰკოცნის.*) მისმინე, ჩემო ძმაო! ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. მე გადავწყვიტე, ვორმის ავილო, მაგრამ თუ ღმერთი შენთანაა, რალაც უნდა მოხდეს, რაც ხელს შემიშლის.

**ნასტი** — (*ყრუდ, მაგრამ მტკიცედ.*) რალაც მოხდება.

**ჰაინრიხი** — (*ყვირის.*) არაფერი, არაფერიც არ მოხდება. ეს უსამართლობა იქნება. თუ ღმერთს სასწაულის მოხდენა სურდა, რატომ აქამდე არ მოახდინა, სანამ მოღალატედ მაქცევდა, მე რატომ წამწყმიდა, თუკი შენ უნდა გიხსნას?

*შემოდის ოფიცერი. ყველა შეკრება.*

**ოფიცერი** — ყველაფერი მზად არის. ჯარისკაცები თხრილის გასწვრივ გამწვრივდნენ ოთხთვალეების უკან.

**გეცი** — უკვე? (*პაუზა.*) გადაეცი კაპიტან ულრიხს, რომ ახლავე მოვალ.

*ოფიცერი გადის. გეცი სკამზე დაეშვება.*

**კატერინა** — ეგეც შენი სასწაული, საყვარელო! (*გეცი სახეზე ხელს მოისვამს.*) ნადი, დაარბიე, და ულიტე, ღამე მშვიდობისა!

**გეცი** — (*გეცის დაღლილობა უცებ ხელოვნურ ეგზალტაციაში გადადის.*) დამშვიდობების უამი დადგა. როცა დავბრუნდები, სისხლში ვიქნები ამოსერილი და ჩემი კარავი ცარიელი იქნება. მწყინს, მოგეჩვიე. (*ნასტის და ჰაინრიხს.*) ამაღამდელ ღამეს შეყვარებულებივით ერთად გაატარებთ. (*ჰაინრიხს.*) წამების დროს ხელი ნაზად ჩასჭიდეთ ერთმანეთს. (*ფრანცს ნასტიზე მიანიშნებს.*) როგორც კი აღსარებაზე დათანხმდება, წამება მაშინვე შეწყვიტეთ. (*თითქოს კატერინა გაახსენდა.*) ჰო, პატარძალი. ფრანც, ნადი, მეჯინებები მოიყვანე და ამ ქალბატონს წარუდგინე. რაც უნდათ, ის უქნან, ოღონდ ნუ მოკლავენ.

**კატერინა** — (*მის ფეხებთან ეცემა.*) გეც, შემიბრალე. ოღონდ ეგ არა, ოღონდ ეგ საშინელება არა, შემიბრალე!

**გეცი** — (*გაკვირვებული უკან იხევის.*) წუთის წინ როგორ კადნიერად მელაპარაკებოდი, რა, არ გჯეროდა?

**კატერინა** — არა, გეც, არ მჯეროდა.

**გეცი** — გულის სიღრმეში, არც მე მჯეროდა. ასეა, ბოროტებას ჩადენის შემდეგლა იჯერებს ხოლმე კაცი. (*კატერინა მუხლებს*



უკოცნის.) ფრანც, მომაცილე ეს ქალი. (ფრანცი ხელს ჩააფლებს და ლოვინზე მიაგდებს.) ესეც ასე, ესეც ასე. ხომ არაფერი მაინც-დება... არა! მგონი ყველაფერი ნესრიგშია. (პაუზა.) სასწაული კი არ ჩანს: უკვე მჯერა, რომ ღმერთი ყველაფრის უფლებას მამლევს. გმადლობ, ღმერთო, დიდი მადლობა გაუპატიურებული ქალებისათვის, გმადლობ ძელებზე გასმული ბავშვებისათვის, გმადლობ თავმოკვეთილი მამაკაცებისათვის. (პაუზა.) თქმა რომ მინდოდეს, რამდენი რამეა სათქმელი, მიდი, მიდი, შე ფარისევლო. იცი რა, ნასტი, ბარემ მიუკიბავ-მოუკიბავად გეტყვი: ღმერთი თავის საქმეს მე მაკეთებინებს. ხომ ნახე, რაც მოხდა ამ ღამით: საშველად თავისი ანგელოზები დამასია.

**ჰაინრიხი** — თავისი ანგელოზები?

**გეცი** — ჰო, თქვენ ყველანი. კატერინა რომ ანგელოზია, ისედაც ნათელი იყო, მაგრამ თქვენც ხომ ანგელოზები გამომიხვედით, შენც და ის ბანკირიც. (მიუბრუნდება ნასტის.) ჰა, ამ გასაღებზე რალას იტყვი? შევთხოვე განა, გასაღები გადმომიგდე-მეთქი? მისი არსებობაც არ ვიცოდი. თვითონვე დაავალა თავის ერთ მღვდელთაგანს, ხელიდან ხელში გადმოეცა. ცხადია, იცი, რაც ნებავეს ღმერთს. უნდა, რომ ბერ-მონაზვნები გადაეურჩინოთ. ამიტომ მაცუთუნებს, ოღონდ ფრთხილად, მოიარებით, რალაც შემთხვევებს მიქმნის, არ უნდა თავი გამოაჩინოს. თუ დაეყვები ცუთუნებას, უფლება ექნება, ყველაფერი მხოლოდ მე მომიტხოს: ბოლოს და ბოლოს ხომ შემძლო გასაღები ამელო და გადამეგდო.

**ნასტი** — მართალია, შეგეძლო. ახლაც შეგიძლია.

**გეცი** — მისმინე, ჩემო ანგელოზო! შენც კარგად იცი, რომ არ შემიძლია.

**ნასტი** — რატომ?

**გეცი** — იმიტომ რომ, რაც ვარ, ესა ვარ, ვერ შევიცვლები. გაუწუნე მაგ სამსახურს, ერთ პატარა სისხლიან აბანოს გაემართავ. არადა, როცა ყველაფერი ჩათავდება, ცხვირზე ხელს მომიჭერს და იყვირებს, მე ეს არ მინდოდაო. მართლა არ გინდა, უფალო? დრო კიდევ არის, რომ ხელი შემიშალო. მე არ მოვითხოვ ცა დამატყდეს თავზე; ერთი უბრალო ნაფურთხი კმარა: ფეხი დამიცურდება, ბარძაყს მოვიტყებ და სადღეისოდ ველარაფერს ვიზამ. არა? კარგი, კარგი, დაჟინებით არ მოვითხოვ. შეხე, ნასტი, ამ გასაღებს: კარგი რამეა გასაღები, გამოსადეგიცაა. აი, ხელებიც. ეგეც მშვენიერი ნახელავია! ვადიდოთ ღმერთი, ეს ხელები რომ მოგვცა. გასაღების ხელში დაჭერაც ცუდი რატომღა უნდა იყოს! ვადიდოთ ღმერთი ყველა ხელისათვის, რომელსაც გასაღები უჭი-

რავს ამ ნუთას ქვეყნის ყველა კუთხეში. ხოლო, რაც შეეხება იმას, რას უშვება ხელი ვასალებს, მაგაზე ღმერთი პასუხისმგებლობას არ კისრულობს, საცოდავი, ეს მას აღარ ეხება. დიახ, უფალო, თქვენ თავად უცოდველობის განსახიერება ბრძანდებით. როგორ ჩასწვდები არარას, როცა სისავის განსახიერება ხარ? თქვენი მზერა სინათლეა და ყველაფერს სინათლედ აქცევს. მამ, ჩემი გულის ბინდბუნდს როგორღა მოიხილავთ? თქვენმა უკიდევანო გონმა როგორ უნდა შემოაღწიოს ჩემში, თუ იგი არ გაფლითა? სიძულვილი და სისუსტე, ძალმომრეობა, სიკვდილი, ზიზღი, აი რა სჭირს მარტოსულ ადამიანს. ეს არის ჩემი ერთადერთი საუფლო და მასში მარტო ვიმყოფები. რაც მასში ხდება, ამაზე პასუხს მხოლოდ მე ვაგებ. კეთილი, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ და ვაგწუმდები. განვითხვის დღეს, პირმოკუმულს, უხმოს, სიამაყით აღვსილს ერთი სიტყვა არ დამცდება. მაგრამ ნუთუ შენ ოდნავ მაინც არ განუხებს, არ გაშფოთებს, რომ ადამიანი სამუდამოდ დანყველვ? ჰო, მივდივარ, ჯარისკაცები მიცდიან, ეს კეთილი ვასალები მაჩქარებს. მას მშობლიური ჭუჭრუტანა მოენატრა. (გასვლისას მობრუნდება.) ოდესმე გინახავთ ვინმე ჩემი ბადალი? მე ისა ვარ, ვინც ყოვლადძლიერს მოსვენებას უკარგავს. ჩემს გამო ღმერთს საკუთარი თავი ეჯავრება. ქვეყნად 20000 დიდგვაროვანია, 30 არქიეპისკოპოსი, 15 მეფე, ერთდროულად სამი იმპერატორი, ერთი პაპი და ერთიც ანტიპაპი, მაგრამ აბა, სცადეთ და სხვა გეცი მონახეთ! ხანდახან ჯოჯოხეთი უდაბნოდ წარმომიდგება, რომელიც მხოლოდ მე მელოდება. მშვიდობით. (გასვლა უნდა. ჰაინრიხი გადაიხარხარებს). რა ხდება?

**ჰაინრიხი** — ჯოჯოხეთი ბაზრობაა და მეტი არაფერი, სულელი! (გეცი ჩერდება და ჰაინრიხს უყურებს, რომელიც სხვებს მიმართავს.) აი, ყველაზე უცნაური ნათელმხილველი: ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ ბოროტებას მხოლოდ ის სჩადის. ყოველ ღამე გერმანიის მინა ცოცხალი ჩირაღდნებით არის განათებული; ამ ღამეს, ისევე როგორც ყოველ ღამე ათობით ქალაქი იწვის და დამრბევლები ასე არ ფახაფუხობენ. ჩვეულებრივ დღეებში ხალხს ხოცავენ, კვირას კი მორცხვად აღსარებაზე მიდიან. ამას კი ჰგონია, რაკილა ჯარისკაცის მოვალეობას ასრულებს, ხორცმესხმული ეშმაკია. (გეცს.) თუკი შენ ეშმაკი ხარ, ტაკიმასხარავ, მაშინ მე ვინა ვარ, მე, რომელიც ლატაკებს სიყვარულს ვეფიცებოდი და შენ მოგყიდე ისინი.

ამ რეპლიკის დროს გეცი მოხიბლული დგას, ბოლოს გასწორდება.



**გეცი** — რას ითხოვ? იმის უფლებას რომ ნაწყმდე? მე გაძლევ მაგ უფლებას. ჯოჯოხეთი საკმაოდ დიდია, რომ იქ აღარ გადაგეყარო.

**ჰაინრიხი** — სხვები?

**გეცი** — ვინ სხვები?

**ჰაინრიხი** — სხვები, დანარჩენები. ყველას არ ეძლევა ხოცვა-უღელის შემთხვევა. არადა, ყველას ევა სწადია.

**გეცი** — ჩემი ბოროტება მათსას არა ჰგავს. ისინი ბოროტებას ვნების ან სარგებლის გამო სჩადიან. მე კი ბოროტებას ბოროტებისათვის ჩავდივარ.

**ჰაინრიხი** — მიზეზები რაში გვენაღლება, თუკი დადგენილია, რომ მხოლოდ ბოროტების ჩადენაა შესაძლებელი.

**გეცი** — დადგენილია?

**ჰაინრიხი** — კი, მასხარავ, დადგენილია.

**გეცი** — ვინ დაადგინა?

**ჰაინრიხი** — თვით უფალმა. მისი განგებით ამქვეყნად სიკეთე შეუძლებელია.

**გეცი** — შეუძლებელი?

**ჰაინრიხი** — ყოვლად შეუძლებელი. შეუძლებელია სიყვარული, სამართლიანობა! აბა, შეეცადე მოყვასი შეიყვარო, ნახავ, რაც მოხდება.

**გეცი** — რატომ არ შევიყვარებ, თუკი ამის ხუმტური მომივლის?

**ჰაინრიხი** — თუ ერთ ადამიანს მეორე შესძულდება, ეს საკმარისია, რომ სიძულვილმა მოიცვას მთელი კაცობრიობა.

**გეცი** — (თავისას აგრძელებს.) ამას ლატაკები უყვარდა?

**ჰაინრიხი** — მარჯვედ ატყუებდა მათ, ყველაზე მდაბალ ვნებებს უღვივებდა, ბერიკაცი მოაკვლევინა. (პაუზა.) მე რა შემეძლო? მართლაც რა უნდა მექნა? უცოდველი ვიყავი, დანაშაული კი ქურდით მომეპარა. სად იყო მაშინ სიკეთე, შე ნაბიჭვარო! მითხარი, სად იყო! სად იყო თუნდაც უმცირესი ბოროტება? (პაუზა.) რამდენს ხმაურობ, თანაც სულ არაფერზე, გეყო მაგ ცოდვებით ბაქიაობა! თუ ჯოჯოხეთი გინდა დაიმსახურო, მაგისთვის საკუთარ ლოგინში დარჩენაც საკმარისია. სამყარო უსამართლოა. თუ მას აღიარებ, მისი თანამზრახველი ხარ, შეცვლას ეცდები და ჯალათი ხარ! (იციინის.) ეჰ, მთელი ქვეყნიერება ყარს მიწისპირეთიდან ვარსკვლავებამდე.

**გეცი** — მაშ, რა, ყველა დანყევლილია?

**ჰაინრიხი** — ო, არა! ყველა არა! (პაუზა.) მწამს, ღმერთო ჩემო,



მნამს. მე არ ჩავიდნ სასონარკვეთილების ცოდვას. თავით ფეხებამდე მოწამლული ვარ, მაგრამ ვიცი, რომ მიხსნი, თუკი ასეთი იქნება ნება შენი. (გეცს.) ყველანი დამნაშავენი ვართ, ნაბიჭვარო, ყველა ერთნაირად ღირსნი ვართ ჯოჯოხეთისა, მაგრამ ღმერთი მაშინ შეგვინდობს, როცა შენდობა მოესურვება.

**გეცი** — ჯიბრზე არ შემინდობს.

**ჰაინრიხი** — არარაობავ, რისი შემძლე ბედავ, მის გულში წყალობას ებრძოლო? როგორ გინდა მისი უსაზღვრო მოთმინება დამრიტო? თუკი მოისურვებს, თითებს ჩაგჭიდებს და თავის სამოთხემდე აგიყვანს! ხელის ერთი დაკვრით მოსპობს შენს ბოროტ ზრახვებს. პირს რომ გაგიხსნის და თავის მადლს რომ შემოგაპკურებს, იგრძნობ, რა კეთილი გამხდარხარ შენდა უნებურად. წადი, წადი, გადაწვი ვორმსი, დაარბიე, ყელები გამოსჭერი, დაკალი; სულ ტყუილად კარგავ დროს და შრომას. კიდევ ორიოდ დღე და შენც განსანმენდელში აღმოჩნდები, როგორც ყველა.

**გეცი** — მაშ, ყველა ადამიანი ბოროტებას სჩადის?

**ჰაინრიხი** — ყველა.

**გეცი** — და არავის არასოდეს უქნია სიკეთე?

**ჰაინრიხი** — არავის.

**გეცი** — მშვენიერია. (კარავში ბრუნდება.) ნიძლავს გიღებ: მე სიკეთეს გავაკეთებ.

**ჰაინრიხი** — რას გააკეთებ?

**გეცი** — სიკეთეს. მენიძლავები?

**ჰაინრიხი** — (მხრებს იჩეჩავს.) არა, ნაბიჭვარო, არავითარ ნიძლავს არ გიღებ.

**გეცი** — ცდები. მეუბნები, სიკეთე შეუძლებელიაო, მე გენიძლავები, სიკეთეს მოვიმოქმედებ-მეთქი. კიდევ ერთი საშუალება მეძლევა მარტოდ ყოფნისა. ბოროტების მქმნელი სიკეთის მქმნელად გარდავიქმნები. სამოსელს გადავაბრუნებ და გენიძლავები, წმინდანად ვიქცევი.

**ჰაინრიხი** — ვინ განსჯის?

**გეცი** — შენ თვითონ. ერთ წელიწადსა და ერთ დღეში. შენ ოლონდ დამენიძლავე.

**ჰაინრიხი** — მაგ ნიძლავის დამდები, სულულო, წინასწარვე წაგებული ხარ. სულულო, სიკეთე მხოლოდ ნიძლავის მოსაგებად გინდა, სხვად არაფრად.

**გეცი** — მართალია. მაშინ, მოდი, კამათელი ვყაროთ. თუ მოვიგებ, ბოროტებამ გაიმარჯვოს, თუ წავაგებ... თუ წავაგე, ჩემთვის ნათელი გახდება, რა უნდა ვაკეთო. ვინ გააგორებს? ნასტი!

ნასტი — არა.

გეცი — რატომ?

ნასტი — ეგ ცუდია.

გეცი — ჰო, ცუდია, მაშ, რა გეგონა? კარგი ერთი, მეპურევი, მე ხომ ჯერ ისევ ბოროტი ვარ.

ნასტი — თუ სიკეთე გინდა, ადექი და გააკეთე, მორჩა და გათავდა.

გეცი — ღმერთი კედელთან მინდა მივყავნო. მოკლედ, ან ჰო ან არა. თუ მომაგებინა, ქალაქი გადაიბუგება და მისი პასუხისმგებლობა სულ აშკარა იქნება. მიდი, ითამაშე, თუ ღმერთი შენთანაა, რისიღა გეშინია? ვერ ბედავ, ლაჩარო? ჩამოსრჩობა გირჩევნია? ვინ გაბედავს ჩემთან თამაშს?

კატერინა — მე.

გეცი — შენ, კატერინა? (უყურებს.) რატომაც არა. (კამათლებს აწვდის.) ითამაშე.

კატერინა — ორი და ერთი. (კატერინა შეკრთება.) წაგება გაგიძნელებდა.

გეცი — ვინ გითხრა, რომ წაგება მინდა? (კამათლებს იღებს.) მოგიმწყვდიე ღმერთო; ის დროა, თამაში შეწყვიტო!

კატერინა — ერთი და ერთი...წააგე!

გეცი — ღმერთის ნებას ვემორჩილები, კატერინა.

კატერინა — მაკოცე. (გეცი კოცნის.) მშვიდობით, გეც.

გეცი — აჰა, ეს ქისა, სადაც გინდა, იქ წადი. (ფრანცს) ფრანც, კაპიტან ულრიხს უთხარი, ჯარისკაცები დასაძინებლად გაუშვას. შენ, ნასტი, ქალაქში დაბრუნდი, ჯერ კიდევ დრო გაქვს, ამბობება შეაჩერო. თუ გათენებისთანავე კარიბჭეს გააღებთ, თუ მღვდლები უვნებლად გამოვლენ ვორმსიდან და მე შემომეფარებიან, შუადღისთვის ალყას მოვხსნი. თანახმა ხარ?

ნასტი — თანახმა ვარ.

გეცი — დაგიბრუნდა რწმენა, ნინასწარმეტყველო?

ნასტი — არც არასოდეს დამიკარგავს.

გეცი — ბედნიერი კაცი ხარ.

ჰაინრიხი — შენ მათ თავისუფლებას, სიცოცხლესა და იმედს უბრუნებ. ძაღლო, ლალატი რომ ჩამადენინე შეძლებ, სინმინდე დამიბრუნო?

გეცი — ეგ შენი საქმეა, თვითონვე დაიბრუნე. ბოლოს და ბოლოს ცუდი არაფერი მომხდარა.

ჰაინრიხი — რაც მოხდა, მე არ მეკითხება! ჩემთვის მთავარი ჩემი განზრახვა იყო. მე გამოგყვები, იარე, ფეხდაფეხ გამოგყვები,

არც დღე დაგტოვებ და არც ღამე. თვითონ განვსჯი შენს ნამოქმედარს. მშვიდად იყავი, ერთი წლისა და ერთი დღის შემდეგ, სადაც არ უნდა იყო, მოგძებნი.

**გეცი** — აჰა, გათენდა კიდეც. როგორ ცივა. განთიადი და სიკეთე შემოვიდნენ კარავში, მაგრამ სიხარული არ შემოუტანიათ. ეს ქალი ქვითინებს, მღვდელი მძულვარებით აღსავსეა, გეგონება ქვეყნის დაქცევას გლოვობენ. ვინ იცის, იქნებ სიკეთე სასონარკვეთას ინვევს? თუმცა სულერთია, ეგ ჩემი განსასჯელი არ არის. მე იგი უნდა ვაკეთო. მშვიდობით. (გადის. *კატერინა ხარხარებს.*)

**კატერინა** — (სიცილისაგან *ცრემლები სდის.*) ითაღლითა, დადინახე როგორ ითაღლითა, კამათელი დასვა, რომ წაეგო.

ფარდა



მეორე მოქმედება

მეოთხე სურათი

სცენა პირველი

კარლი, ორი გლეხი.

პირველი გლეხი — რა ხდება, რა ღრიანცელია!

კარლი — ბარონები ყვირიან, სულ ცოფებს ყრიან.

პირველი გლეხი — ვაითუ დააშინონ და უარი ათქმევიონ?

კარლი — ვერაფერს გახდებიან, ჯორივით ჯიუტია. დაიმაღეთ,

აი ისიც.

სცენა მეორე

გლეხები, მიმალულნი, გეცი და კარლი.

გეცი — ჩემო ძმაო, ერთ ტოლჩა ღვინოს თუ მოგვიტან, კარგი იქნება! სამი ჭიქა საკმარისია: მე არ ვსვამ. მეცი პატივი.

კარლი — გცემ პატივს, ძმაო, მოგიტან.

გეცი გადის. გლეხები სამალავიდან გამოდიან, იცინიან და თქოებზე ხელებს ირტყაპუნებენ.

გლეხები — ჩემო ძმაო, პატარა ძმაო, ძამიკო! აი ასე! მეცი პატივი.

იცინიან და ერთმანეთს ზურგზე ხელებს უტყაპუნებენ.

კარლი — (ჭიქებს სინზე ალაგებს.) ყველა მსახური მისი ძმაა. ამბობს, მიყვარხართო, გვეალერსება და ზოგჯერ გვკოცნის კიდევ. ჯემინ იმით გაერთო, ფეხები დამბანა. თავაზიანი ბატონია, ღვიძლი ძმა გამიხდა! ფუჰ! (იფურთხება.) გული მერევა მაგ სიტყვის გაგონებაზე და რამდენჯერაც ვიტყვი, იმდენჯერ ვიფურთხები. მაგ ძმობის გამო მენახე ჩამოხრჩობილი! როცა კისერზე ყულფს ჩამოაცხადენ, ტუჩებში ვაკოცებ და ვეტყვი: „მშვიდობით, ძამიკო, მოკვდი,

თუ გიყვარდე“.

*გადის და სინზე დანყობილი ჭიქები გააქვს.*

**პირველი გლეხი** — აი კაცი, მაგას ვერ გააცურებს.

**მეორე გლეხი** — მითხრეს, კითხვა იცისო.

**პირველი გლეხი** — იმდენი რა ვუთხარი.

**კარლი** — *(ბრუნდება.)* ისმინეთ ბრძანება. ნოსაკისა და შულჰაიმის მხარეები შემოიარეთ. ეს ამბავი ყველას გააგებინეთ, უკანასკნელ ქოხამდე: “გეცი ჰაიდენშტამის მიწებს გლეხებს ურიგებს“, გონს მოსვლა აცალეთ და განაგრძეთ: “თუ მან, თახსირმა ნაბიჭვარმა, თავისი მიწები გასცა, შულჰაიმის დიდი სენიორი რატომღა არ იძლევა თავის მიწებს?“ გააღიზიანეთ, გაცოფეთ, ყველგან შულლი დათესეთ! ნადით. *(გადიან.)* გეც, ჩემო საყვარელო ძმაო, ნახავ, როგორ ჩაგიფუშავ მაგ კეთილ საქმეებს. გეცი მიწები, დაარიგე! ერთ მშვენიერ დღეს კი ინანებ, რატომ არ მოგკვდი, სანამ მიწებს დავარიგებდიო. *(იცინის.)* სიყვარული მომინდომა. ყოველ დღე გაცმევ და გხდი, ყოველდღე შენ შიშველ ჭიბს, ფეხის კოყრებს, შენს თითებს, შენს უკანალს ვუყურებ და გინდა მიყვარდე კიდევ? შენი სიყვარულისა რა მცოდნია! კონრადი მკაცრი და უხეში კაცი იყო, მაგრამ მისი უხეშობა ნაკლებად მამდაბლებდა, ვიდრე შენი სიკეთე. *(შემოდის ნასტი.)* შენ რაღა გინდა?

## სცენა მესამე

### კარლი და ნასტი.

**ნასტი** — გეცმა დამიბარა.

**კარლი** — ნასტი!

**ნასტი** — *(ცნობს.)* აჰ, ეს შენა ხარ?

**კარლი** — გეცს იცნობ? კარგი ნაცნობობაა, ჩემმა მზემ.

**ნასტი** — ეგ შენი საქმე არ არის. *(პაუზა.)* ვიცი, რაცა გაქვს ჩაფიქრებული, კარლი! უფრო ჭკვიანური იქნება, წყნარად იყო და ჩემს ბრძანებებს დაელოდო.

**კარლი** — ქალაქის ბრძანებები სოფელს არ სჭირდება.

**ნასტი** — ერთი ნამოგინყია ეგ ბინძური საქმე და, იცოდე, ჩამოხრჩობას ვერ გადაამირჩები.

**კარლი** — თავს მიხედე, შენ თვითონ არ ჩამოგახრჩონ. ჯერ

ერთი, აქ რას აკეთებ? რაღაც საეჭვოდ დაძვრები. გეცთან სალაპარაკოდ მოდიხარ, აჯანყება კი გინდა გადაგვაფიქრებინო. ვინ დამარწმუნებს, რომ მოსყიდული არა ხარ?

**ნასტი** — მე ვინღა დამარწმუნებს, რომ თვითონ არა ხარ მოსყიდული და მაგიტომ არ ცდილობ ხალხი ნაადრევად ააჯანყო, რომ შერე ეს აჯანყება სენიორებს ჩაახშობინო?

## სცენა მეოთხე

### გეცი, ნასტი, ბარონები.

*გეცი უკუსვლით შემოდის. ბარონები: შულჰაიმი, ნოსაკი, რიჩელი გარს ეხვევიან და ღრიალებენ.*

**ნოსაკი** — გლეხები ფეხებზე გკიდია, შენ ჩვენი ტყავი გინდა და სხვა არაფერი.

**შულჰაიმი** — ჩვენი სისხლით გინდა შენი კახა დედა გარეცხო?

**ნოსაკი** — ყველა დიდგვაროვნის დასამარება გინდა მთელ გერმანიაში?

**გეცი** — ჩემო ძმებო, ჩემო ძვირფასო ძმებო, მე არ მესმის, რას მეუბნებით.

**რიჩელი** — არ გესმის, რომ შენი საქციელით დენთით სავსე კასრს აფეთქებ? გლეხები გაგიჟდებიან, თუ ახლავე არ ჩამოვურიგეთ მიწებიცა და მთელი ქონებაც. უკანასკნელი პურანგი უნდა გავიხადოთ და ზედ ლოცვა-კურთხევაც დავატანოთ.

**შულჰაიმი** — მშვენივრად იცი, რომ სასახლეებს დაგვირბევენ.

**რეტჩელი** — ვითომ ვერა ხედები, რომ არჩევანი აღარ გვექნება? თუ დავთანხმდებით, ცარიელზე დარჩენა გველის, თუ არ დავთანხმდებით - სიკვდილი.

**ნოსაკი** — და შენ ეს არ იცი?

**გეცი** — ჩემო ძვირფასო ძმებო...

**შულჰაიმი** — არ გვინდა ეგ მიკიბულ-მოკიბულები, თქვი, ამბობ უარს შენს წამოწყებაზე? გვიპასუხე, ჰო თუ არა?

**გეცი** — ჩემო ძვირფასო ძმებო, მპატიეთ, მაგრამ არა.



**შულჰაიმი** — მკვლელი ხარ, მკვლელი!

**გეცი** — ჩემო ძმაო, როგორც ყველა.

**შულჰაიმი** — ნაბიჭვარი ხარ!

**გეცი** — დიახ, ისევე, როგორც იესო ქრისტე.

**შულჰაიმი** — შე ნეხვის ტომარავ, შე ნაგავო!

*მუშტს ურტყამს სახეში. გეცი შებარბაცდება, მაგრამ სწორდება, მისკენ გაიწევის, ყველა უკან იხევს. უცებ გეცი მიწაზე ეცემა.*

**გეცი** — მიშველეთ, ანგელოზებო! დამეხმარეთ, ვძლიო ჩემს თავს. *(მთლად კანკალებს.)* არ დავარტყამ. მარჯვენას მოვიჭრი, დასარტყმელად თუ წამცდება. *(მიწაზე იგრიხება. შულჰაიმი ნიხლსა ჰკრავს.)* ია-ვარდები! ია-ვარდის წვიმა მოდის! რა ალერსია, როგორ ვუყვარვარ ღმერთს. ყველაფერზე თანახმა ვარ. *(დგება.)* დიახ, ნაბიჭვარი ძალი ვარ, ნეხვით გატენილი ტომარა, მოლალატე. ილოცეთ ჩემთვის.

**შულჰაიმი** — *(ურტყამს.)* უარს ამბობ?

**გეცი** — ნუ მირტყამ, გაისვრები!

**რიჩელი** — *(მუქარით.)* უარს ამბობ?

**გეცი** — უფალო. მიშველე, სახეში არ შეეცინო!

**შულჰაიმი** — ღმერთო ჩემო!

**რიჩელი** — ნავიდეთ, დროს ტყუილად ვკარგავთ!

## სცენა მეხუთე

*ნასტი, გეცი, კარლი.*

*გეცი ნასტის უახლოვდება*

**გეცი** — *(მზიარულად.)* სალამი ნასტი, სალამი ძმაო. ბედნიერი ვარ, კვლავ რომ გიხილე. ორი თვის წინ, ვორმსის კედლებთან, შენ ლატაკებთან კავშირი შემომთავაზე! ჰოდა, ახლა გიცხადებ თანხმობას. მაცალე, ჩემი ლაპარაკის ჯერია. კარგ ამბებს გეტყვი. სიკეთის ქმნამდე მინდოდა მისი რაობა შემეცნო. დიდხანს ვიფიქრე. ჰოდა, ნასტი, მე იგი შევიცანი. სიკეთე სიყვარულია. ეგ კი ასეა, მაგრამ საქმეს ის აჭირვებს, რომ ადამიანებს ერთმანეთი

არ უყვართ. ხელს რა უშლით? უთანასწორობა, მონობა და სილატაკე. ამიტომ ეს სამივე უნდა მოისპოს. შენც ამავე აზრისა ხარ, არა? საკვირველი არაფერია: შენი გაკვეთილები ძალიან გამომადგა. დიახ, ნასტი, ბევრს ვფიქრობდი შენზე ამ ბოლო დროს. ოღონდ შენ ღმერთის მეუფება შორს გინდა გადასწიო. მე შენზე ეშმაკი ვარ. საშუალება გამოვძებნე ახლავე დასაწყებად, ყოველ შემთხვევაში, დედამინის ერთ კუთხეში მაინც, აი, აქ: პირველი - ჩემს მიწებს გლეხებს ვაძლევ, მეორე - ამ მიწაზე ვაშენებ პირველ ქრისტიანულ საძმოს, სრულ თანასწორობას დავამყარებთ! ნასტი, მე მხედართმთავარი ვარ. სიკეთისათვის ბრძოლას ვინწყებ და განზრახული მაქვს, წვეთი სისხლის დაუღვრელად ახლავე გავიმარჯვო. მოდი, დამეხმარე, მხარში ამომიდექი! ლატაკებთან საუბარი გეხერხება. ჩვენ ორივენი ერთად სამოთხეს ავაშენებთ, რადგან უფალმა მე ამირჩია, პირველი ცოდვა მე უნდა გამოვისყიდო. სახელიც კი მოვუძებნე ჩემს საძმოს, მზის ქალაქს ვარქმევ. რა დაგემართა, შე მართლა ჯორო, შე ურჯუეო, თქვი, რა გაქვს კიდევ სასაყვედურო?

**ნასტი** — შენი მიწები შენთვის შეინახე.

**გეცი** — მიწები დავიტოვო? შენა მთხოვ ამას, ნასტი? ყველაფერს ველოდი, ამას კი არა.

**ნასტი** — შენთვის დაიტოვე-მეთქი. თუ ჩვენი სიკეთე გინდა, წყნარად იყავი და ხელი არაფერს ახლო.

**გეცი** — მაშ, შენც გგონია, რომ გლეხები აჯანყდებიან?

**ნასტი** — კი არ გგონია, დანამდვილებით ვიცი.

**გეცი** — როგორ ვერ მივხვდი, როგორ ვერ წარმოვიდგინე, რომ შენი შეზღუდული და ჯიუტი ტვინი ამით აღშფოთდებოდა. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს ის ამბავი, რომ წელან ეს ღორები რასაც დამყვიროდნენ, შენც იმასვე ამბობ. ეტყობა უსაშველოდ მართალი ვარ, რაკი ასე გამწარებული ღრიალებთ. იყვირეთ, იყვირეთ, ეგ მხოლოდ ძალას შემმატებს. მიწებს დავარიგებ, მერედა როგორ დავარიგებ! ყველას გულის გასახეთქად სიკეთე უნდა აღსრულდეს!

**ნასტი** — ვინ შეგეხვენა მიწები გაეციო?

**გეცი** — მე თვითონ ვიცი, რომ ვალდებული ვარ, გავცი.

**ნასტი** — კი მაგრამ ვინა ვთხოვა?

**გეცი** — ვიცი-მეთქი, გეუბნები. ჩემს გზას ისევე ნათლად ვხედავ, როგორც ახლა შენ გიყურებ. ღმერთმა გონება გამინათა.

**ნასტი** — როცა ღმერთი დუმს, რასაც გინდა, იმას ათქმევინებ.



**გეცი** — ო, ბრწყინვალე წინასწარმეტყველო! 30000 გლეხი შიმშილით კვდება, მათი მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად მთელ ჩემს ქონებას ვწირავ, შენ კი მშვიდად მიცხადებ, ღმერთი გიკრძალავს მათ გადარჩენასო.

**ნასტი** — შენ უნდა გადაარჩინო ლატაკები? შენ ხომ მხოლოდ მათი გარყვნა შეგიძლია.

**გეცი** — მაშ, ვინ გადაარჩენს?

**ნასტი** — მათზე ნუ წუხხარ, თავიანთ თავს თვითონ მიხედავენ.

**გეცი** — მე რა შეგელება, თუკი სიკეთის აღსრულების საშუალება მომეცაობა.

**ნასტი** — შენს საქმეს მიხედე, შენს სიმდიდრეს გაუქები და ამრავლე. ეგ საქმე მთელი სიცოცხლე გეყოფა.

**გეცი** — მაშ, შენი გული რომ მოვიგო, ცუდ მემამულედ უნდა ვიქცე?

**ნასტი** — ცუდი მემამულე არ არსებობს. არსებობენ მხოლოდ მდიდრები.

**გეცი** — ნასტი, მე ხომ თქვენი ვარ.

**ნასტი** — არა!

**გეცი** — განა მთელი სიცოცხლე ლატაკი არ ვიყავი?

**ნასტი** — ლატაკები ორგვარნი არიან. ერთად მყოფნი და მარტოსულნი. პირველნი ნამდვილი ლატაკები არიან, მეორენი კი მდიდრები, რომელთაც ბედმა არ გაუღიმა.

**გეცი** — მაშ, არც ის მდიდრები მიგაჩნია ლარიბებად, ვინც თავისი სიმდიდრე დათმო?

**ნასტი** — არა, ისინი ყოფილი მდიდრები არიან.

**გეცი** — გამოდის თავიდანვე ნაგებული ვყოფილვარ. სირცხვილი შენ, ნასტი, რომ ქრისტიან ადამიანს ხსნის იმედს მისობ. (აღლევებული დადის.) როგორი ამაყნიც არ უნდა იყვნენ ჩემი მოძულე მემამულენი, თქვენ უფრო ამაყნი ყოფილხართ. მათთან შეღწევა უფრო გამიადვილდებოდა, ვიდრე თქვენთან. მოთმინება ვიქონიოთ. გმადლობთ, უფალო. დაე, ნუ მომაგებენ სიყვარულს, მე მაინც შეყვარება ისინი. ჩემი სიყვარული ბოლოს მაინც გაანგრევს შენი უფიათო სულის ჯებირს. ჩემი სიყვარული მათ სიძულვილს განაიარალებს. მე თქვენ მიყვარხართ, ნასტი, ყველანი მიყვარხართ.

**ნასტი** — (უფრო რბილად.) თუკი გიყვარვართ, ხელი აიღე შენს განზრახვაზე.

**გეცი** — არა.

**ნასტი** — (შეცვლილი ხმით, მომთხონი ტონით.) კარგად მისმინე. მე შეიდი წელი მჭირდება.

**გეცი** — რისთვის?

**ნასტი** — შეიდ წელიწადში ჩვენ მზად ვიქნებით წმინდა ბრძოლა წამოვიწყოთ, მანამდე ვერ შევძლებთ ამას. დღეს თუ გლეხებს ააჯანყებ, მათ რვა დღეში ამოწყვეტენ. რასაც ერთ კვირაში დაანგრევ, ნახევარი საუკუნე დასჭირდება აღსადგენად.

**კარლი** — გლეხები მოვიდნენ, სენიორ.

**ნასტი** — გააბრუნე ისინი, გეც. (გეცი არ პასუხობს.) მისმინე, თუ მაგის სურვილი გაქვს, შენ მართლა შეგიძლია დაგვეხმარო.

**გეცი** — (კარლს.) სთხოვე, დამელოდონ, ჩემო ძმაო. (კარლი გადის.) მაინც რას მთავაზობ?

**ნასტი** — მიწებს ნუ დაარიგებ.

**გეცი** — აბა, რა ვქნა?

**ნასტი** — დაიტოვე. თავშესაფრად და შეკრების ადგილად გამოვიყენებთ. ერთ-ერთ სოფელში მე დავსახლდები და მთელ გერმანიას მივანვდენ ჩემს ბრძანებებს. შეიდ წელიწადში აქედან ომის დაწყების მოწოდება დაიგრგვინებს. შენ ფასდაუდებელი დახმარება შეგიძლია გაგვინო. თანახმა ხარ?

**გეცი** — არა.

**ნასტი** — უარს მეუბნები?

**გეცი** — სიკეთის ქმნას ასე დიდხანს ვერ დავაყოვნებ. შენ ვერ გამიგე, ნასტი. წლის ბოლომდე ათი ათას აკრ მიწაზე ბედნიერება, სიყვარული და სიკეთე დამყარდება ჩემი წყალობით. ჩემს სამფლობელოში მზის ქალაქი მინდა ავაგო, შენ კი მთავაზობ, მკვლელების თავშესაფრად ვაქციო იგი.

**ნასტი** — გეც, სიკეთეს ჯარისკაცით უნდა ემსახურო; მარტოს რომელ ჯარისკაცს მოუგია ომი? დაიწყე იმით, რომ უფრო თავმდაბალი გახდი.

**გეცი** — არა, ეგ არ შემიძლია. თავის დამდაბლება, კი ბატონო, მაგრამ თავმდაბლობა არა. თავმდალობით ფონს სუსტები გადიან. (პაუზა.) რატომ უნდა დაგვეხმარო ომის მზადებაში? ღმერთმა აგვიკრძალა სისხლი ღვრა, შენ კი მთელი გერმანია სისხლში გინდა ჩაახრჩო? შენი თანამზრახველი არ გავხდები.

**ნასტი** — და სისხლსაც არ დაღვრი, არა? კარგი, გეცი შენი მიწები, სასახლე და ნახავ, რამდენი სისხლი დაიღვაროს გერმანიის მიწა-წყალზე.

**გეცი** — გერმანიის მიწაზე სისხლი არ დაიღვრება. სიკეთე ვერ შობს ბოროტებას!



**ნასტი** — სიკეთე ბოროტებას არ შობს. დაე, ასე იყოს: მაგრამ შენი უაზრო კეთილშობილება ხოცვა-ჟლეტას გამოიწვევს. ეგ რაღა სიკეთეა?

**გეცი** — აბა, სიკეთე ის არის, რომ ლატაკების ტანჯვა მარადიულად გაგრძელდეს?

**ნასტი** — მე შვიდ წელს ვთხოულობ.

**გეცი** — იმათ რას უზამ, მაგ შვიდ წელიწადში ვინც მოკვდება? იმათ, ვინც მთელი სიცოცხლე სიძულვილსა და შიშში გაატარა და სასონარკვეთილებაში დაღია სული?

**ნასტი** — უფალი შეუნდობს!

**გეცი** — შვიდი წელი! შვიდი წლის შემდეგ შვიდწლიანი ომი დაიწყება, შემდეგ შვიდწლიანი მონანიება, რადგან ნანგრევების აღდგენა იქნება საჭირო და, ვინ იცის, ამას კიდევ რა მოჰყვება: ახალი ომი, ახალი მონანიება და ახალი წინასწარმეტყველები, რომლებიც კიდევ შვიდი წლის მოთმინებას მოითხოვენ. თაღლითო, განკითხვის დღემდე გინდა აცდევინო? მე კი გეუბნები — სიკეთე ყოველდღეა შესაძლებელი, ყოველ საათს, ამ წუთშიც და მე სასწრაფოდ ვეცდები, სიკეთე მოვიმოქმედო. ჰაინრიხი ამბობდა: „საკმარისია ორ კაცს სძულდეს ერთმანეთი, რომ წელ-წელა სიძულვილმა მთელი კაცობრიობა შეიპყროსო“. მე სიმართლეს ვამბობ: საკმარისია, ერთ კაცს უანგაროდ უყვარდეს ყველა ადამიანი, რომ ეს სიყვარული წელ-წელა მთელ კაცობრიობას მოედოს.

**ნასტი** — და ეს კაცი შენ იქნები?

**გეცი** — დიახ, ღვთის შემწეობით, მე ვიქნები. ვიცი, რომ სიკეთე ბოროტებაზე ძნელია. ბოროტება მხოლოდ მე ვიყავი, სიკეთე კი საყოველთაოა. მაგრამ მე არ შევდრკები. მინა უნდა გათბეს და მე მას გავატობო. ღმერთმა ნება დამართო, ვიბრწყინო და მეც გავბრწყინდები. გულიდან გადმოდენილი სისხლით ვიბრწყინებ. მე ანთებული ნაკვეთხალი ვარ, უფლის სუნთქვა მალევიებს და ცოცხლად ვინვი. მეპურევ, სიკეთის სენი შემეყარა და მინდა ეს სიკეთე გადამდები იყოს. მონამეც და საცდურიც თავად მე ვიქნები.

**ნასტი** — თვითმარქვია?

**გეცი** — ვერ დამაბრმავებ! ვხედავ, და ვიცი - ახალი დღე თენდება. მე ვწინასწარმეტყველებ.

**ნასტი** — მხოლოდ ცრუ წინასწარმეტყველი და ეშმაკის დამქაში თუ იტყვის, გავაკეთებ იმას, რაც კარგი მგონია, გინდაც მთელი ქვეყნიერება დაილუპოსო.

**გეცი** — ცრუ წინასწარმეტყველი და ეშმაკის დამქაში ისაა,

ვინც ამბობს, მოდი, ჯერ ქვეყნიერება დაილუპოს და, შესაძლებელია თუ არა სიკეთე, მაგას მერე ვნახავო.

**ნასტი** — გეც, ხელს თუ შემომლი, მოგკლავ.

**გეცი** — შეძლებ, მართლა შეძლებ ჩემს მოკვლას, ნასტი?

**ნასტი** — კი, თუ ხელს შემომლი.

**გეცი** — მე კი ვერ შევძლებდი: ჩემი ხვედრი სიყვარულია. ჩემს მინებს ლატაკებს დავურიგებ!

## სურათი მეხუთე

*სოფლის ეკლესიის შესასვლელთან, კარიბჭის ქვეშ ორი სკამი დგას. ერთზე დოლი დევს, მეორეზე — ფლეიტა.*

## სცენა პირველი

*გეცი და ნასტი, შემდეგ გლეხები.*

**გეცი** — *(შემოდის ძახილით.)* ეი, ეი, 30 მილის მანძილზე ძეხორციელი არ ჭაჭანებს. სოროებში ჩამძვრალან. ჩემი სიკეთე სტიქონივით დაატყდათ თავს. სულელები! *(უცბათ მიუბრუნდება ნასტის.)* შენ რაღას დამდევე?

**ნასტი** — ჩემი თვალთ მინდა ვიხილო შენი მარცხი.

**გეცი** — არ დავმარცხდები. დღეს ჩემი ქალაქის პირველ ქვას ვდებ. ეტყობა სარდაფებში მიიმალნენ. მოთმინებაა საჭირო. ათიოდე მაინც რომ მომეხელთებინა, ნახავდი, მოვახერხებ თუ არა მათ დარწმუნებას *(ყვირილი, ფლეიტის ხმა.)* ეგ რაღა? *(შემთვრალი გლეხების ჯგუფი შემოდის და საკაცით თაბაშირის წმინდანს მოასვენებს.)* ძალიან მოგილხენიათ, ყოფილი სენიორის გულმონყალე საჩუქარს დღესასწაულობთ?

**გლეხი** — არა, კეთილო ბერო, ღმერთმა დაგვიფაროს.



**გეცი** — მე ბერი არა ვარ.

*კაპიუშონს იხსნის.*

**გლეხები** — გეცი.

*შეშინებულნი უკან იხევენ. ზოგიერთი პირფეარს იწერს.*

**გეცი** — გეცი ვარ, დიახ, გეცი-საფრთხოებელა, გეცი-ატილა, ქრისტიანული გულმონყალების გამო თავისი მინები რომ დაარიგა. მართლა ასეთი საშიში სახე მაქვს? მომიახლოვდით. თქვენთან საუბარი მსურს. *(პაუზა.)* აბა, ჰე, რას უცდით? მომიახლოვდით! *(გლეხები ჯიუტად დუძან. გეცს მბრძანებლური ტონი აქვს.)* აქ თქვენს შორის რომელი იძლევა ბრძანებებს?

**მოხუცი** — *(უახლოვდება.)* მე.

**გეცი** — მომიახლოვდი. *(მოხუცი გამოეყოფა ჯგუფს და გეცისაკენ მიდის. გლეხები ჩუმად უყურებენ.)* ერთი რამე უნდა ვითხრა. საბატონო ბელელში ხორბლით სავსე ტომრები ისევ ხელუხლებელი ვნახე, ჩანს, ვერ მიმიხვდით. აღარავითარი ღალა, აღარავითარი ბეგარა.

**მოხუცი** — ცოტას კიდევ მოვიცდით, ჯერ ხელს არაფერს ვახლებთ.

**გეცი** — რატომ?

**მოხუცი** — ვნახავთ, რა მოხდება.

**გეცი** — ძალიან კარგი. ხორბალი დაობდება. *(პაუზა.)* ახალ პირობებზე რას ამბობენ?

**მოხუცი** — ჩემო ბატონო, ამაზე არ ვლაპარაკობთ.

**გეცი** — მე შენი ბატონი არა ვარ. ძმა დამიძახე, კარგი?

**მოხუცი** — დიახ, ჩემო ბატონო.

**გეცი** — შენი ძმა ვარ-მეთქი, გეუბნები.

**მოხუცი** — არა, ეგრე არ გამოვა.

**გეცი** — მე გიბრძა... მე გთხოვ.

**მოხუცი** — თქვენ ჩემი ძმა იქნებით, რამდენ ხანსაც მოგენებებათ, მე კი თქვენი, ძმა ვერ ვიქნები. ყველას თავის ადგილი აქვს, ჩემო ბატონო.

**გეცი** — კარგი ერთი, მიეჩვევი. *(მიანიშნებს დოლსა და ფლეიტაზე.)* ეს რა არის?

**მოხუცი** — დოლი და ფლეიტაა.

**გეცი** — მერე დამკვრელები ვინ არიან?

**მოხუცი** — ბერები.

**გეცი** — აქ ბერებიც არიან?

**მოხუცი** — ბერი ტეტცელი ორ მორჩილთან ერთად ვორმ-

სიდან ჩამოვა. ინდულგენციები უნდა მოგვყიდონ.

**გეცი** — *(მწარედ.)* აი, რატომ გამხიარულებულხართ. *(გეცრად.)* ეშმაკსაც ნაულია მაგათი თავი. ამის უფლებას არ მივცემ. *(მოხუცი დუძს.)* ეგ ინდულგენციები ჩალის ფასიც არა ღირს. როგორ გგონიათ, ღმერთი შენდობაში ფულს იღებს? მე რომ ჯერ კიდევ ბატონი ვიყო და გიბრძანო, გაყარე ეგ არამზადები-მეთქი, რას იზამდი?

**მოხუცი** — გავყრიდი.

**გეცი** — ჰოდა, უკანასკნელად გიბრძანებს შენი ბატონი.

**მოხუცი** — თქვენ ჩემი ბატონი აღარა ხართ.

**გეცი** — გასნი, შენ უკვე ძალზე ბებერი ხარ. *(ხელს კრავს, კიბის საფეხურზე ახტება და ყველას მიმართავს.)* ერთხელ მაინც შეჰკითხვისხართ თქვენს თავს, რატომ გაჩუქეთ ჩემი მინები? *(ერთ გლეხს მიმართავს.)* მიპასუხე.

**გლეხი** — აბა, რა ვიცი.

**გეცი** — *(ერთ ქალს მიმართავს.)* შენ.

**ქალი** — *(ყოყმანობს.)* იქნებ... იმიტომ რომ გინდოდათ გაგებენიერებინეთ.

**გეცი** — კარგი პასუხია. სწორედ მაგას ველოდი. მაგრამ ბედნიერებას რა ფასი აქვს, თუ არაფერში გარგია. ვთქვათ, რაში გამოიყენებდი?

**ქალი** — *(შეშინებული.)* ბედნიერებას? მაგრამ ის ჯერ უნდა გქონდეს.

**გეცი** — გექნებათ, ნუ შიშობთ, ჰოდა, რას უზამთ?

**ქალი** — არ გვიფიქრია. არც ვიცი, რა არის ბედნიერება.

**გეცი** — თქვენს მაგივრად მე მოვიფიქრე. *(პაუზა.)* ყველამ იცით, რომ ღმერთი სიყვარულს გვიქადაგებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ აქამდე ეს შეუძლებელი იყო. ჯერ კიდევ გუშინ, ჩემო ძმებო, იმდენად უბედურები იყავით, რომ სიყვარული არ მოგვეკითხებოდათ. მე კი მინდა ყველაფერი მოგვეკითხებოდათ. გაგამდინდრებთ, ფერ-ხორციტ გაგავსებთ და სიყვარულსაც შეძლებთ. ეშმაკმა დალახვროს! ჰო, ჩემო კარგებო, ყველა ადამიანის სიყვარულს მოგვკითხავთ. უარს ვამბობ, თქვენს სხეულებს ვბრძანებლობდე, მინდა თქვენს სულებს გავუძღვე. ეს ღმერთმა ჩამაგონა. მე ხუროთმოძღვარი ვარ, თქვენ კი ხუროები. ყველაფერი ყველასია, იარაღები და მინა საერთოა, აღარ იქნებიან მდიდრები, სიყვარულის კანონის გარდა, სხვა არავითარი კანონი აღარ იარსებებს. ჩვენ მთელ გერმანიას მივცემთ მაგალითს. რას იტყვით, ძმებო, ეცადოთ? *(პაუზა.)* ეგ არაფერი, ჯერ რომ ჩემი გემინიათ: კეთილი,



ბებერი ეშაპი ყველაზე სანდოა. ანგელოზები, ჩემო ძმებო, ანგელოზები არიან საეჭვონი, კეთილს არაფერს მოგვიტანენ. (ბრბო ილიმება, გმინავს, ბორგავს.) როგორც იქნა, გამილიმეს.

**ბრბო** — აი, ისინიც, აი, ისინიც.

**გაცი** — (მობრუნდება, ხედავს ტეტცელს და უკმაყოფილოდ ამბობს.) ეშაპსაც წაულია ეს ბერები.

## სცენა მეორე

### იკიპენი, ტეტცელი, ორი მორჩილი და გლვდელი.

ორი მორჩილი იღებს დოლსა და ფლეიტას. შემოაქვთ მაგიდა, რომელსაც კიბის თავში დგამენ. ტეტცელი მაგიდაზე პურგამენტის პატარ-პატარა გრაგნილებს აწყობს.

**ტეტცელი** — ოჯახის მამებო, მოგვიახლოვდით, მოგვიახლოვდით, ნუ გეშინიათ. დღეს ნიორი არ მიჭამია. (გლებები იცი-ნიან.) როგორ მიდის საქმეები? მინა კარგი გაქვთ?

**გლებები** — არა უშავს რა.

**ტეტცელი** — ცოლები როგორღა გყავთ? ისევ ისე კაპასობენ?

**გლებები** — ეჰ, როგორც ყველგან, განყდა მაგათი...

**ტეტცელი** — ნუ წუნუნებთ. ცოლები ეშაპისგან გიცავენ, რადგან ეშაპზე მაცთურები არიან. (ბრბო იცინის.) მაგრამ ახლა მაგას შევეშვით, ბიჭებო! ჩვენს მთავარ საქმეს მივხედოთ. მუსიკა! (დოლის და ფლეიტის ხმები.) მთელი სიცოცხლე შრომაში გაატარო, კარგია, მაგრამ ხანდახან თოხს რომ დაეყრდნობი და გარს მიმოიხედავ, გაიფიქრებ: „სიკვდილის მერე რა მომივა“. ყვავილებით მორთული საფლავი ყველაფერს როდი ნიშნავს, სული იქ არ ცხოვრობს. სად წავა სული? ჯოჯოხეთში? (დოლის ხმა.) თუ სამოთხეში? (ფლეიტის ხმა.) კეთილო ხალხო, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ თვითონ უფალსაც ანუხებს ეს კითხვა. თქვენზე ზრუნვით

ღამეები არ სძინავს. შენ ეი, მანდ, რა გქვია?

**გლები** — პეტერი.

**ტეტცელი** — ჰოდა, ჩემო პეტერ, მითხარი, არ მომატყუო, დროდადრო ცოტა ზედმეტს ხომ არ გადაკრავ ხოლმე?

**გლები** — არც უშავისობაა.

**ტეტცელი** — ცოლს თუ სცემ?

**გლები** — როცა მთვრალი ვარ.

**ტეტცელი** — ღმერთისა ხომ გეშინია?

**გლები** — აბა, როგორ, ჩემო ძმაო.

**ტეტცელი** — ღვთისმშობელი გიყვარს?

**გლები** — დედაზე მეტად.

**ტეტცელი** — ჰოდა, უფალი ღმერთი დაბნეულია: ეს კაცი ბოროტი არ არის, მენანება კიდევ მაგის დასჯა, მაგრამ რაკი შესცოდა, რა ვქნათ, უნდა დავსაჯოთო.

**გლები** — (შენუხებული.) ვაი ჩემს თავს!

**ტეტცელი** — მოიცა. საბედნიეროდ, არსებობენ წმინდანები. თითოეულმა მათგანმა ასიათასჯერ დაიმსახურა ცად ამალღება, მაგრამ ეგ არაფერში არგია, რადგან იქ ასულა მხოლოდ ერთხელ ხდება. ჰოდა, იცით, რა თქვა ღმერთმა? მან თქვა: „ის გამოუყენებელი ბილეთები რომ არ დაიკარგოს, მოდი, იმათ დავურიგებ, ვინც მიტევების ღირსი არ არის. ეს კეთილი პეტერი თუ იყიდის ინდულგენციას ტეტცელისაგან, ის ჩემს სამოთხეში წმინდა მარტინის მოსანვევი ბარათით შევა“. რას იტყვით, კარგად არის მოფიქრებული, არა? (შეძახილები.) მაშ, პეტერ, ამოიღე შენი საფულე. ჩემო ძმებო, ამ წარმოუდგენელ გარიგებაზე ღმერთი ორ ეკიუდ მიდის. ვინ იქნება თქვენს შორის ისეთი ძუნწი, ორი ეკიუ ვერ გაიმეტოს საუკუნო ნეტარებისათვის? (პეტერს ორ ეკიუს ართმევს.) გმადლობთ. დაბრუნდი შინ და აღარ შესცოდო. კიდევ ვის უნდა? აი, სარფიანი გარიგება. მღვდელს ამ გრაგნილს თუ უჩვენებთ, იგი ვალდებული იქნება, თქვენი არჩევანის მიხედვით ერთი მძიმე ცოდვა შეგინდოთ, ხომ მართალია, მღვდლო?

**მღვდელი** — ვალდებული ვარ, მართალია.

**ტეტცელი** — აი, მეორეც, (ხსნის მეორე გრაგნილსაც). ეს, ჩემო ძმებო, უფალი ღმერთის კიდევ ერთი სიკეთეა. ეს ინდულგენციები საგანგებოდ იმ კეთილი ადამიანებისთვისაა, ვისაც განსაწმენდელში ჰყავს ნათესავები. თუ გაიმეტებთ საჭირო თანხას, მთელი თქვენი ნათესავები ფრთებს გამოისხამენ და სამოთხისაკენ გაფრინდებიან. მხოლოდ ორად ორი ეკიუა თითო სულზე საჭირო. სამოთხეში გადასვლა დაუყონებლივ ხდება. ვის უნდა, ვის უნდა,



შენ ვინა გყავს მკვდარი?

**გლეხი** — დედა.

**ტატცელი** — მხოლოდ დედა? მეტი არავინ? ამ ხნისას მხოლოდ დედა მოგიკვდა?

**გლეხი** — (ყოყმანით.) ბიძაჩემიც.

**ტატცელი** — მერე და შენს სანყალ ბიძას განსანმენდელისათვის იმეტებ? ვაბედე, ჰა, ჩამოყაჭე ოთხი ეკიუ. (იღებს ფულს და ქისის ზემოთ უჭირავს.) აბა, ბიჭებო, ყურადღება! როგორც კი თქვენი ფული ქისაში ჩაცვივა, სულელები გაფრინდებიან. (ხელს უშვებს ფულის მონეტებს, რომლებიც საფულეში ცვივიან. ისმის ფლეიტის ხმა.) აი, პირველი. (მეორედ ისმის ფლეიტის ხმა.) ესეც მეორე! აი ისინიც, აი ისინიც! უკვე ჩვენს ზემოთ მიფრინავენ. ორი მშვენიერი თეთრი პეპელა! (ფლეიტა.) ნახვამდის, ნახვამდის. ილოცეთ ჩვენთვის და მოკითხვა წმინდანებს. აბა, ბიჭებო, მოკითხვა შევეუთვალოთ ორ მშვენიერ სულს. (ტაში.) ვისი ჯერია? (გლეხები უახლოვდებიან.) შენი ცოლისა და დედისათვის? შენი დისთვის? (ისევ ფლეიტა.) გადაიხადეთ, გადაიხადეთ!

**გაცი** — შეჩერდით! (ხალხი ხმაურობს.)

**ტატცელი** — (მიმართავს მღვდელს.) ეგ ვინ არის?

**მღვდელი** — ამათი ყოფილი ბატონი. საშიში არაფერია.

**გაცი** — უგუნურებო, მაგით აპირებთ თავის დაძვრენას? რაო, ნუთუ გგონიათ, წამებულებმა ცოცხლად იმისთვის დაინვეს თავი, რომ სამოთხეში ისე ადვილად შეხვიდეთ, როგორც ნისქვილში შედინხართ? მხოლოდ მაშინ გადარჩებით, როცა წმინდანებით სიკეთით აღივსებით და არა მათი დამსახურების ყიდვით.

**გლეხი** — მაშინ მირჩენია, თავი ჩამოვიხრჩო და სული წავიწყმიდო. წმინდანი როგორ გახდები, როცა დღეში 16 საათს მუშაობ.

**ტატცელი** — გიჯობს, გაჩუმდე, სულელო! ამდენს ვინა გთხოვს. დრო და დრო თითო-ოროლა ინდულგენცია იყიდე და ღმერთი შეგიწყალებს.

**გაცი** — მიდი, იყიდე, მაგის დამპალი საქონელი. გადაუხადე ორი ეკიუ და სამაგიეროდ, ნებას დაგრთავს, ისევ შესცოდო. მაგრამ, იცოდე, ღმერთი ამ გარიგებას არ მოგიწონებს და პირდაპირ ჯოჯოხეთში ამოყოფ თავს.

**ტატცელი** — იმედი წაართვი! რწმენაც წაართვი! (უფრო გაბედულად.) სამაგიეროდ რას სთავაზობ?

**გაცი** — სიყვარულს.

**ტატცელი** — მერედა, რა იცი სიყვარულისა?

**გაცი** — შენ თვითონ რა იცი? როგორ შეიძლება, გლეხები იმ ადამიანს უყვარდეს, რომელსაც ისინი ისე ჰყავს აბუჩად აგდებული, ეუბნება, სამოთხეში შეგიშვებთო, და ფულს ართმევს.

**ტატცელი** — (გლეხებს.) ჩემო პატარა ბატონებო, მე თქვენ აბუჩად გიგდებთ?

**ყველა** — ოჰ, რას ბრძანებთ!

**ტატცელი** — ჩემო პატარა წინილებო, განა არ მიყვარხართ?

**გლეხები** — კი, კი, როგორ არა! გიყვარვართ!

**ტატცელი** — მე ეკლესია ვარ, ჩემო ძმებო. ეკლესიის გარეშე სიყვარული არ არსებობს. ჩვენ ერთი დედა გვყავს. ჩვენი ეკლესია! ბერებისა და მღვდლების წყალობით ის დედობრივი სიყვარულით ზრუნავს ყველა შეილზე, მდიდარი იქნება თუ ბეღისაგან დაჩაგრული. (ეფენებისა და ქრიალის ხმა. გამოჩნდება კეთროვანი. შეშინებული გლეხები სცენის კუთხისაკენ გარბიან.) ეს ვინ არის?

*მღვდელი და ბერები ეკლესიისაკენ გარბიან.*

**გლეხები** — (კეთროვანზე მიუთითებენ.) ის არის, ის, ფრთხილად იყავი! კეთროვანია!

**ტატცელი** — (თავზარდაცემული.) უფალო, იესო ქრისტე! პაუზა. გაცი კეთროვანს უახლოვდება.

**გაცი** — (ტეტცელს კეთროვანზე ანიშნებს.) აკოცე.

**ტატცელი** — უჰ!

**გაცი** — თუ ეკლესიას არ ეზიზღება და არ ეთაკილება ბედისაგან ყველაზე დაჩაგრული შეილები, რალას უცდი, აკოცე კეთროვანს. (ტეტცელი თავს აქნევს უარის ნიშნად.) იესო გულში ჩაიკრავდა. მე უფრო მიყვარს იგი, ვიდრე შენ.

*პაუზა. გაცი კეთროვანისაკენ მიდის.*

**კეთროვანი** — (კბილებში გამოცრის.) აი, კიდევ ერთს სურს გაითამაშოს კეთროვნის ამბორი.

**გაცი** — მომიახლოვდი, ჩემო ძმაო.

**კეთროვანი** — ასეც ვიცოდი. (უხალისოდ უახლოვდება.) თუ თქვენს ხსნაზეა ლაპარაკი, უარს ვერ გეტყვით, მაგრამ ჩქარა ჰქენით. ყველანი ერთნაირები არიან: კაცს ეგონება, უფალმა კეთრი იმისათვის შემყარა, რომ ეგენი სამოთხეში მოვასვენდრო. (გეტს კოცნა უნდა.) ოღონდ ტუჩებში არ მაკოცო. (გაცი კოცნის.) ფუი. სახეს ინშენდს.

**ტატცელი** — (იცინის.) მაშ, კმაყოფილი ხარ? ხედავ, როგორ მოინშინდა შენი ნაკოცნი. რა, მოარჩინე? მითხარი ერთი, კეთროვანო, როგორ მიდის ცხოვრება?



კეთროვანი — უკეთესად წავიდოდა, ნაკლები წმინდანი რომ იყოს და მეტი კეთროვანი.

ტიტცელი — სად ცხოვრობ?

კეთროვანი — ტყეში, სხვა კეთროვნებთან ერთად.

ტიტცელი — რას აკეთებთ მთელი დღეები?

კეთროვანი — ერთმანეთს ვუყვებით კეთროვანთა ამბებს.

ტიტცელი — სოფელში რისთვისღა ჩამოსხვედი?

კეთროვანი — ვიფიქრე, ვცდი, იქნებ ერთი ინდულგენცია შევიხვედრო-მეთქი.

ტიტცელი — ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

კეთროვანი — მართლა ყიდით?

ტიტცელი — ორ ეკიუდ.

კეთროვანი — ერთი სუც არა მაქვს.

ტიტცელი — (მალაღმარდოვანად მიმართავს გლეხებს.) შეხედეთ! (კეთროვანს.) ხედავ ამ თეთრ, სულ ახალ ინდულგენციას? რა გირჩევნია, ეს მოგცე თუ ტუჩებზე გეამბორო?

კეთროვანი — ღმერთო ჩემო!

ტიტცელი — აა, რასაც იტყვი, იმას გავაკეთებ. აირჩიე!

კეთროვანი — ღმერთო ჩემო! ცხადია, ეგ მირჩევნია.

ტიტცელი — აჰა, უფასოდ მიილე, წმინდა დედა-ეკლესიის საჩუქარია. დაიჭირე.

კეთროვანი — გაუმარჯოს ეკლესიას!

*ტიტცელი ინდულგენციას გადაუგდებს. კეთროვანი ჰაერშივე იჭერს.*

ტიტცელი — ახლა გასწი აქედან!

*კეთროვანი გადის. ეჭვებისა და ჭრილის ხმა.*

ტიტცელი — ვისი სიყვარული უფრო ძლიერი აღმოჩნდა?

ბრბო — შენი, შენი, ვაჰა ტიტცელს!

ტიტცელი — განვაგრძოთ, ჩემო ძმებო! ვისი რიგია? შენი დისა იყოს, ვინც შორეულ ქვეყნებში გარდაიცვალა. (ფლუიტა.) შენი დეიდებისა იყოს, რომლებმაც გაგზარდეს. შენი დედ-მამისა, შენი უფროსი ვაჟისა. გადაიხადეთ! გადაიხადეთ! გადაიხადეთ!

გეცი — ძაღლებო! (მაგიდაზე ხელს გამეტებით ურტყამს, დოლი კიბეზე დაგორდება.) ქრისტემ მოვაჭრენი ტაძრიდან განდევნა. (ჩერდება. მტრულად უყურებს ჩუმად მდგარ გლეხებს. კაპიუშონს სახეზე ჩამოინევს, კედლის წინ მუხლებზე ეცემა და კვნესის.) ვაი, სირცხვილო: არც მაგათთან გამომდის საუბარი. გზა მაპოვნინე მათი გულებისაკენ, უფალო.

*გლეხები უყურებენ. ტიტცელი იღიმება. გლეხები*

*ტიტცელს ვახედავენ. ტიტცელი მათ თვალს ჩაუკრავს; ტუჩებზე თითს მიიდებს, სიჩუმისაკენ მოუწოდებს და თავით ანიშნებს ეკლესიის შესასვლელისაკენ. თვითონ ფეხის წვერებზე შედის.*

*გლეხები ეკლესიაში შედიან, საკაცით თაბაშირის წმინდანს შეასვენებენ. ყველა გადის. წამიერი სიჩუმის შემდეგ ეკლესიის ზღურბლთან ჰაინრიხი გამოჩნდება საერო ტანსაცმელში.*

## სცენა მესამე

### ჰაინრიხი, გეცი, ნასტი.

*ჰაინრიხი გეცისაკენ მიდის, ისე, რომ ნასტის ვერ ხედავს.*

ჰაინრიხი — შენ სულები, ეტყობა, ბოსტნეული გგონია.

გეცი — ვინ ამბობს ამას?

ჰაინრიხი — მებალის საქმეა, გადანყვიტოს, რა მინა უხდება სტაფილოს, მაგრამ არავის ძალუძს, სხვა კაცს სიკეთე თვითონ შეურჩიოს.

გეცი — ვინ ლაპარაკობს, ჰაინრიხ, შენა ხარ?

ჰაინრიხი — დიახ, მე ვარ.

გეცი — (წამოდგება და კაპიუშონს უკან გადაიგდებს.) დარწმუნებული ვიყავი, როგორც კი პირველსავე არასწორ ნაბიჯს გადავდგამდი, შენ შეგხვდებოდი. (პაუზა.) აქ რას აკეთებ? სიძულვილისათვის საზრდოს ეძებ?

ჰაინრიხი — „ის ვინც სიკეთეს თესავს, სიკეთეს მოიმკის“, განა შენ არა თქვი?

გეცი — ვთქვი და კიდევ ვიმეორებ.

*პაუზა.*

ჰაინრიხი — შენი მოსავალი მოგიტანე.

გეცი — მოსავლის აღება ჯერ ძალზე ადრეა.

*პაუზა.*

ჰაინრიხი — კატერინა კვდება, აი შენი პირველი მოსავალი.



**გეცი** — კვდება? ღმერთმა მიიღოს მისი სული. მერედა, მერე ვენა. (ჰაინრიხი იცინის.) ნუ იცინი, სულელო! ხომ ხედავ სიცილი არ გეხერხება.

**ჰაინრიხი** — (მოზოდისებრ.) ერთი დაგანახა, როგორ მემანჭება.

**გეცი** — ვინ? (ხედება.) აა! (ჰაინრიხისკენ შებრუნდება.) ერთმანეთს აღარ შორდებით?

**ჰაინრიხი** — არც ერთი წუთით.

**გეცი** — კარგი ვინმეც გიშოვია.

**ჰაინრიხი** — (სახეზე ხელს ისვამს.) დამალა.

**გეცი** — (ჰაინრიხისკენ მიდის.) ჰაინრიხ, თუ რამე განყენინე, მაპატიე.

**ჰაინრიხი** — გაპატიო, რომ ნახვიდე და ყველგან იტრაბახო, სიძულვილი სიყვარულად ვაქციე, როგორც ქრისტემ წყალი ღვინოდო!

**გეცი** — შენი სიძულვილი მე მეკუთვნის. მისგანაც და ეშაპისგანაც მე დაგისხნი.

**ჰაინრიხი** — (შეცვლილი ხმით, თითქოს მისი პირით სხვა ლაპარაკობდეს.) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. მამა მე თვითონ ვარ, ეშაპი ჩემი ძეა, სიძულვილი კი სულიწმიდაა. უმალ ზეციერ სამებას დაშლი, ვიდრე ჩვენს სამებას.

**გეცი** — მაშინ ღამე მშვიდობისა. ვორმსში წადი და იქ იქადაგე. პაემანი 9 თვეში დავთქვათ.

**ჰაინრიხი** — ვორმსში აღარასოდეს დავბრუნდები და აღარც არასოდეს ვიქადაგებ. მე ეკლესიას აღარ ვეკუთვნი, ტაკიმასხარავ. წირვის ჩატარებისა და ზიარების უფლება ჩამომართვეს.

**გეცი** — რაო, რაში დაგდეს ბრალი?

**ჰაინრიხი** — ვითომ ფული ამეღოს და ქალაქი ჩამებარებინოს.

**გეცი** — ეგ ხომ საზიზღარი სიცრუეა!

**ჰაინრიხი** — ეს ტყუილი მე თვითონ მოვიგონე. კათედრამზე ავედი და ყველას წინაშე აღსარება ვთქვი. ვთქვი, რომ ფული მიყვარს, ვარ ეჭვით შეპყრობილი, ურჩი და მიწიერი სურვილებით სავსე.

**გეცი** — ტყუილები გითქვამს.

**ჰაინრიხი** — მერე რა! ვორმსში ყველა იმას ამბობდა, ეკლესიამ ლატაკების სიძულვილის გამო ჩააბარებინა ქალაქი მათ გასაყლეთადო. ეკლესიისათვის ხომ უნდა მიმეცა საშუალება, ყველაფერი ჩემთვის დაებრალეზინა.

**გეცი** — თუ ასეა, გამოგისყიდია შენი ცოდვა.

**ჰაინრიხი** — ვითომ არ იცი, რომ ცოდვის გამოსყიდვა შეუძლებელია.

**გეცი** — მართალია, არაფერი არაფერს არ ნაშლის. (პაუზა. უცებ ჰაინრიხს უახლოვდება.) კატერინას რა დაემართა?

**ჰაინრიხი** — სისხლი დაუსწულდა. სხეული სულ წყლულებით დაეფარა, უკვე სამი კვირაა, არცა სძინავს და არცა სჭამს.

**გეცი** — რატომ მასთან არ დარჩი?

**ჰაინრიხი** — არაფერში ვჭირდები და არც არაფერი მაქვს მასთან საერთო.

*შემოდის ნასტი და სცენის სიღრმეში ჩერდება.*

**გეცი** — კატერინას მოვლა სჭირდება.

**ჰაინრიხი** — სასიკვდილოა, მაინც ვერ გადარჩება.

**გეცი** — რისგან კვდება?

**ჰაინრიხი** — სირცხვილისაგან. საკუთარი სხეული შიშის ზარს სცემს. მას ხომ ურიცხვი მამაკაცის ხელი შეხებია. უფრო კი თავისი ფული ეზიზღება, რადგან შენი ხატება დარჩა შიგ. მისი მომაკვდინებელი ავადმყოფობა - შენა ხარ.

**გეცი** — ეს შარშან იყო და შარშანდელი შეცდომები არ ითვლება. იმ შეცდომებს საიქიოში და მარადყამიერში ვზღავ. სააქაოში კი ამაზე დროს ველარ დავკარგავ.

**ჰაინრიხი** — მაშ, ორი გეცი ყოფილა.

**გეცი** — დიახ, ორი. ერთი - ცოცხალი, ვინც სიკეთეს იქმს და მეორე - მკვდარი, ბოროტებას რომ იქმნოდა.

**ჰაინრიხი** — შენი ცოდვები მკვდარ გეცთან ერთად დამარხე?

**გეცი** — დიახ.

**ჰაინრიხი** — ჩინებულია. მაგრამ კატერინას მკვდარი გეცი კი არ კლავს, არამედ ღამაში და განწმენდილი გეცი, სიყვარულისთვის თავი რომ შეუწირავს.

**გეცი** — ტყუი, დანაშაული ბოროტის მქმნელმა გეცმა ჩაიდინა.

**ჰაინრიხი** — ის დანაშაული არ იყო. როცა ნაბილნე, ამით ბევრად მეტი მიეცი, ვიდრე თვითონ ფლობდი. შენ მას სიყვარული მიეცი. ცხადია, უყვარდი, არ ვიცი რატომ. მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, მაღლი შეგეხო. მაშინ კატერინას ფულით სავსე ქისა მიეცი და გააგდე. აი, რის გამო კვდება.

**გეცი** — განა კახპასთან შემეძლო ცხოვრება?

**ჰაინრიხი** — შეგეძლო. შენ არ აქციე იგი კახპად?

**გეცი** — ან სიკეთეზე უნდა მეთქვა უარი ან მასზე.

**ჰაინრიხი** — თან რომ ნამოგეყვანა, იქნებ ისიც გადაგერჩინა



და შენი თავიც. მაგრამ რას ვამბობ! შენნაირი ადამიანი ისე როგორ დამდაბლდებოდა, მხოლოდ ერთი სულის გადარჩენაზე და-თანხმებულიყო? შენ ხომ დიდი გეგმები გქონდა?

**გეცი** — (უცებ.) ახლა სად არის?

**ჰაინრიხი** — შენს საკუთარ სამფლობელოშია.

**გეცი** — ჩემი ნახვა სურდა, ამბობ?

**ჰაინრიხი** — სურდა, მაგრამ ავადმყოფობამ გზაში წააქცია.

**გეცი** — სად?

**ჰაინრიხი** — არ გეტყვი. ისედაც ბევრი ტკივილი მიაყენე.

**გეცი** — (მრისხანედ კუმშავს მუშტს.) მე... (მშვიდდება.) კარგი. თვითონ ვიპოვი. მშვიდობით, ჰაინრიხ. (ეშმაკის მხარეს ხრის თავს.) კარგად მენახე. (ნასტიკენ მიტრიალდება.) ნავიდეთ ნასტი.

**ჰაინრიხი** — (გაოცებული.) ნასტი!

ნასტის სურს გეცს გაჰყვეს. ჰაინრიხი გზას უღობავს.

## სცენა მეოთხე

### ჰაინრიხი, ნასტი.

**ჰაინრიხი** — (დარცხენით.) ნასტი. (უფრო ხმამაღლა.) ნასტი, შენი ნახვა მინდოდა. შეჩერდი, უნდა გელაპარაკო. ვიცი, გეზი-ზღები, მაგრამ უნდა მომისმინო. შულჰაიმის მხარე გადმოვიარე. აჯანყება მზადდება.

**ნასტი** — გამატარე, ვიცი.

**ჰაინრიხი** — აჯანყების მომხრე ხარ? მითხარი, მომხრე ხარ?

**ნასტი** — შენ რაში გეკითხება. გამატარე.

**ჰაინრიხი** — (ხელუბს შლის.) არ გაგიშვებ, სანამ არ მიპასუხებ.

ნასტი ჩუმად უყურებს, მერე გადანყვეტს, უპასუხოს.

**ნასტი** — მომხრე ვარ თუ არა, აჯანყებას ველარავინ შეუშლის ხელს.

**ჰაინრიხი** — მე შემძლია, ხელი შევეშალო. შემძლია, ორ დღეში აღვმართო ჯვბირი და ზღვა ხალხი შევაჩერო. სამაგიეროდ, ნასტი, უნდა მაპატიო.

**ნასტი** — ისევ და ისევ პატიების თამაში! (პაუზა.) ეს თამაში უკვე მომწყინდა. აღარ ვთამაშობ. მე უფლებამოსილი არა ვარ, ეინმე შევაჩვენო ან შევინდო. ეს ღმერთის საქმეა.

**ჰაინრიხი** — ღმერთმა რომ არჩევანი მომცეს, შენგან მიმელო პატიება თუ მისგან, მე შენს პატიებას ავირჩევდი.

**ნასტი** — ძალიანაც შეცდებოდი. ერთი უბრალო სიტყვისათვის სამოთხეს კარგავ.

**ჰაინრიხი** — არა, ნასტი. ზეცისაგან მისაღებ შენდობას დავთმობდი, ოღონდ მიწისა მიმელო.

**ნასტი** — მიწამ შენდობა არ იცის.

**ჰაინრიხი** — დამლაღე.

**ნასტი** — რა?

**ჰაინრიხი** — შენ არ გეუბნები. (ნასტის.) რატომ მირთულე ყველაფერს? სიძულვილისაკენ მიბიძგებენ ნასტი, სიძულვილისაკენ, შენ კი არ მეხმარები. (სამჯერ იწერს პირჯვარს.) კარგი, ნუთით დავმშვიდდები. მისმინე, დრო არ ითმენს. გლეხები ეშზადებიან და ბარონებთან აპირებენ მოლაპარაკებას. ამით რამდენიმე დღეს მოვიგებთ.

**ნასტი** — რას გააკეთებ?

**ჰაინრიხი** — (ეკლესიაზე მიანიშნებს.) ხომ ნახე, გლეხები ეკლესიისათვის თავს განირავენ. ამ ჩვენს სოფლებში უფრო მეტად შესწევთ პატიების უნარი, ვიდრე მთელ დანარჩენ გერმანიაში.

ნასტი თავს აქნევს.

**ნასტი** — შენი მღვდლები უძლურები არიან: მართალია, ისინი უყვართ, მაგრამ თუ მღვდლები აჯანყებას გაიცხადებენ, მათი ქადაგება უდაბნოსა შინა ღალადებას დაემსგავსება.

**ჰაინრიხი** — მათ სიტყვებს კი არ ვუნებ ანგარიშს, არამედ მათ სიჩუმეს. ნარმოიდგინე: ერთ მშვენიერ დილას გაიღვიძებენ სოფლელები და დაინახავენ რომ მათი ეკლესიის კარი ღიაა, ეკლესია კი ცარიელია. ჩიტი გაფრენილა: აღარავინაა საკურთხევის წინ, არც ქურჭლის საცავთან და არც აკლდამასთან, მღვდლის სახლიც ცარიელია.

**ნასტი** — განა ეგ შესაძლებელია?

**ჰაინრიხი** — ყველაფერი მზადაა. აქა გყავს ხალხი?

**ნასტი** — მხოლოდ რამდენიმე კაცი.

**ჰაინრიხი** — უბრძანე, იქაურობა მოიარონ, იყვირონ, და, რაც მთავარია, ღმერთი დაგმონ. შიში და შფოთი დათესონ, მერე მომავალ კვირას, წირვის დროს, სოფლის მღვდელი ჩაიგდონ ხელში, ტყეში წაათრიონ და იქიდან დასისხლიანებული ხანჯლებით დაბ-



რუნდნენ. იმ მხარის ყველა მღვდელი ფარულად დატოვებს თავის სოფელს და იმავე ღამით მარკშტაინის სასახლეს მიაშურებს, სადაც მათ ელოდებიან. ორშაბათიდან ღმერთი ცას დაუბრუნდება. ბავშვებს აღარავინ მონათლავს, ცოდვების შემნდობი აღარავინ იქნება, ავადმყოფები შეშინდებიან, ზიარების გარეშე მოვკვდებითო. აჯანყებას შიში ჩააქრობს.

**ნასტი** — (ფიქრს მიეცა.) შეიძლება მართლაც ასე მოხდეს. ეკლესიის კარი იღება. ისმის ორღანოს ხმა; გლეხები გამოდიან, და საკაცით წმინდანის ქანდაკებას მოასვენებენ.

**ნასტი** — (გლეხებს უყურებს.) თუ მოხერხდა, ალბათ ასეც მოხდება...

**ჰაინრიხი** — ნასტი, გემუდარები, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, მითხარი, რომ მაჰატიებ.

**ნასტი** — სიამოვნებით ვიტყვოდი. მაგრამ საუბედუროდ, ვიცი, ვინცა ხარ.

## სურათი მეექვსე

ორი კვირის შემდეგ ეკლესიაში. ყველა სოფელში იქ შეაფარა თავი, გარეთ აღარავინ გამოდის. იქ ჭამენ, იქ სძინავთ. ახლა ლოცულობენ. ნასტი და ჰაინრიხი მლოცველებს უყურებენ. მამაკაცები და ქალები ძირს წვანან. ავადმყოფები და ხეიბრები ეკლესიაში გადაიყვანეს. ზოგი კენესის, ზოგიერთი საკურთხეველთან ბორგავს.

## სცენა პირველი

მლოცველი გლეხები, ნასტი, ჰაინრიხი.

**ნასტი** — (თავისთვის.) მათი მოხმენა აღარ შემიძლია. ვაი, ჩემს თავს! მრისხანების გარდა არაფერი გქონდათ და სულის ერთი შეხერვით ისიც ჩაგიქრეთ.

**ჰაინრიხი** — რას ამბობ?

**ნასტი** — არაფერს.

**ჰაინრიხი** — კმაყოფილი არა ხარ?

**ნასტი** — არა.

**ჰაინრიხი** — ეკლესიაში ტევა აღარ არის. ისინი შიშს შეუპყრია და აჯანყება ჩანასახშივე ჩაკვდა. მეტი რალა ვინდა? (ნასტი არ პასუხობს.) მაშ, ორივეს მაგივრად მე გავიხარებ. (ნასტი ურტყამს.) რა მოგივიდა?

**ნასტი** — თუ გაიხარებ, ნეკნებს ჩავმიტვრევ.

**ჰაინრიხი** — არ ვინდა ჩვენი გამარჯვებით გავიხარო?

**ნასტი** — არ მინდა გაიხარო, როცა აღამიანები მინას არიან კართხმულნი.

**ჰაინრიხი** — რაც გავაკეთე, შენი თანხმობით და შენთვის გავაკეთე. ეჭვები ხომ არ აღგეძრა, წინასწარმეტყველო? (ნასტი მხრებს იჩეჩავს.) თუმცა კი პირველი შემთხვევა არ არის, როცა მათ ატყუებ.

**ნასტი** — პირველად დავაყენე ისინი მუხლებზე და ხელი შეეშალე თავი დაეცვათ. პირველად დავიჭირე კავშირი ეშმაკთან და შეეუთანხმდი ცრურწმენას.

**ჰაინრიხი** — გემინია?

**ნასტი** — ეშმაკიც ღმერთის ქმნილებაა. თუ ღმერთს სურს, ეშმაკი დამიჯერებს. (უცებ.) ამ ეკლესიაში ვიხუთები, მოდი, გავიდეთ.

## სცენა მეორე

*ჰაინრიხი და ნასტი გასასვლელად ემზადებიან. უცებ შემოდის გეცი და ჰაინრიხისაკენ მიემართება.*

**გეცი** — ძაღლო. ნიძლავის მოსაგებად ყველა საშუალებას ხმარობ, ა?! მთელი ორი კვირა დამაკარგვინე. ათჯერ მაინც შემოვირბინე ჩემი სამფლობელო, რომ მეპოვნა. ახლა ვიგებ, რომ აქ ყოფილა, მე კი სადღაც ეშმაკებში დავეძებდი. სულთმობრძავე, აქ ცივ მინაზე წევს. ესეც ჩემი ბრალია! (ჰაინრიხი მისგან თავს დაიხსნის და გადის ნასტისთან ერთად. გეცი თავისთვის იმეორებს.) ჩემი ბრალია... არაფრისმთქმელი სიტყვებია. შენ გინდა, რომ შემრცხვეს, მე კი სირცხვილი არ გამაჩნია. ჩემი ჭრილობებიდან სიამაყე მოჟონავს: 35 წელია, სიამაყით ვიხრჩობი, ანუ მეც ჩემებურად სირცხვილისაგან ვკვდები. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. (უცებ.) მომაცილე ეს საფიქრალი, მომაცილე! მომეხმარე, რომ საკუთარი თავი დავივიწყო! ხომ ჭიალუად მაქციე! დაე, ასე იყოს! (მლოცველი გლეხების ბუტბუტი ხან მატულობს, ხან კლებულობს.) კატერინა! (შედის ბრბოში, თითოეულს აცქერდება და ეძახის.) კატერინა! (უახლოვდება ქვაფენილზე დანოლილ გაშავებულ სხეულს; ასწევს საბანს და მაშინვე ხელიდან უშვებს. სვეტის უკან უჩინარდება. ისმის მისი ძახილი.) კატერინა!

## სცენა მესამე

### გლეხები.

*საათი შვიდჯერ რეკავს.*

**მძინარე** — (მინაზე მწოლი იღვიძებს და წამოხტება.) რომელი საათია, დღეს რა დღეა?

**მამაკაცი** — კვირა დილაა და შვიდი საათია. არა, კვირადღე არაა. კვირადღეები დამთავრდა, კვირადღეები აღარასოდეს გვექნება; ჩვენმა მღვდელმა ისინი თან წაიყოლა. კვირის სხვა დღეები დაგვიტოვა, მუშაობისა და შიმშილის დანყველილი დღეები.

**გლეხი** — ეშმაკსაც წაულია ყველაფერი! ისევ ვიძინებ. გამაღვიძეთ, როცა განკითხვის დღე დადგება.

**ქალი** — ვილოცოთ.

*შემოდის ჰილდა, მოაქვს ერთი შეკვრა თივა, თან ორი გლეხი შემოჰყვება. მათაც თივის შეკვრები უჭირავთ.*

## სცენა მეოთხე

*იზივენი, ჰილდა, შემდეგ გეცი.*

**პირველი ქალი** — ჰილდა! ეს ჰილდაა.

**მეორე ქალი** — როგორ გვაკლდი! გარეთ რა ხდება? მოგვიყევი.

**ჰილდა** — მოსაყოლი არაფერია. ყველგან სიჩუმე სუფევს, მხოლოდ საქონელი ბღავის შიშისაგან.

**ხმა** — როგორი დარია?

**ჰილდა** — არ ვიცი.

**ხმა** — ცისთვის არ შეგიხედავს?

**ჰილდა** — არა. (პაუზა.) თივა მოვიტანე, რომ ავადმყოფებს



დაუფინო. (ორ გლახს მიმართავს.) დამეხმარეთ. (ავადმყოფს თივაზე აწვევენ.) ახლა ამას მივხედოთ. (იმავეს აკეთებენ.) ახლა ამათ. (ასწვენ დედაბერს, რომელიც ქვითინს იწყებს.) გეხვეწები, ნუ ტირი, სხვებს ნუ შეაშფოთებ, ბებო, ისინიც ატირდებიან.

**დედაბერი** — (წუნუნით.) მანდ ჩემი ლოცვანია.

*მიანიშნებს ადგილზე, სადაც იწვა.*

**ჰილდა** — (გალიზიანებული იღებს ლოცვანს და კალთაში ჩაუკვდებს.) აიღე, ლოცვა სჯობია ტირილს, ნაკლებს იხმაურებს! კარგი ერთი, ტირილი და ლოცვა განა ერთად შეიძლება? (თვლებს მოუნმენდს თავისი ცხვირსახოცი.) ცხვირი მოიხოცე და მორჩი! ნუ ტირი-მეთქი, ჩვენ დამნაშავენი არა ვართ და ღმერთს არა აქვს უფლება, დაგვსაჯოს.

**დედაბერი** — (წუნუნით.) ვაიმე, ჩემო შვილო, შენც კარგად იცი, რომ ყველაფრის უფლება აქვს.

**ჰილდა** — (მკვახედ.) თუ იმის უფლება აქვს, უდანაშაულონი დასაჯოს, ახლავე ეშმაკის მხარეზე დავდგები. (გლახები იკრიბებიან და მას უყურებენ, ჰილდა მხრებს იჩეჩავს და ბოძს მიყრდნობა. ასეა გაჩერებული ერთ ნუთს, სახე გამტერებია, თითქოს რაღაცას იგონებს. შემდეგ ზიზღით ამბობს.) უჰ!

**პირველი ქალი** — ჰილდა, რა დაგემართა?

**ჰილდა** — არაფერი.

**ქალი** — შენ ისეთ იმედს გვაძლევდი ხოლმე.

**ჰილდა** — მე? რა იმედს?

**ქალი** — ჰილდა, შენ თუ სასონარკვეთილი ხარ, ჩვენც ყველანი შენსავით სასონარკვეთილნი ვიქნებით.

**ჰილდა** — ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს სიტყვებს. (შეაყრ-ყოლებს.) ცივა. ამ ქვეყანაზე ერთადერთი სითბო თქვენა ხართ. ჩაეხუტეთ ერთმანეთს და უცადეთ.

**ხმა** — რას უნდა ვუცადოთ?

**ჰილდა** — რასა და სითბოს. ჩვენ გვზია და გვცივა, გვე-შინია, ცუდად ვართ, მაგრამ დღეს აქ ჩვენთვის მთავარი მხოლოდ ის არის, როგორმე გავთბეთ.

**ქალი** — მაშ, მოდი, ჩამეკარი. (ჰილდა არ ინძრევა. ქალი მის-კენ მიდის.) მოკვდა?

**ჰილდა** — ჰო.

**ქალი** — ღმერთმა გაანათლოს.

**ჰილდა** — ღმერთმა? (მწარედ გაიცინებს.) ღმერთს ეგ არ სჭირდება.

**ქალი** — ჰილდა, როგორ ბედავ ამის თქმას? (ბრბო დრტი-

ნავს.)

**ჰილდა** — სიკვდილის წინ მან ჯოჯოხეთი იხილა. უცებ წამოი-ნია, თქვა, რასაც ხედავდა, და მოკვდა.

**ქალი** — მკვდარს არაფერ უზის?

**ჰილდა** — არა, თუ გინდა, შენ დაუჯექი.

**ქალი** — მთელი ქვეყნის ოქრო რომ მომცე, ვერ დაუჯვდები.

**ჰილდა** — კარგი. ახლავე დავბრუნდები. მაცალეთ, ცოტა შევთბე.

**ქალი** — (ხალხს მიუბრუნდება.) ვილოცოთ, ჩემო ძმებო, შევე-ვედროთ ღმერთს, შეინყალოს უბედური მიცვალებული, რომელმაც ჯოჯოხეთი იხილა და ალბათ საუკუნო სატანჯველი ელის.

*მოშორებით მუხლებზე დგება და ლოცულობს. ისმის ლოცვის მონოტონური ხმა. გამოჩნდება გეცი და ბოძს მიყრდნობილი ჰილდას უყურებს.*

**ჰილდა** — (ხმადაბლა.) პატიება შეგთხოვო? რა გვაქვს საპა-ტიებელი? პირიქით შენ უნდა გვთხოვო პატიება. არ ვიცი, მე რას მიმზადებ. მართალია, მიცვალებულს არ ვიცნობდი, მაგრამ თუ მას შეაჩვენებ, არც მე მინდა შენი სასუფეველი. არ იფიქრო, რომ სამოთხის 1000 წელიც ძრწოლვით აღსავსე მის თვლებს დამავინყებს. მეზიზღებიან შენი უზადრუკი რჩეულები, რომლებსაც გული ნებას აძლევთ ნეტარებდნენ, როცა ჯოჯოხეთში ამდენი განწირული სულია და ქვეყანაზე ამდენი ღატაკი. მე ადამიანებთან ვარ და არასოდეს მივატოვებ მათ. შეგიძლია უზიარებლად მომკლა, თანაც შენს სამსჯავროზე მაშინვე გამიხმო. მაშინ ვნახავთ, ვინ ვის განსჯის. მას უყვარდა. მთელი ღამე მის სახელს გაჰყვიროდა, ბოლოს და ბოლოს რით მოაჯადოვა იმ ნაბიჭვარმა? (უცებ მათკენ მოტრიალდება.) თუ ლოცვა გინდათ, მოითხოვეთ, რომ სოფელ რიგში დაქცეული სისხლი გეცმა ზღოს.

**ხმა** — გეცმა?

**ჰილდა** — ის არის დამნაშავე.

**ხმები** — ღმერთმა დასაჯოს ნაბიჭვარი გეცი!

**გეცი** — (ჩაიცინებს.) ასეა, ბოროტებას ჩავდივარ თუ სიკეთეს ვაკეთებ, ყოველთვის სიძულვილს ვინვევ. (გლახს მიმართავს.) ეგ ვინ არის?

**გლახი** — ეგ ხომ ჰილდაა!

**გეცი** — ვინ ჰილდა?

**გლახი** — ჰილდა ლემი. მამამისი სოფელში ყველაზე მდიდარი მენისქვილეა.

**გეცი** — (მწარედ.) ისე უსმენთ, თითქოს წინასწარმეტყველი



იყოს. ვითხრათ თუ არა, გეცის წინააღმდეგ ილოცეთო, ყველამ მუხლები მოიყარეთ.

**გლეხი** — იმიტომ რომ ძალიან გვიყვარს.

**გეცი** — გიყვართ? მდიდარია და მაინც გიყვართ?

**გლეხი** — აღარ არის. შარშან მონასტერში უნდა აღკვეცილიყო, მერე კი შიმშილობის დროს უარი თქვა აღთქმაზე და ჩვენთან მოვიდა საცხოვრებლად.

**გეცი** — თქვენი გულები რით მოიგო?

**გლეხი** — მონაზონივით ცხოვრობს, ყველაფერს იკლებს და ყველას ეხმარება.

**გეცი** — დიდი ამბავი, მაგას ხომ მეც ვაკეთებ. ალბათ სხვა რამეცაა.

**გლეხი** — სხვა არაფერი. მე სხვა არ ვიცი.

**გეცი** — არაფერი? საინტერესოა.

**გლეხი** — ეგ... კეთილია.

**გეცი** — (იციანის.) კეთილი? გმადლობთ, ბერიკაცო, შენც განმანათლე. (იქაურობას სცილდება.) თუკი მართლა სიკეთეს სჩადის, მე გამიხარდება, უფალო, ნამდვილად გამიხარდება. ოღონდაც შენი მეუფება მოვიდეს, სულერთია, მაგისა თუ ჩემი წყალობით. (მტრულად უყურებს ჰილდას.) მონაზონივით ცხოვრობსო. მერე რა! განა მე ბერივით არ ვცხოვრობ? ისეთი რა გააკეთა, მე არ გამიკეთებინოს? (ჰილდას უახლოვდება.) გამარჯობა! კატერინას იცნობ?

**ჰილდა** — (ნამოხტება). რატომ მეკითხები? ვინა ხარ?

**გეცი** — მიპასუხე, იცნობ?

**ჰილდა** — კი, ვიცნობ. (უცებ კაპიუშონს აუნევს და სახეს გამოუჩენს.) შენც ვიცნობ, თუმცა არასოდეს მინახიხარ. გეცი არა ხარ?

**გეცი** — დიახ, მე ვარ.

**ჰილდა** — როგორც იქნა.

**გეცი** — სად არის?

**ჰილდა** არ პასუხობს. მერე ბრახმორეული ღიმილით მიმართავს.

**ჰილდა** — ნახავ, რა გეჩქარება.

**გეცი** — გგონია, სურვილი აქვს, კიდევ ზედმეტი ხუთი წუთი იტანჯოს?

**ჰილდა** — შენ კი გგონია, შენი ნახვა ტანჯვას შეუჩერებს? (გეცი უყურებს. პაუზა.) ორივენი მოიცდით.

**გეცი** — რას უნდა ვუცადოთ?

**ჰილდა** — მოიცა, მინდა კარგად დაგაკვირდე.

**გეცი** — შეშლილო, არ გიცნობ და არც მინდა გიცნობდე.

**ჰილდა** — მე კი გიცნობ.

**გეცი** — არ მიცნობ.

**ჰილდა** — მე არ გიცნობ? მკერდზე შავი ხავერდის მსგავსი ხვეული ბალანი გაქვს. მუცლის ქვემოთ მუქლურჯი ძარღვი მიგიდის, რომელიც იბერება, ქალს როცა ესიყვარულები. თქმოსთან მარწყვისნაირი დიდი ხალი გაქვს.

**გეცი** — საიდან იცი?

**ჰილდა** — ხუთი დღე-ღამე კატერინას გვერდით გავატარე. ოთახში სამნი - კატერინა, მე და შენ - ერთად ვცხოვრობდით. ყველგან შენ გხედავდა და ბოლოს მეც დაგინახე. ღამეში ორჯერ კარი იღებოდა და შენ შემოდდი. შენ მას დაუდევრად და აგდებულად უყურებდი და ორი თითით კეფაზე ეფერებოდი, აი ასე. (უცებ გეცს ხელზე დასწვდება.) რა აქვთ ამ თითებს? ბალნიანი ხორცია, სხვა არაფერი.

გაბრაზებით უშვებს ხელს.

**გეცი** — რას გეუბნებოდა?

**ჰილდა** — ყველაფერს და შეგიჯავრე.

**გეცი** — ამბობდა, რომ უხეში, მხეცი და საზიზღარი ვარ?

**ჰილდა** — ამბობდა, რომ ლამაზი, ჭკვიანი და გაბედული ხარ, მკაცრი და კადნიერი, იმასაც ამბობდა, მისი ერთი შეხედვა კმარა, რომ ქალს შეუყვარდესო.

**გეცი** — სხვა გეცზე გელაპარაკებოდა.

**ჰილდა** — გეცი ერთია.

**გეცი** — ახლა შენი თვალებით შემომხედე, სად ხედავ სიმკაცრეს, სად ხედავ კადნიერებას? ვაი, სად არის ჭკუა? ადრე ნათლად ვხედავდი და შორსმჭვრეტელიც ვიყავი, რადგან ბოროტების ჩადენა მარტივია, მაგრამ ჩემი მზერა დაიბინდა და მთელი ქვეყანა რაღაც-რაღაცებით ისე აივსო, რომ აღარაფერი მესმის. ჰილდა, გთხოვ, მტრად ნუ მომეკიდები.

**ჰილდა** — მაგით რა შეიცვლება, მე ხომ ვერაფერს გავნებ.

**გეცი** — (გლეხებზე მიუთითებს.) ამათ თვალში უკვე სახელი გამიფუჭე.

**ჰილდა** — ეგენი ჩემები არიან და მე მაგათი, შენს საქმეებში ნუ გავგრევ.

**გეცი** — მართლა უყვარხარ ამ ხალხს?

**ჰილდა** — კი.

**გეცი** — რატომ?

**ჰილდა** — არასოდეს დამისვამს ჩემი თავისთვის ეს კითხვა.



**გეცი** — იმიტომ, რომ ლამაზი ხარ.

**ჰილდა** — არა, მხედართმთავარო. თქვენ და თქვენისთანებს ლამაზი ქალები იმიტომ გიყვართ, რომ სხვა საქმე არ გაგაჩნიათ, მხოლოდ სუნელიან კერძებს მიირთმევთ. ჩემი ძმები დღედაღამ შრომობენ და შიათ, სადა აქვთ დრო, ქალების სილამაზით დატკბნენ?

**გეცი** — მაშ, რატომ უყვარხართ? რა, ვითომ სჭირდებით?

**ჰილდა** — უფრო იმიტომ, რომ მე მჭირდებიან ისინი.

**გეცი** — რატომ?

**ჰილდა** — შენ ვერ გაიგებ.

**გეცი** — (მისკენ მიდის.) ერთბაშად შეგიყვარეს?

**ჰილდა** — დიახ.

**გეცი** — მეც ასე ვფიქრობდი. ერთბაშად ან არასოდეს. იმთავითვე იგებ ან აგებ. დრო და მონდომება აქ არაფერ შუამია. (უხეშად.) ეს არ შეიძლება ღმერთს უნდოდეს, ეს ხომ უსამართლობაა. ადამიანები დაბადებით დაწყვეტილნი არიან.

**ჰილდა** — დიახ, ეგრეა. მაგალითად კატერინა.

**გეცი** — (არ უსმენს.) რით მოხიბლეს, ჯადოქარო? ისეთი რა მოიმოქმედე, რომ იმას მიაღწიე, რაშიც მე დავმარცხდი?

**ჰილდა** — შენ რითი მოხიბლეს კატერინა?

*ერთმანეთს მოჯადოებულებივით უყურებენ.*

**გეცი** — (მზერას არ აცილებს ჰილდას.) ხალხის სიყვარული მომპარე. როცა გიყურებ მათ სიყვარულს ვხედავ.

**ჰილდა** — მე კი, როცა გიყურებ, კატერინას სიყვარულს ვხედავ და მეჯავრები.

**გეცი** — რას მსაყვედურობ?

**ჰილდა** — კატერინას სახელით გსაყვედურობ იმას, რომ იგი სასონარკვეთილებმდე მიიყვანე.

**გეცი** — ეგ შენი საქმე არ არის.

**ჰილდა** — გსაყვედურობ იმ ქალებისა და კაცების სახელით, თავზე რომ დაგვაყარე შენი მინები და მათ ქვეშ გავგვსრისე.

**გეცი** — ეშმაკსაც ნაუღიხარ... ქალის წინაშე თავს არ გავიმართლებ.

**ჰილდა** — ჩემი სახელით გსაყვედურობ, ჩემი ნების სანინა-აღმდეგოდ რომ დამიმორჩილე.

**გეცი** — (გაოცებული.) დაგიმორჩილე?

**ჰილდა** — ხუთი ღამის განმავლობაში, ეშმაკობითა და ძალით, შენი ვიყავი.

**გეცი** — (იცინის.) ეტყობა დაგესიზმრა.

**ჰილდა** — დიახ, დამესიზმრა. სიზმარი იყო და მეც თან შემოიყვალა. მინდოდა მისი ტანჯვით მეტანჯა, ისევე, როგორც ამათი ტანჯვით ვიტანჯები, მაგრამ ეს ხაფანგი აღმოჩნდა, რადგან მისი სიყვარულით შეგიყვარე. დიდება ღმერთს, გნახე. დღისით-მზისით გხედავ და ვთავისუფლდები! დღისით ისეთი ხარ, როგორც სინამდვილეში!

**გეცი** — ჰოდა, გამოიღვიძე! ყველაფერი დაგსიზმრებია. შენთვის ხელიც არ დამიკარებია, ამ დილამდე არც მინახიხარ. არაფერი მომხდარა.

**ჰილდა** — არაფერი, მართლაც არაფერი მომხდარა. მკლავებში მეჭირა, როცა ყვიროდა, მაგრამ ეგ ხომ არაფერს ნიშნავს. არაფერი მომხვლია, რადგან არც ჩემს მკერდს შეხებიხარ, არც ჩემს ბაგეებს. ეშმაკმა დალახვროს! შენ ლამაზი ხარ, მხედართმთავარო, და მარტოსული, როგორც ყველა მდიდარი. შენ მხოლოდ შენი ჭრილობები გტკიოდა. ეს არის შენი უბედურება. მე თითქმის ვერა ვგრძნობ ჩემს სხეულს, არ ვიცი, ჩემი სიცოცხლე სად იწყება და სად მთავრდება. დროდადრო ისიც მიკვირს, სახელი რომ მქვია. მე ვიტანჯები ყველას სხეულში, ყველას დარტყმას ჩემ ლოყებზე ვგრძნობ, ყველას სიკვდილით ვკვდები; ყველა ის ქალი, ვისხედაც ძალა იხმარე, ჩემს სხეულში გააუჰატიურე.

**გეცი** — როგორც იქნა! (გამარჯვებული კილოთი. ჰილდა გაკვირვებული უყურებს.) შენ პირველი იქნები.

**ჰილდა** — პირველი?

**გეცი** — პირველი, ვისაც ვეყვარები.

**ჰილდა** — მე? (იცინის.)

**გეცი** — უკვე გიყვარვარ. ხუთი ღამე დაუსწრებლად ჩემი ტყვე იყავი და შენში კვალი დავტოვე. შენ ჩემში ის სიყვარული გიყვარს, კატერინას რომ ჰქონდა, მე კი შენში ის სიყვარული მიყვარს, რა სიყვარულითაც ესენი გიყვარს. შენ შემოიყვარე და, თუ ისინი შენ გეკუთვნიან, როგორც ამბობ, შენი წყალობით მეც შემოიყვარებენ.

**ჰილდა** — ერთხელაც რომ შემოგხედო სინაზით, მაშინვე დავითხრი ამ თვალებს. (გეცი მკლავში ჰკიდებს ხელს. ჰილდა აღარ იცინის და ბოროტად უყურებს.) კატერინა მოკვდა.

**გეცი** — მოკვდა? (თავზარდაცემული.) როდის?

**ჰილდა** — ეს ნუთია.

**გეცი** — ბევრი იტანჯა?

**ჰილდა** — მან ჯოჯოხეთი იხილა.

**გეცი** — (შებარბაცდება.) მოკვდა!



**ჰილდა** — გაგეცა? ნადი, კეფაზე მიეფერე.

*სიჩუმე. ეკლესიის სიღრმიდან ყვირილი ისმის. გლეხები შედგებიან, ეკლესიის შესასვლელისაკენ მობრუნდებიან და იცდიან. ხმაური ახლოვდება, შემდეგ ჰაინრიხი და ნასტი გამოჩნდებიან. მათ კატერინა მოჰყავთ საკაცით.*

## სცენა მესამე

### იზიპენი, ჰაინრიხი, ნასტი და კატერინა.

**კატერინა** — (აღარ ყვირის. საკაცებზე წამონეული და რალაცას ბუტბუტებს.) არა, არა, არა, არა, არა.

**გეცი** — (ყვირის.) კატერინა! (ჰილდას). საზიზლარო, მომატყუე.

**ჰილდა** — არ მომიტყუებხარ, გეცი. გული აღარ უცემდა (კატერინასკენ იხრება.)

**ჰაინრიხი** — აქეთ რომ მოვდიოდი, გზაში მისი ყვირილი გავიგონეთ. გვითხრა, ეშმაკი მიდარაჯებსო და შეგვეხვენა, ჯვართან მიგვეყვანა.

*ხალხი მუქარით გზას უღობავს.*

**ხმები** — არა, არა, ეგ დაწყველილია. გაეთრიეთ აქედან, ახლავე გაეთრიეთ.

**გეცი** — ეშმაკმა წაგილოთ, ძაღლებო. მე თქვენ გასწავლით ქრისტიანულ გულმონყალებას.

**ჰილდა** — გაჩერდი, შენ მხოლოდ ბოროტების მოტანა შეგიძლია. (გლეხებს.) ეს უკვე გვამია. სული სხეულს ებლაუჭება, რადგან ეშმაკებით არის გარშემორტყმული. თქვენც ეშმაკი ვითვალთვალებთ. თქვენ, ვინღა შეგიბრალებთ, თუკი თქვენ არავის შეიბრალებთ? ვის ეყვარება ღატაკები, თუ ღატაკებს ერთმანეთი არ ეყვარებათ? (ბრბო ჩუმად იშლება.) რაკი თხოულობს, ჯვართან მიიყვანეთ.

*ჰაინრიხს და ნასტის საკაცე ჯვრამდე მიაქვთ.*

**კატერინა** — აქ არის?

**ჰილდა** — ვინ?

**კატერინა** — მღვდელი.

**ჰილდა** — ჯერ არ მოსულა.

**კატერინა** — ნადი, მოიყვანე, ჩქარა მოიყვანე. მის მოსვლამდე გაეძლებ.

**გეცი** — (უახლოვდება.) კატერინა!

**კატერინა** — ის არის?

**გეცი** — მე ვარ, ჩემო სიყვარულო.

**კატერინა** — მე მღვდელი მეგონა. (ყვირის.) მღვდელი მინდა, ჩქარა მომიყვანეთ. უალსარებოდ არ მინდა მოვკვდე.

**გეცი** — კატერინა, შენთვის არაფერია საშიში, ავს ვერაფერს მოგწვევენ. ამქვეყნად დიდი ტანჯვა გამოიარე.

**კატერინა** — მამ, აქ რატომ არიან? ვხედავ-მეთქი!

**გეცი** — სად?

**კატერინა** — ყველგან! წმინდა წყალი მიასხურეთ! (ყვირილს იწყებს.) გეცი, მიხსენი! მიხსენი! ყველაფერი შენი ბრალია. მე უდანაშაულო ვარ! თუ გიყვარვარ, მიხსენი.

*ჰილდა ეხვევა და ცდილობს საკაცებზე დააწვინოს. კატერინა ხელიდან უსხლტება და ყვირის.*

**გეცი** — ჰაინრიხ!

**ჰაინრიხი** — მე ეკლესიას აღარ ვეკუთვნი.

**გეცი** — მან ეგ არ იცის. პირჯვარი გადასწერე შუბლზე და საშინელი ხილვები მოსცილდება.

**ჰაინრიხი** — რა საჭიროა. თუ სიკვდილის მიღმაც იგივე საშინელება ელის.

**გეცი** — ეს ხომ მხოლოდ ხილვებია, ჰაინრიხ.

**ჰაინრიხი** — ასე გეგონოს.

*იცინის.*

**გეცი** — ნასტი, ხომ ამტკიცებ, ყველა ადამიანი მღვდელი არისო.

*ნასტი მხრებს იჩეჩავს თავის უძღურებით შეწუხებული.*

**კატერინა** — (მათი ლაპარაკი არ ესმის.) ვერა ხედავ, ვკვდები. (ჰილდა აიძულებს დაწვეს.) გამიშვით, გამიშვით.

**გეცი** — (თავისთვის.) რომ შემეძლოს... (უცებ გადანყვებილებას იღებს და ხალხისკენ მიტრიალდება.) ეს ქალი ჩემს გამო დაიღუპა და მისი სული ისევ მე უნდა ვიხსნა. ყველანი ნადით. (ყველანი გადიან. ნასტის ჰაინრიხი ძალით გაჰყავს. ჰილდაც ყოყმანობს.) შენც გადი, ჰილდა.

*ჰილდა მიდის.*



## ს ც ე ნ ა მ ი ე მ ს ს ა

### გეცი, კატერინა, შემდეგ ბრძო.

**გეცი** — ახლა კი ჩემს ხელში ხარ! მართალია, სასწაულებს ძნელად იმეტებ, მაგრამ ამჯერად მოგიწევს ერთი სასწაული ჩემთვისაც მოახდინო.

**კატერინა** — სად მიდიან? მარტო არ დამტოვო.

**გეცი** — არა, კატერინა, ჩემო სიყვარულო, შენი სული უნდა ვიხსნა.

**კატერინა** — როგორ, შენ ხომ მღვდელი არა ხარ.

**გეცი** — ქრისტეს ვთხოვ, შენი ცოდვები მე გადმომილოცოს.

**კატერინა** — მესმის.

**გეცი** — შენს მაგივრად მე ვიტვირთავ მათ. შენი სული წმინდა იქნება, როგორც შენი გაჩენის დღეს იყო. უფრო წმინდა, ვიდრე მღვდელს რომ მიელო შენი აღსარება.

**კატერინა** — როგორ მივხვდე, რომ შენი სიტყვები ისმინა.

**გეცი** — შევბრუნდები და ვილოცებ: და თუ კეთრით ან განგრენით სახედამახინჯებული შენსკენ შემოვბრუნდები, ხომ დამიჯერებ?

**კატერინა** — კი, ჩემო სიყვარულო, დაგიჯერებ.

*გეცი მოსცილდება.*

**გეცი** — ყველა ეს ცოდვა ჩემია. შენ კარგად იცი. დამიბრუნე, რაც მე მეკუთვნის. შენ არა გაქვს უფლება ეს ქალი შეაჩვენო, რადგან დამნაშავე მხოლოდ მე ვარ. აი, ჩემი მკლავები, ჩემი სახე, ჩემი გულმკერდი. დაღარე ჩემი ლოყები. მისი ცოდვები ჩემს თვალებსა და ყურებში ბალღამად ჩააქციე, დამიშანთე ზურგიც, თეძოებიც და ასოც; შემყარე კეთრი, ქოლერა, ჭირი, ოღონდაც ეგ იხსენი!

**კატერინა** — (სუსტად.) გეცი, მიშველე.

**გეცი** — არ გესმის ჩემი, სმენა დაგეხშო, ღმერთო? უარს ვერ მეტყვი ამ გარიგებაზე, რადგან ის სამართლიანია.

**კატერინა** — გეცი, გეცი, გეცი!

**გეცი** — ამ ხმის გაგონება აღარ შემიძლია. (ადის კათედრაზე.) შენ ადამიანებისათვის მოკვდი თუ არა? შეხედე, ადამიანები მაინც

იტანჯებიან. ხელახალი მსხვერპლია საჭირო! მომეცი შენი ჭრილობები! შენი თეძოს ჭრილობა მიბოძე, ლურსმნებით მიჭედელი ხელების ორი იარა. თუ ღმერთი ენამა ადამიანებისათვის, რატომ ადამიანს არ შეუძლია ენამოს? ხომ არ ეჭვიანობ? მომეცი შენი სტიგმატები, მომეცი. (ქრისტეს წინ ხელებს შლის.) მომეცი ისინი, მომეცი, მომეცი. (იმეორებს "მომეცი ისინი", როგორც შელოცვას). დაყრუვდი? ვაი, რა სულელი ვარ. თქმულა, ხელი გაანძრიე და ღმერთიც გიშველისო! (სარტყელიდან დანას დააძრობს, მარჯვენა ხელით ისურავს მარცხენას, მარცხენათი მარჯვენას, მერე დანას საკურთხეველის უკან ავდებს, იხრება და ქრისტეს მკერდზე უსვამს სისხლს.) მოდი თყველანი! (შემოდის ყველა.) ქრისტეს სისხლი სდის. (ხმაური, გეცი ხელებს სწევს.) ხედავთ ჩემზე რა წყალობა მოილო, ნება დამართო, სტიგმატები მეტარებინა. ქრისტეს სისხლია, ჩემო ძმებო, ქრისტეს სისხლი მოწვეთავს ჩემი ხელებიდან. (კიბზე ჩამოდის და კატერინას უახლოვდება.) ნულარაფრის გეშინია, ჩემო სიყვარულო. შენს შუბლს ვეხები, შენს თვალებს და შენს ბაგეებს ჩვენი იესოს სისხლით. (სისხლს სახეზე უსვამს.) კიდევ გაქვს ხილვები?

**კატერინა** — არა.

**გეცი** — მშვიდობით ალესრულე.

**კატერინა** — შენი სისხლია, გეცი, შენი სისხლია. ჩემი გულისათვის გაილე შენი სისხლი.

**გეცი** — ქრისტეს სისხლია, კატერინა.

**კატერინა** — შენი სისხლია...

*კვდება.*

**გეცი** — დაიჩოქეთ ყველამ. (ყველა იჩოქებს.) თქვენი მღვდლები ძაღლები არიან, მაგრამ ნუ შიშობთ, მე თქვენთან ვრჩები; სანამ ქრისტეს სისხლი მოწვეთავს ჩემი ხელებიდან, არავითარი უბედურება არ შეგეხებათ. შინ დაბრუნდით და გაიხარეთ! დღესასწაული დგება. დღეს ყველასთვის ღმერთის მეუფება იწყება. ჩვენ ავაშენებთ მზის ქალაქს.

*პაუზა. ხალხი ნელ-ნელა უხმოდ იშლება. ერთი ქალი გეცს გაუვლის, მის ხელს იღებს და სახეს სისხლით ისველებს. ჰილდა უახლოვდება, მაგრამ გეცი მას ვერ ხედავს.*

**ჰილდა** — ხალხს ავი არაფერი მოსწიო.

*გეცი არ პასუხობს. ჰილდა მიდის. გეცი შეტორტმანდება და ბოძს ეყრდნობა.*

**გეცი** — უკვე ჩემები არიან. როგორც იქნა!

მესამე მოქმედება

## სურათი მეშვიდე

მოედანი ალტვაიერში

## სცენა პირველი

გლეხები შემოკრებილან ერთი გლეხი ქალის გარშემო, რომელიც მათი მასწავლებელია. მოგვიანებით შემოდიან კარლი და ახალგაზრდა ქალი.

მასწავლებელი — (ქალს სათნო იერი აქვს. ხელში ჯობი უჭირავს, ჯობით უჩვენებს მიწაზე მოხაზულ ასოებს.) ეს რა ასოა?

გლეხი — ეს არის „ა“.

მასწავლებელი — ესა?

მეორე გლეხი — ეს არის „ვ“.

მასწავლებელი — ეს ასოები?

გლეხი — „ყვი“.

მასწავლებელი — არა.

სხვა გლეხი — „ყვა“.

მასწავლებელი — მთელი სიტყვა?

გლეხი — სიყვარული.

ყველა გლეხი — (ერთად.) სიყვარული, სიყვარული...

მასწავლებელი — გაბედულად, ჩემო ძმებო, მალე კითხვასაც ისწავლით, სიკეთეს ბოროტებისაგან განასხვავებთ და სიმართლეს ტყუილისაგან... ახლა შენ მიპასუხე, ჰო შენ, როგორი იყო თქვენი თავდაპირველი ბუნება?

გლეხი ქალი — (პასუხობს, თითქოს კათეხიმოს კითხულობდეს.) ჩვენი თავდაპირველი ბუნება ის ბუნება იყო, სანამ გეცს გავიცნობდით.

მასწავლებელი — მერედა როგორი იყო იგი?

გლეხი — (იმავე ტონით.) ცუდი.

მასწავლებელი — როგორ უნდა ვძლიოთ ჩვენს თავდაპირველ



ბუნებას?

**გლეხი** — მეორე უნდა შევქმნათ.

**მასწავლებელი** — როგორ უნდა შევქმნათ ჩვენში მეორე ბუნება?

**გლეხის ქალი** — სხეულს უნდა ვასწავლოთ სიყვარულის გამოხატვა.

**მასწავლებელი** — სიყვარულის გამოხატვა სიყვარულია? არა, სიყვარულის გამოხატვა არ არის... (შემოდის ჰილდა, გლეხები მასზე ანიშნებენ). რა ხდება? (მოტრიალდება.) ა, ჰილდა! (პაუზა.) ჩემო დაო, ხელს გვიშლი.

**ჰილდა** — რატომ გიშლით ხელს, აკი ხმას არ ვიღებ.

**მასწავლებელი** — ხმას არ იღებ, მაგრამ გვიყურებ და ვიცით, რომ არ გვეთანხმები.

**ჰილდა** — ხომ შემიძლია ვიფიქრო ის, რაც მინდა.

**მასწავლებელი** — არა, ჰილდა, აქ ყველა ხმამაღლა და დაუფარავად ფიქრობს. თითოეულის ფიქრი ყველას ეკუთვნის. შემოგვიერთდები?

**ჰილდა** — არა.

**მასწავლებელი** — მაშ, არ გიყვარვართ?

**ჰილდა** — როგორ არა, მაგრამ ჩემებურად.

**მასწავლებელი** — ჩვენი ბედნიერება არ გახარებს?

**ჰილდა** — მე... ოჰ, ჩემო ძმებო, რამოდენა ტანჯვა-წვალება გაქვთ გადატანილი; თქვენ თუ ბედნიერები ხართ, მეც უნდა ბედნიერი ვიყო.

*შემოდის თვალგაბნეული კარლი, იგი ახალგაზრდა ქალს მოჰყავს.*

**მასწავლებელი** — ვინა ხართ?

**ახალგაზრდა ქალი** — მზის ქალაქს ვეძებთ.

**გლეხი** — მზის ქალაქში ბრძანდებით.

**ახალგაზრდა ქალი** — (კარლს მიმართავს.) ასეც ვფიქრობდი. რა საწყენია, რომ ამათ ბედნიერ სახეებს ვერ ხედავ. როგორ გაიხარებდი.

*გლეხები მათ გარშემო შემოიკრიბებიან.*

**გლეხები** — საცოდავებო! გზიათ? გწყურიათ? დასხედით, რაღას უცდით!

**კარლი** — (ჯდება.) ოჰ! რა კეთილები ხართ.

**გლეხი** — აქ, ყველა კეთილია. ყველა ბედნიერია.

**მეორე გლეხი** — ასეთ შფოთიან დროში ადამიანები აღარ

მოგზაურობენ. ჩვენც ძალაუნებურად ერთმანეთის სიყვარულით ვიფარვლებით. ამიტომ არის, შენი მოსვლა რომ ასე გაგვიხარდა.

**გლეხი ქალი** — რა სჯობია, როცა შეგიძლია უცხოის მაღლი მიაგო. რა საქმეზე მოსულხართ?

**ახალგაზრდა ქალი** — ჩვენ გვინდა ის კაცი ვნახოთ, ხელებიდან სისხლი რომ სდის.

**კარლი** — მართალია, სასწაულებს ახდენსო?

**გლეხის ქალი** — სასწაულს სასწაულზე ახდენს.

**კარლი** — მართალია, ხელებიდან სისხლი სდისო?

**გლეხი** — დღე ისე არ გავა, რომ სისხლი არ დასდინდეს.

**კარლი** — ნეტავი თავის სისხლიან ხელებს მეც შემახებდეს, მხედველობა დამიბრუნდებოდა.

**გლეხის ქალი** — აა, სწორედაც სამისო საქმეა. უეჭველად მოგარჩენს.

**კარლი** — რა ბედი გქონიათ, რომ ასეთი კაცი გამოგიჩნდათ. ცუდს აღარაფერს სჩადიხართ?

**გლეხი** — არავინ აღარ სვამს, არავინ აღარ იპარავს.

**მეორე გლეხი** — ქმარი ცოლს აღარ სცემს.

**გლეხი** — არც მშობლები ბავშვებს.

**კარლი** — (სკამზე ჯდება.) ღმერთმა ქნას, სულ ასე იყოს!

**გლეხი** — ასე იქნება, სანამ ღმერთი ინებებს.

**კარლი** — ვნახოთ.

*ობრავს.*

**მასწავლებელი** — რატომ ოხრავ?

**კარლი** — ჩემმა გამყოლმა ყველგან შეიარაღებული ხალხი ნახა. გლეხები და დიდებულები მალე ერთმანეთს შეებმებიან.

**მასწავლებელი** — ჰაიდენშტამის მხარეში?

**კარლი** — არა, მის ახლომახლო.

**მასწავლებელი** — ეგ ჩვენ არ გვეხება. ჩვენ არავისი ცუდი არ გვინდა. ჩვენი მიზანია, ყველგან სიყვარული სუფევდეს.

**კარლი** — ყოჩაღ! მაშ, დახოცონ ერთმანეთი. სიძულვილი, უღუტა, სხვების სისხლი თქვენი ბედნიერების საწინდარია?

**გლეხი** — რას ამბობ? შენ ხომ არ გაგიჟდი?

**კარლი** — მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ყველგან ლაპარაკობენ.

**მასწავლებელი** — მაინც რას ლაპარაკობენ?

**კარლი** — იმას, რომ თქვენმა ბედნიერებამ მათი ცხოვრება სულ გაუსაძლისი გახადა. სასონარკვეთილებამ ისინი უკიდურეს გადანყვეტილებამდე მიიყვანა. (პაუზა.) მაგრამ თქვენ მართლები



ხართ, ეგ რომ არ განუხებთ. რამდენიმე წვეთი სისხლი თუ მოეპურება თქვენს ბედნიერებას, დიდი საქმე! რა ისეთი საზღაურია!

**მასწავლებელი** — ჩვენი ბედნიერება წმინდაა, ასე გვითხრა გეცმა. ჩვენ ბედნიერები ვართ, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველას მაგივრადაც. ყველას ვუმტკიცებთ, რომ ბედნიერება შესაძლებელია. ეს სოფელი წმინდა ტაძარია და ყველა გლახმა თვალები ჩვენ უნდა მოგვაპყროს, როგორც ქრისტიანებს აქვთ მიპყრობილი წმინდა მინისაკენ.

**კარლი** — როცა ჩემს სოფელში დავბრუნდები, ყველას ვუამბობ ამ სასიხარულო ამბავს. ბევრი ოჯახი შიმშილით კვდება. ისინი დიდად ნასიამოვნები დარჩებიან, რომ მათ მაგივრადაც ბედნიერები ხართ. (გლახები დაბნეულები ჩანან.) რას იზამთ, ხალხო, ომი რომ დაიწყოს?

**გლახის ქალი** — ვილოცვებთ.

**კარლი** — შიში მაქვს, ვაითუ თქვენც მოგინოთ მაგ ომში ჩაბმა.

**მასწავლებელი** — არა, ეს არ მოხდება.

**ყველა გლახი** — (ერთად.) არა! არა! არა!

**კარლი** — მონები თუ აღდგებიან, რომ ადამიანებად იქცნენ, განა ეს წმინდა ომი არ არის?

**მასწავლებელი** — ომი ღვთის საძრახისი საქმეა, ჩვენ სიყვარულის დარაჯებად და მშვიდობისათვის წამებულებად დავრჩებით.

**კარლი** — ბატონები ძალადობენ, ყველაფერს აპარტახებენ, ძმებს თვალწინ, კარზე გიხოცავენ და თქვენ მათი სიძულვილი სულ არა გაქვთ?

**გლახი ქალი** — გვეცოდებიან, რომ ასეთი ბოროტები არიან.

**ყველა გლახი** — გვეცოდებიან.

**კარლი** — თუ მდიდრები ბოროტები არიან, განა სამართლიანი არ იქნება, ვინც მათი მსხვერპლია, აჯანყდეს?

**მასწავლებელი** — ძალმომრეობა უსამართლობაა, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს.

**კარლი** — თუ თქვენი ძმების ძალმომრეობას გმობთ, გამოდის, ბარონების ძალმომრეობას ამართლებთ.

**მასწავლებელი** — არავითარ შემთხვევაში.

**კარლი** — მაგრამ ასე გამოდის, რადგან არ გსურთ, ძალმომრეობა შეწყდეს.

**მასწავლებელი** — ჩვენ გვინდა, რომ ძალმომრეობა თვით ბარონების კეთილი ნებით შეწყდეს.

**კარლი** — ვინ შთააგონებს მათ ამ კეთილ ნებას?

**მასწავლებელი** — ჩვენ!

**ყველა გლახი** — ჩვენ!

**კარლი** — იქამდე რა ქნან გლახებმა?

**მასწავლებელი** — გაუძლონ, მოიცადონ და ილოცონ.

**კარლი** — მოლაღატებო, აი ნილაბიც აგეხადათ: თქვენ მხოლოდ საკუთარი თავი გიყვართ, მაგრამ ფრთხილად იყავით; ომი თუ ატყდა, თქვენც მოგკითხავენ და განზე დგომის ნებას არ მოგცემენ, როცა თქვენს ძმებს თავებს აჭრიან. თუ გლახები გაიმარჯვებენ, გეშინოდეთ, ღალატისათვის არ დაგსაჯონ და მზის ქალაქი არ გადაგიბუგონ. ხოლო თუ სენიორები გაიმარჯვებენ კეთილშობილთა მიწებს მონების ხელში არ დატოვებენ. იარალი აისხით, ბიჭებო, იარალი! თუ ძმობისათვის არ იბრძობებთ, თქვენი სარგებლისათვის მაინც იბრძოლეთ! ბედნიერებას დაცვა უნდა.

**გლახი** — ჩვენ ბრძოლას არ ვაპირებთ.

**კარლი** — მაშინ გადაგთუღავენ.

**მასწავლებელი** — ვეამბორობით ჩვენს დასარტყმელად აღმართულ ხელს, ვილოცვებთ მათთვის, ვინც ჩვენს მოკვლას განიზრახავს; სანამ ცოცხლები ვართ, ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, სული წავგანწყმედიონ, მაგრამ როცა დავიხოცებით, თქვენს სულელებში ჩავსახლდებით და თქვენს ყურთა სმენას ჩვენი ხმები ჩაესმება.

**კარლი** — დასწყევლოს ღმერთმა, კარგად შეგისწავლიათ თქვენი ვაკვეთილი, მაგრამ დამნაშავე თქვენ კი არა ხართ, თქვენი ცრუნინასწარმეტყველია, რომელმაც ეს ყალბი სათნოება ჩაგინერგათ.

**გლახები** — გეცი გავვილანძლა.

*კარლისაკენ მიიწევენ.*

**ახალგაზრდა ქალი** — სიყვარულისთვის ვცხოვრობთო, გაიძახით, და ბრმის საცემად მიიწევთ?

**გლახი** — (სახვევს აგლეჯს კარლს.) კარგი ბრმაა: ეს ხომ კარლია, სასახლის ლაქია, აი, უკვე რამდენიმე კვირაა, დაეხეტება და ჯანყსა და არეულობას თესავს.

**გლახები** — ჩამოვახრჩოთ.

**პილდა** — რაო, უმანკო ცხვრებო, თქვენც შეგძლებიათ განრისხება? კარლი ძალღია, რადგან ომისაკენ მოგინოდებთ, მაგრამ ის სიმართლეს ამბობს და ნებას არ მოგცემთ, სიმართლის მთქმელს ურტყათ, ვინც უნდა იყოს იგი. მართალს გეუბნებათ, ჩემო ძმებო, ეს თქვენი მზის ქალაქი სხვების უბედურებაზეა აშენებული. ბარონები მას მანამ აიტანენ, ვიდრე მათი გლახები მონები არიან.



არა, ჩემო ძმებო, მე თქვენ სულაც არ გაყვედრით მაგ თქვენს ბედნიერებას, მაგრამ მაშინ უკეთ ვგრძნობდი თავს, როცა ერთად ვიყავით უბედურნი. უბედურება ხომ ყველა ადამიანის ხვედრია. ამ სისხლით მორწყულ მიწაზე ყოველგვარი სიხარული უმსგავსობაა. ბედნიერი ადამიანები ყოველთვის მარტონი არიან.

**გლეხი** — ნადი აქედან, შენ მხოლოდ სილატაკე ვიყვარს, გეცს კი შენება სწადია.

**ჰილდა** — თქვენი გეცი მატყუარაა და სხვა არაფერი. (ხმაურია.) აბა, რას უცდით, მცემეთ, ჩამომახრჩეთ!

*შემოდის გეცი.*

## სცენა მეორე

*იზიკენი, გეცი.*

**გეცი** — რა მოღუშული სახეები გაქვთ?

**გლეხი** — გეც, ეს...

**გეცი** — გაჩუმდი! ალარ მინდა წარბეჭერული ადამიანების ყურება. ჯერ გაიღიმეთ და მერე ილაპარაკეთ. აბა, გაიღიმე.

*გლეხები იღიმებიან.*

**გლეხი** — (იღიმება.) აგერ კაცი მოვიდა და აჯანყებისაკენ მოგვინოდებს.

**გეცი** — მით უკეთესი, ეს გამოცდაა. უნდა შეგვეძლოს სიძულვილის სიტყვების მოსმენა.

**გლეხის ქალი** — (მომლიმარე.) შენ შეურაცხოვა მოგაყენა და ცრუნინასწარმეტყველი გინოდა.

**გეცი** — ჩემო კეთილო, კარლ, ასე გეჯავრები?

**კარლი** — მართალი რომ ვითხრა, საკმაოდ.

**გეცი** — ეტყობა, ჩემი ბრალია, ვერ შევძელი თავი შემეყვარებინა. მაპატიე. ქალაქის გასასვლელამდე მიაცილეთ, საქმელი მიეცით და მშვიდობის ამბორით გაისტუმრეთ.

**კარლი** — ყოველივე ხოცვა-ჟლეტით დამთავრდება. ამ ხალხის სისხლი შენს სინდისზე იქნება.

**გეცი** — დაე, ეგრე იყოს.

*გადიან.*

## სცენა მესამე

*იზიკენი, გარდა კარლისა და ახალგაზრდა ქალისა.*

**გეცი** — ვილოცოთ მათთვის.

**მასწავლებელი** — გეც, რალაცა გვანუხებს და უნდა ვითხრათ.

**გეცი** — თქვი.

**მასწავლებელი** — ჰილდას ეხება. ჩვენ ის ძალიან გვიყვარს, მაგრამ ხელს გვიშლის. შენ არ გეთანხმება.

**გეცი** — ვიცი.

**ჰილდა** — რაში გენალვლება ჩემი აზრი, მე მაინც მივდივარ.

**გეცი** — (გაოგნებული.) მიდიხარ?

**ჰილდა** — დიახ, ახლავე მივდივარ.

**გეცი** — რატომ?

**ჰილდა** — იმიტომ რომ ისინი ბედნიერები არიან.

**გეცი** — მერედა...

**ჰილდა** — ბედნიერ ადამიანებს არ ვჭირდები.

**გეცი** — შენ მათ უყვარხარ.

**ჰილდა** — ვიცი, ვიცი, მაგრამ სულ მალე ველარც იგრძნობენ უჩემობას.

**გეცი** — შენ მათ ჯერ კიდევ სჭირდები.

**ჰილდა** — ასე გგონია? (გლეხებს მიუბრუნდება.) განა კიდევ გჭირდებით? (დაბნეული გლეხები ხმას არ იღებენ.) ხომ ხედავ, არაფრად ვჭირდები, რაკი მათ შენ ჰყავხარ! მშვიდობით!

**გეცი** — ასე უსიტყვოდ უშვებთ? უმადურებო! უბედურების უამს სასონარკვეთილებისაგან ვინ გისხნათ? დარჩი, ჰილდა, მათი სახელით გთხოვ. თქვენ კი გიბრძანებთ, დაუბრუნოთ მას თქვენი სიყვარული.

**ჰილდა** — (უეცრად აღელვებით.) შენთვის შეინახე: შენ ქისა მომპარე და ჩემივე ფულით მონყალვებას ვერ მომცემ.

**მასწავლებელი** — დარჩი ჰილდა, რაკი მას უნდა. გეფიცები, ისევ ისე გვეყვარები, რაკი ეს წმინდა ადამიანი გვიბრძანებს.

**ჰილდა** — დამანებეთ თავი, არა, არა, თქვენ მე გულით, თქვე-



ნივე გულის კარნახით გიყვარდით. ახლა ეს სიყვარული ამოიწურა! აღარ ღირს ამზე ლაპარაკი. დამივინყეთ. რაც უფრო ჩქარა დამივინყებთ, მით უკეთესი.

**გეცი** — (გლუბებს.) მარტო დაგვტოვეთ.  
გლუბები ვადიან.

## ს ც ე ნ ა მ ი ო თ ხ ი

### გეცი, ჰილდა.

**გეცი** — სად წახვალ?

**ჰილდა** — სულერთია, ყველგან სილატაკეა.

**გეცი** — ისევ სილატაკე, ისევ უბედურება! ნუთუ სხვა არაფერი არსებობს ამქვეყნად?

**ჰილდა** — ჩემთვის სხვა არაფერი. ეს არის ჩემი ცხოვრება.

**გეცი** — ნუთუ სულ მაგათი ტანჯვით უნდა ეწამო? მათი ბედნიერებით გაიხარე, რა იქნება!

**ჰილდა** — (მზურვალედ.) ვერა, მე მაგას ვერ შეეძლებ. ბედნიერება მშვენიერია! ისინი ციკნებივით კიკინებენ (სასონარკვეთით.) ო, გეცი, მას მერე, რაც ჩვენს შორის ხარ, საკუთარი სულის მტრად ვიქეცი. ვუსმენ და მისი სიტყვებისა მრცხვენია. არა, ამ ხალხს აღარ შია, არც სამუშაო აქვს მძიმე. თუ ასე უხარიათ ცხვარული ბედნიერება, მეც მათთან ერთად უნდა მიხაროდეს. მე კი არ შემოძლია. ვერ გავიზიარე ეს ბედნიერება, ეტყობა ურჩხული ვარ. მას შემდეგ, რაც ნაკლებად იტანჯებთან, ძველებურად აღარ მიყვარს ეს ხალხი, არადა, თვითონ ტანჯვა მძაგს. (პაუზა.) იქნებ ბოროტი ვარ?

**გეცი** — შენ? არა, შენ ეჭვიანი ხარ.

**ჰილდა** — ეჭვიანი. დიას, ეჭვი მახრჩობს. (პაუზა.) იცი, დიდი ხანია, წასვლა მინდა. შენ წამბილნე. სადაც უნდა იყო და რაც უნდა წამოიწყო, ადამიანთა გულებში ყოველთვის ბოროტებას აღვივებ. მშვიდობით.

**გეცი** — მშვიდობით. (ჰილდა არ მიდის.) რას უცდი? (ჰილდა წასვლას აპირებს.) ჰილდა, არ დამტოვო, ძალიან გთხოვ. (ჰილდა იცინის.) რა დაგემართა?

**ჰილდა** — (წყნარად.) ყველაფერი წამართვი და ახლა მთხოვ, არ მიმატოვო?

**გეცი** — რაც უფრო ვუყვარვარ ამ ხალხს, მით უფრო მარტო ვარ. სახურავივით გადავფარე, თავად კი უსახურავოდ დავრჩი. არა, რალაცა კი მხურავს, მაგრამ ნახე, რა შორსაა. მინდოდა სვეტად გადავქცულიყავი და ცის თალს შევდგომოდი. მაგრამ ცა... ერთი დიდი სვრელი ყოფილა. ნეტავ ვიცოდე, სად ბინადრობს ღმერთი? (პაუზა.) ეტყობა საკმარისად არ მიყვარს ეს ხალხი. ყველაფერი ამის ბრალია. სიყვარულის გარეგნულად გამოხატვა ვისწავლე, მაგრამ წამდვილი სიყვარული არ მოვიდა. ალბათ სიყვარულის ნიჭი არა მაქვს. ასე რატომ მიყურებ?

**ჰილდა** — შენ საერთოდ არ შეგიძლია სიყვარული. რისთვის მომპარე ეგ ხალხი?

**გეცი** — ოჰ, მათი სიყვარული კი არ უნდა წამერთმია შენთვის, არამედ შენი სიყვარული მათ მიმართ! ისინი შენი გულით უნდა მყვარებოდნენ... იცი, შენი ეჭვიანობისაც კი მშურს. აქა ხარ, მათ უყურებ, ეხები, შენ სითბო და სინათლე ხარ, მე კიდევ შენ არა ვარ. აუტანელია! არ მესმის ორნი რად ვართ. შენად ვიქეცი და თან ამავე დროს ჩემადვე დავრჩე, ერთადერთი ეს არის, რაც მინდა.

შემოდის ნასტი.

## ს ც ე ნ ა მ ე ხ უ თ ი

### გეცი, ჰილდა, ნასტი.

**ნასტი** — (ყრუ ხმით.) გეცი, გეცი, გეცი!

**გეცი** — (მისკენ მიტრიალდება.) ვინ არის?... ნასტი!

**ნასტი** — ადამიანები დაყრუვდნენ.

**გეცი** — დაყრუვდნენ? შენი ხმა აღარ ესმით? ეს რალაც ახალია.

**ნასტი** — ჰო, ახალია.

**გეცი** — ღმერთი გამოცდას გინყობს, როგორც სხვებს.



ვნახოთ, როგორ გამოძვრები.

**ნასტი** — რამდენიც უნდა, იმდენი გამომცადოს. ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი არც მასში და არც ჩემს დანიშნულებაში. ხოლო თუ მას ჩემი ეეჭვება, გიჟი ყოფილა.

**გეცი** — თქვი ბარემ, რა მოხდა.

**ნასტი** — (ჰილდაზე მიუთითებს.) ეგ გაუშვი.

**გეცი** — ეგ - მე ვარ. ან ილაპარაკე, ან წადი.

**ნასტი** — კარგი. (ჰაუზა.) აჯანყება დაიწყო.

**გეცი** — რა აჯანყება? (უხეშად.) მე არაფერ შუაში ვარ, ჩემი ბრალი არ არის. ისემც უქნიათ, სულ გაუნყვეტიათ ერთმანეთი. მე ნუ გამრევნ.

**ნასტი** — აქამდე თავს მხოლოდ ეკლესიის შიშით იკავებდნენ. შენ კი დაუმტკიცე, რომ მღვდლები არ სჭირდებათ. ამიტომაც უამრავი წინასწარმეტყველი გამოჩნდა. მაგრამ ისინი მრისხანების წინასწარმეტყველები არიან და ხალხს შურისძიებისაკენ მოუწოდებენ.

**გეცი** — და ეს ყველაფერი მე ჩავიდინე?

**ნასტი** — დიას.

**გეცი** — აჰა, ესეც შენ!

არტყამს.

**ნასტი** — დამარტყი, კიდეც დამარტყი!

**გეცი** — (შემობრუნდება.) რა ტკბილი იყო ბოროტება: კაცის მოკვლა შემძლო. (დადის. ჰაუზა.) კარგი, ჩემგან რა გინდა?

**ნასტი** — უარესისაგან გადაგვარჩინე.

**გეცი** — მე? (მწარედ იცინის.) მე ხომ უბედურების მომტანი ვარ. სულელო, როგორ ბედავ და მომმართავ, გადამარჩინეო?

**ნასტი** — სხვა არაფერი დამრჩენია. იარაღი ჩვენ არა გვაქვს, არც ფული, არც სამხედრო საქმის მცოდნენი არა გვეყვანან. ჩვენი გლეხები უდისციპლინოები არიან, ბრძოლაც არ იციან. რამდენიმე დღეში დაგვამარცხებენ, რამდენიმე თვეში კი ამოგვყულტენ.

**გეცი** — მერე რა გინდა?

**ნასტი** — ერთადერთი შესაძლებლობა არსებობს. დღეს აჯანყებას ვეღარ შევაჩერებ. სამ თვეში კი იქნებ მომეხერხებინა. ერთ ბრძოლას მაინც თუ მოვიგებთ, მხოლოდ ერთს, ბარონები დაზავებას შემოგვთავაზებენ.

**გეცი** — მერედა, მე რა ვქნა?

**ნასტი** — შენ გერმანიის საუკეთესო მხედართმთავარი ხარ.

**გეცი** — (ნასტის უყურებს, შემდეგ მოტრიალდება.) აა, (ჰაუზა.) მუდამ ასეა, უშველე! საქმე გამოუსწორე! მხოლოდ დროს მაკარ-

გვინებთ ყველანი, ვინცა ხართ! ღმერთო ჩემო, ვითომ ჩემი საქმე მაკლდეს.

**ნასტი** — ოლონდ შენი სათამაშო ქალაქი, შენი სანიმუშო ქალაქი ააშენო.

**გეცი** — ეს სოფელი კიდობანია, აქ სიყვარულს თავშესაფარი მიეუჩინე. თუკი სიყვარულს გადავარჩენ, წარღვნა რალაში მეკითხება?

**ნასტი** — გაგიჟდი? ომს ვერსად წაუხვალ, აქაც მოგაკითხავს. (გეცი დუმს.) რას იზამ, თანახმა ხარ?

**გეცი** — ნუ ჩქარობ. (ნასტის მიუახლოვდება.) დისციპლინა არ არსებობს, იგი მე უნდა დავამყარო. იცი, ეს რას ნიშნავს? სახრჩობელას.

**ნასტი** — ვიცი.

**გეცი** — ნასტი, მაგალითის მისაცემად ლატაკების ჩამოხრჩობა მოგვიწევს. ისე, ალაღბედზე. ვინც მოგვხვდება, დამნაშავე იქნება თუ უდანაშაულო. რას მივედ-მოვედები, ისინი ხომ ყველანი უდანაშაულონი არიან. დღეს მათი ძმა ვარ და მათ უდანაშაულობას ვხედავ. ხვალ მათი მხედართმთავარი ვიქნები, მათში მხოლოდ დამნაშავეებს დავინახავ და განუსჯელად უნდა ჩამოვხრჩო.

**ნასტი** — დაე! როგორც საჭიროდ ჩათვლი.

**გეცი** — ყასბად უნდა ვიქცე? თქვენ არც იარაღი გაქვთ, არც ცოდნა. ერთადერთი თქვენი ხსნა ის არის, რომ ძალიან ბევრნი ხართ. უამრავი დაილუპება. ომი საზარელი რამაა.

**ნასტი** — 20000 ადამიანს იმსხვერპლებ, სამაგიეროდ 100000 გადაარჩენ.

**გეცი** — დარწმუნებული რომ ვიყო! ნასტი, დამიჯერე. ვიცი, რა არის ომი: ბრძოლას თუ წამოვიწყებთ, 100 შანსი იქნება ერთის წინააღმდეგ, რომ წავაგებთ.

**ნასტი** — ეგ ერთიც უნდა გამოვიყენოთ. შევუტითო. როგორიც არ უნდა იყოს ღვთის განგება, ჩვენ მისი რჩეულნი ვართ: მე მისი წინასწარმეტყველი, შენ მისი ყასაბი. უკანდახევის დრო აღარა გვაქვს.

ჰაუზა.

**გეცი** — ჰილდა!

**ჰილდა** — რა გინდა?

**გეცი** — დამეხმარე. ჩემს ადგილას რას იზამდი?

**ჰილდა** — არასოდეს ვიქნები შენს ადგილას და არც მინდა ვიყო. თქვენ ხალხის წინამძღოლები ხართ, მე კი ერთი უბრალო ქალი ვარ, აბა, რა უნდა გირჩიო.



**გეცი** — მხოლოდ შენ გენდობი.

**ჰილდა** — მე?

**გეცი** — ჩემს თავზე მეტად გენდობი.

**ჰილდა** — რად გინდა, შენს დანაშაულებათა თანამზრახველი გამხადო? რატომ მაიძულებ, შენს მაგივრად გადავწყვიტო? ჩემი ძმების სიკვდილ-სიცოცხლე მე რატომ უნდა გადმომაბარო?

**გეცი** — იმიტომ, რომ მიყვარხარ.

**ჰილდა** — გაჩუმდი. (პაუზა.) ჰო, შენ მოიგე. მაიძულე ბარიერის მეორე მხარეს გადასულიყავი. იმათთან ერთად ვიყავი, ვინც იტანჯება, ამიერიდან კი იმათთან ვარ, ვისი ხელითაც იტანჯებიან. ო, გეც, მგონი ძილი აღარასოდეს მომეკარება. (პაუზა.) სისხლს ნუ დაღვრი, უარი თქვი.

**გეცი** — გადანყვეტილებას ერთად ვიღებთ?

**ჰილდა** — კი, ერთად.

**გეცი** — პასუხსაც ერთად ვაგებთ?

**ჰილდა** — ერთად, რაც უნდა მოხდეს.

**ნასტი** — (ჰილდას.) ჩვენს საქმეში რატომ ერევი?

**ჰილდა** — მე ღატაკების სახელით ვლაპარაკობ.

**ნასტი** — ჩემს გარდა, არავისა აქვს უფლება, მათი სახელით ილაპარაკოს.

**ჰილდა** — რატომ?

**ნასტი** — იმიტომ, რომ ერთ-ერთი იმათაგანი ვარ.

**ჰილდა** — შენ, ღატაკი? უკვე დიდიხანია, რაც ღატაკი აღარა ხარ, შენ წინამძღოლი ხარ.

*გეცი ფიქრებშია წასული და არ უსმენს. უცებ თავს მაღლა სწევს.*

**გეცი** — სიმართლე რომ ვუთხრათ!

**ნასტი** — რა სიმართლე?

**გეცი** — რომ ბრძოლა არ იციან და თუ ომს დაიწყებენ, დამარცხდებიან.

**ნასტი** — ვინც ამას ეტყვის, მოკლავენ.

**გეცი** — მე რომ ვუთხრა?

**ნასტი** — შენ?

**გეცი** — მენდობიან, რადგან წინასწარმეტყველი ვარ და ჩემი სიმდიდრე მათ დაფურიგე. ნდობას კი რისკი უხდება.

**ნასტი** — ათასიდან ერთი შანსია.

**გეცი** — ათასიდან ერთი. კარგი! უფლება გაქვს, ხელიდან გაუშვა ეს ერთი?

**ნასტი** — არა, არა მაქვს, ნავიდეთ.

**ჰილდა** — არ ნახვიდე.

**გეცი** — (მხრებზე ხელს ჰკიდებს.) ნუ გეშინია, ამჯერად ღმერთი ჩვენს მხარეზეა. (ხმამაღლა იძახის.) მოდიო, ყველანი. (შემოდის გლეხები.) ყველგან ბრძოლებია. ხვალ მთელი გერმანია ცეცხლის ალში გაეხვევა. მე აღამიანებთან მივდივარ, რომ მშვიდობა გადავარჩინო.

**ყველა გლეხი** — ვაი, გეც, არ მიგვატოვო, რა გვეშველება უშენოდ?

**გეცი** — დავბრუნდები, ჩემო ძმებო. აქ არის ჩემი ღმერთი, ჩემი ბედნიერება, ჩემი სიყვარული. დავბრუნდები. აი ჰილდა. თქვენ თავს მას ვაბარებ. თუ ჩემი არყოფნისას რომელიმე მხარე თქვენს ჩათრევას მოინდომებს ომში, უარი უთხარიო. თუ დაგემუქრებიან, მუქარას სიყვარულით უპასუხეთ. გახსოვდეთ, ჩემო ძმებო, გახსოვდეთ: სიყვარული ომს უკან დაახევინებს.

## სცენა მეექვსე

*იზიკენი, გარდა გეცისა და ნასტისა.*

**გლეხები** — რომ არ დაბრუნდეს? (პაუზა.)

**ჰილდა** — ვილოცოთ (პაუზა.) ვილოცოთ, რომ სიყვარულმა ომს უკან დაახევინოს.

**გლეხები** — (მუხლებზე დგებიან.) ღმერთო, სიყვარულმა ომს უკან დაახევინოს.

**ჰილდა** — დაე, ჩემმა სიყვარულმა ომს უკან დაახევინოს. დაე, იქმნას ასე!

*სცენა ბნელდება და ჰილდას სიტყვების შემდეგ, მაშინვე მე-8 სურათის რეპლიკები გაისმის.*



## VIII და IX სურათები

გლეხების ბანაკი. სიბნელეში ხმაური და ყვირილი ისმის.

## სცენა პირველი

გეცი, ნასტი, კარლი, გლეხები.

ხმები — უუუუ...

გეცი — (ხმაურს ფარავს.) თქვენ ყველანი დაიხოცებით.

ხმები — სიკვდილი, სიკვდილი მაგას. (სცენა ნათდება. პატარა მდელოები ტყეში. ღამეა. გლეხები ჯოხებით და ფინლებით არიან შეიარაღებულნი. ზოგიერთს ხანჯალი უჭირავს, ზოგს ჩირაღდანია. გეცი და ნასტი კლდის შვერილზე დგანან ბრბოს თავზე.) უუუუ.

გეცი — სანყალო ხალხო, ერთი ბენო ვაუკაცობაც არა გყოფნით, რომ სიმართლეს თვალეში შეხედოთ.

ხმა — სიმართლე ისაა, რომ მოღალატე ხარ.

გეცი — სიმართლე, ჩემო ძმებო, თვალში საცემი სიმართლე ის არის, რომ თქვენ ბრძოლა არ იცით

ჰერკულესივით დიდი გლეხი წინ მიიწევს.

მხარბეჭიანი გლეხი — რაო, მე არ ვიცი ბრძოლა? (ბრბოში სიცილია.) ჰეი, ბიჭებო, თურმე ბრძოლა არ მცოდნია. ხარს რქებით ვიჭერ, კისერს ვუგრეხ, ბრძოლა კი არ მცოდნია.

გეცი მინაზე ჩამოხტება და მას უახლოვდება.

გეცი — კაცი რომ შემოგხედავს, ძმაო, ჩემზე სამჯერ უფრო მაგარი ხარ, არა?

მხარბეჭიანი გლეხი — მე, ძამიკო?

გეცს უბიძგებს და ხუთ ნაბიჯზე გადაისვრის.

გეცი — მშვენიერია. (ერთ-ერთ გლეხს მიმართავს.) ეგ ჯოხი მომანოდე. (ჰერკულესს.) შენ კი ეს აიღე! მოემზადე. დამარტყი, დამჭერი, გამიყარე. (დარტყმებს იცილებს.) ხედავ, ხედავ, ხომ ხედავ! რაში გამოგადგა შენი ძალა? მხოლოდ ჰაერს არხევ და ქარს აშინებ. (იბრძვიან.) ახლა კი, ჩემო ძმაო, უნდა მაპატიო: ოდნავ შეგეხები. საქმეს გამოადგება. (არტყამს.) ღმერთო, შემინდე! (გლეხი ეცემა.) დარწმუნდით? ეგ ყველაზე ძლიერი იყო, მე კი ყველაზე მარჯვე არ გახლავართ. (პაუზა. გაკვირვებული გლეხები ერთხანს ჩუმად არიან. გეცი ერთი წამით კმაყოფილია, მერე აგრძელებს.)

გინდათ ვითხრათ, რატომ არ გეშინიათ სიკვდილისა? თითოეული თქვენთაგანი ფიქრობს, ჩემი მეზობელი მოკვდებაო. (პაუზა.) მიემართავ ღმერთს და ვეუბნები: „უფალო, თუ გინდა ამ ხალხს დაეხმარო, მანიშნე, რომელი მათგანი დაიღუპება ომში. (სახეზე უცებ შიში ეხატება.) ოჰ, ოჰ, ოჰ. რას ვხედავ. ო, ჩემო ძმებო, რა მოგდით? საზარელი ხილვაა! აი, რას მიაღწიეთ.

ერთი გლეხი — (აღელვებული.) რა არის, რას ხედავს?

გეცი — ვხედავ, ღმერთის ხელით ხორციისაგან როგორ განიძარცვეთ. თქვენს ძვლებსლა ვხედავ. ღვთისმშობელო! რამდენი ჩონჩხია!

ერთი გლეხი — ეგ რას ნიშნავს?

გეცი — ღმერთს ჯანყი არ უნდა და იმათზე მიმანიშნებს, ვინც დაიღუპება.

გლეხი — მაინც ვინ?

გეცი — ვინ? (საჩვენებელი თითი მისკენ აქვს მიშვერილი და საშინელი ხმით ამბობს.) - შენ! (პაუზა.) შენც, შენც, სიკვდილის რა საშინელი ფერხულია!

გლეხი — (თავზარდაცემული, მაგრამ მაინც ეჭვით.) ვინ დაგვიმტკიცებს, რომ წინასწარმეტყველი ხარ?

გეცი — ურწმუნო, თუ საბუთი გინდა, ამ სისხლს შეხედე. (მალა სწევს ხელებს. სიჩუმე. მიმართავს ნასტის.) მოვიგე.

ნასტი — (კბილებში გამოცრის.) ჯერ არა. (კარლი წინ მიიწევს.) ფრთხილად იყავი, ეგ ყველაზე სასტიკი და გაბოროტებულია.

კარლი — ო, ჩემო მიმნდობო ძმებო, როდისლა უნდა ისწავლოთ ტყუა! ისე დამშვიდდით და განაზღვით, რომ სიძულვილი გადაგაყინდათ. დღესაც კი საკმარისია, კაცი უფლის ხმით დაგელაპარაკოთ, რომ მაშინვე თავებს ხრით. რაო, რა დაინახეთ? ცოტაოდენი სისხლი მის ხელეზე. დიდი ამბავი! თუ სისხლი დაგარწმუნებთ, მეც შემომხედეთ.

ხელებს ჰაერში სწევს, ხელებიდან სისხლი მოსდის.

გეცი — შენ ვინა ხარ?

კარლი — შენსავით წინასწარმეტყველი.

გეცი — სიძულვილის წინასწარმეტყველი.

კარლი — რაც სიყვარულისაკენ მიმავალი ერთადერთი გზაა.

გეცი — გიცანი. კარლი ხარ, ჩემი ლაქია.

კარლი — მზად ვარ, გემსახურო.

გეცი — ლაქია-წინასწარმეტყველი, ეს ხომ მასხარაობაა.

კარლი — გენერალ-წინასწარმეტყველზე მეტად არა...

გეცი — (საფეხურებზე ჩამოდის.) მიჩვენე შენი ხელები. (ხელებს



მოატრიალებინებს.) დასწყევლოს ღმერთმა, ეს კაცი სახელოებში მალავს სისხლით გავსებულ ბუმბუტებს.

**კარლი** — ახლა შენი ხელები მაჩვენე. (გეცის ხელებს უყურებს.) ამ კაცმა ფრჩხილებით დაიფხაჭხა ძველი იარები, რომ რამდენიმე წვეთი ჩირქი გადმოედინა. აბა, ძმებო, დაფიქრდით და გადაწყვიტეთ, რომელი ჩვენგანია წინასწარმეტყველი?

**ხმები** — ხო...ხო...

**კარლი** — ამის გაკეთება შეგიძლია? (წვრილი ჯოხი ყვავილებად იქცევა.) ამის? (ქუდიდან კურდღელი ამოჰყავს.) ამის? (ბოლში ეხვევა.) გვიჩვენე, რისი გაკეთება შეგიძლია.

**გეცი** — ასეთი ოინბაზობა ბევრჯერ მინახავს მოედნებზე. მე ოინბაზი არა ვარ.

**გლეხი** — რასაც ოინბაზი აკეთებს, წინასწარმეტყველსაც უნდა შეეძლოს მისი გაკეთება.

**გეცი** — ჩემს ლაქიას ოინბაზობის შეჯიბრებაში ვერ გავყვები. ჩემო ძმებო, სანამ წინასწარმეტყველი გავხდებოდი, გენერალი ვიყავი. ახლა ომზე ვლაპარაკობთ: თუ წინასწარმეტყველისა არ გჯერათ, გენერალს ენდეთ.

**კარლი** — გენერალს მაშინ ენდეთ, როცა დაგვიმტკიცებს, რომ მოლაღატე არ არის.

**გეცი** — უმადურო! შენ და შენი ძმების სიყვარულით არა ვთქვი განა უარი ჩემს სიმდიდრეზე?

**კარლი** — ჩემი სიყვარულით?

**გეცი** — დიახ, შენი სიყვარულით, შენ კი გძულვარ.

**კარლი** — მაშ, ამბობ, რომ ვიყვარვარ?

**გეცი** — დიახ, ჩემო ძმაო, მიყვარხარ.

**კარლი** — (გამარჯვებულის იერით.) თავისი თავი გასცა, ჩემო ძმებო. გვატყუებს, შესხედეთ ჩემს სიფათს და მითხარით, განა ჩემი სიყვარული შეიძლება? ან თქვენნაირების სიყვარული გამოგია?

**გეცი** — სულელო. ეგენი რომ არ მყვარებოდა, ჩემს მიწებს დაეურიგებდი?

**კარლი** — მართლაც! დაურიგე? ძაღლის თავიც აქ მარხია. (უცებ.) ო, ყოვლისმცოდნე ღმერთო! გულთამხილავო! აი, ჩემი სხეული, აჰა, ჩემი ბაგეები: გვითხარი, რატომ მოგვცა ნაბიჭვარმა გეცმა თავისი მიწები?

*კარლი საშინელ ხმებს უშვებს.*

**გლეხები** — ღმერთი აქ არის! ღმერთი ილაპარაკებს.

*მუხლებზე დგებიან.*

**გეცი** — ღმერთო, ესლა გვაკლდა!

**კარლი** — (თვლებს ხუჭავს და უცნაური, არა თავისი ხმით ლაპარაკობს) მიწავ!

**გლეხები** — ოუ, ოუ!

**კარლი** — (ისევ.) ღმერთო, მე გხედავ; ადამიანებო, თქვენც გხედავთ!

**გლეხები** — შეგვიბრალე!

**კარლი** — (ისევ.) გეცი აქ არის?

**გლეხი** — დიახ, მამაო ჩვენო, შენს უკან, იქვე, ხელმარჯვნივ დგას.

**კარლი** — (ისევ.) გეც! გეც! რატომ მიეცი მათ მიწები? გვიპასუხე!

**გეცი** — ვისთან მაქვს პატივი ლაპარაკისა?

**კარლი** — (ისევ.) მე ვარ, რომელი ვარ.

**გეცი** — თუ შენ ისა ხარ, რომელიც ხარ, ყველაფერი უნდა იცოდე და ისიც უნდა იცოდე, რაც გავაკეთე, რატომ გავაკეთე.

**გლეხები** — (მუქარით.) ჰო, ჰო, უპასუხე, უპასუხე!

**გეცი** — თქვენ გიპასუხებთ, ჩემო ძმებო, თქვენ და არა მას. ჩემი მიწები გავეცი, რათა ყველა ადამიანი თანასწორი იყოს.

*კარლი იცინის.*

**გლეხები** — ღმერთი იცინის! ღმერთი იცინის! (ნასტი საფეხურებზე ჩამოდის და გეცის უკან დგება.)

**კარლი** — (ისევ.) შენ ცრუობ, გეც, შენ ღმერთს ატყუებ, თქვენ კი, შვილებო, მისმინეთ!

რაც უნდა მოიმოქმედოს სენიორმა, ის თქვენი სწორი არასოდეს იქნება.

ამიტომ მოვითხოვ, ყველა სენიორი ამოიჟლიტოს.

ამან მიწები დაგირიგათ.

თქვენ შეგეძლოთ მისთვის თქვენი მიწები მიგეცათ?

მას შეეძლო აერჩია: მოეცა ან თავისთვის დაეტოვებინა.

თქვენ კი განა უარის თქმა შეგეძლოთ?

ის, ვინც გაამბორებათ ან დაგარტყამთ, დაუბრუნეთ ამბორი.

მაგრამ მას, ვისაც საზღაურს ვერ დაუბრუნებთ,

თქვენი გულის სიძულვილი მიაგეთ,

რადგან თქვენ მონები იყავით, მან კი უფრო დაგამონათ.

თქვენ დამცირებულნი იყავით, მან უფრო დაგამცირათ.

დილის საჩუქარი თქვენთვის - სიმძიმელია,

სალამოს საჩუქარი - სასონარკვეთა.

შუადღის საჩუქარი - საზრუნავი.



**გეცი** — ოჰ, რა მშვენიერი ქადაგებანა! ვინ მოგცათ სიცოცხლე და დღის ნათელი! ღმერთმა! წყალობის გაღება სჯულად უღვეს, რასაც ქმნის, ყველაფერს გასცემს. შესძლებთ, მას რაიმე დაუბრუნოთ? თქვენ ხომ მხოლოდ მტვერი ხართ! არარაობა. აქედან დასკვნა: თქვენ ღმერთი უნდა გზავდეთ.

**გლეხი** — ღმერთი სულ სხვა საქმეა.

**გეცი** — რისთვის შეგვქმნა ღმერთმა ხატად და მსგავსად თვისად? თუ ღმერთი დიდსულოვნება და სიყვარულია, ადამიანიც, ვითარცა მისი ქმნილება, სიყვარული და დიდსულოვნება უნდა იყოს. ჩემო ძმებო, გემუდარებით: მიიღეთ ჩემი საჩუქარი და თანამოძმედ მიგულეთ. მე არა ვთხოვთ, ო, არა ვთხოვთ მადლიერებას. მხოლოდ ისა მსურს, ჩემი სიყვარული არ შეაჩვენოთ, როგორც უკეთურება, და ჩემი საჩუქარი არ დაგმოთ, როგორც დანაშაული.

**გლეხი** — რაც გინდა ის თქვი, მონყალება არ მიყვარს.

**კარლი** — *(ისევ თავისი ბუნებრივი ხმით ლაპარაკობს და მათხოვარზე მიუთითებს.)* აი, ამან ყველაფერი გაიგო. მიწები თქვენია! ის, ვინც ვითომ თქვენ მიწებს გაძლევთ, გატყუებთ, რადგან იმას გაძლევთ, რაც მისი არ არის. აიღეთ მიწები, აიღეთ და მოკალით, თუ გინდათ ადამიანებად იქცეთ; ჩვენ მხოლოდ ძალმომრეობა აღვზრდის.

**გეცი** — ძმებო, ნუთუ ამ ქვეყანაზე მხოლოდ სიძულვილი არსებობს? ჩემი სიყვარული...

**კარლი** — შენი სიყვარული ეშმაკისეულია. რასაც ეკარება, ყველაფერს ათახსირებს. ოჰ, ბიჭებო, ერთი გენახათ მაგის ალტვაილერელები! სამ თვეში საჭურისებად აქცია. ისე მაგრად ეყვარებით, რომ ყველას გამოგყვერავთ და ზედ ყვავილებს დაგკიდებთ. არ აპყვეთ მაგას. თქვენ პირუტყვები იყავით და სიძულვილმა ადამიანებად გაქციათ. სიძულვილს თუ გამოგაცლიან, ისევ ოთხზე დადგებით და ისევ გაპირუტყვდებით.

**გეცი** — ნასტი, დამეხმარე.

**ნასტი** — *(კარლზე მიუთითებს.)* ყველაფერი ნათელია, ღმერთი მის მხარეზეა.

**გეცი** — *(გაოცებული.)* ნასტი!

**გლეხები** — გაეთრიე, გაეთრიე, ეშმაკთანაც გზა გქონია!

**გეცი** — *(განრისხებული.)* მივდივარ, ნუ გემინიათ. გაეშურეთ ჩქარა სასიკვდილოდ, თუ ჩაძალღებთ - სიხარულით ავცეკვდები. რას ჰგაფხართ, თქვე მახინჯებო! თქვე ჯოჯოხეთის მამულებო! ვმადლობ ღმერთს, რომ თქვენს სულებში ჩამახედა. თვალები ამე-

ხილა! სწორი ყოფილა, რომ დიდებულებს მინა უპყრიათ, რადგან მათ ამაყი სულები აქვთ. სწორი ყოფილა, რომ ოთხ ფეხზე დგახართ, რადგან ღორები ხართ და მეტი არაფერი.

**გლეხები** — სიკვდილი მაგას, სიკვდილი! *(გეცს უნდა ეცნენ.)*

**გეცი** — *(ერთ გლეხს ხმალს გამოვლევს.)* აბა, გამეკარეთ.

**ნასტი** — *(ხელს სწევს.)* გეყოთ. *(სრული სიჩუმე.)* ეს კაცი. თქვენ სიტყვას ენდო. სიტყვას კი შესრულება უნდა, თუნდაც მტრისთვის გქონდეთ მიცემული. *(სცენა ნელნელა იცვლება და სიბნელე ჩამოწვება. კლდეზე ბოლო ჩირაღდანი ანთია. ნასტი ჩირაღდანს აიღებს და ნასვლას აპირებს.)* ნადი, გეც, ჩქარა ნადი.

**გეცი** — ნასტი! ნასტი! რატომ მიმატოვე?

**ნასტი** — იმიტომ რომ დამარცხდი.

**გეცი** — ნასტი, ეგენი მგლები ყოფილან. როგორ შეგიძლია მაგათთან დარჩენა?

**ნასტი** — მათშია მიწის მთელი სიყვარული.

**გეცი** — მათში? თუ ნეხვის ამ გროვამი ერთი ბენო სიყვარული დაინახე, ეტყობა, კარგი თვალები გქონია. მე ვერაფერი დავინახე.

**ნასტი** — მართალია, გეც, შენ ვერაფერს დაინახავდი.

*ვადის ლამეა, ხმები ნელ-ნელა სუსტდება. ისმის ქალის სუსტი ხმა. შემდეგ მერთალი სინათლე ეცემა გეცს.*

## სცენა მეორე

*გეცი მარტო.*

**გეცი** — პირუტყვებო, ჩაძალღებთ. ისეთ დღეს დაგაყრით, არასოდეს დაგავინყდებათ. ბოროტებავ, შენ მოვიხმობ, დამიბრუნდი, მომხსენი მძიმე ტვირთი. *(პაუზა.)* სასაცილოა. სიკეთემ ისე განმმინდა, შხამის ნატამალიც არ დამიტოვა. დიდებულისა. სიკეთის გზას შევეუდექი. ალტვაილერისაკენ: ან თავს მოვიკლავ, ან სიკეთეს ვიქმ. ჩემი ბალები მელოდებიან - ჩემი ყვერულები, საჭურისები, ჩემი ბაკის პატარა ანგელოზები. რას გაიხარებენ! ოჰ, ღმერთო, როგორ მომბზრდნენ, რომ იცოდენ. მე მგლები მიყვარს,



მგლები, უფალო, გამიძეხი ამ ბნელ ღამეში. მართალია, დავმარცხდი, მაგრამ გზა მაინც უნდა განვაგრძო. დაე, ყოველი ჩემი დამარცხება ზეგარდმო ნიშანი იყოს, ყოველი ახალი უბედურება - ახალი მცდელობა. თითოეული ხელის მოცარვა - წყალობა. ყოველი ჩემი მარცხი სხნად მომეველინოს. მჯერა, უფალო, მინდა მჯეროდეს, რომ ნება დამრთე, შორი გზით მოვიარო, რადგან გსურს განუყოფლად შენ გეკუთვნოდე. და, აჰა, ღმერთო, ისევ დავდექი შენს პირისპირ, როგორც იმ ძველ, კეთილ დროს, ბოროტებას რომ ჩავდიოდი. რა ჯანდაბა მესაქმებოდა ადამიანებთან? ისინი მბორკავენ. ადამიანები ჩემთვის გაუვალნი ბუჩქნარია, ხელით მიწვეს შენსკენ სავალი გზის განმენდა. შენსკენ მოვდივარ, ღმერთო, ღამეში მოვაბიჯებ, ხელი გამომინოდე, ნუთუ ღამე ხარ? ღამე, გულსაკლავი არყოფნა ყოვლისა? რამეთუ შენ ისა ხარ, ვინც არყოფნაში მყოფიცაა. ის, ვინც ისმის, როცა არაფერი ისმის, ის, ვინც ჩანს, როცა არაფერი ჩანს. უძველესო, დიადო ღამევე, შესაქმემდელო ღამევე, ღამევე არცოდნისავე, შერისხვისა და მწუხარების ღამევე, დამძალე, შთანთქე ჩემი უწმინდური სხეული, შეიპარე ჩემს სულსა და ხორცში, გამომღრღენ და გამომხარ. მინდა განვიძარცვო, სირცხვილი მინდა, უგულვების სიმარტოვე მინდა; რადგან კაცი იმისთვისაა შექმნილი, რომ თავისთავში კაცი მოსპოს და დიაცივით მიწებდეს ღამის დიადსა და შავ სხეულს. სანამ ყველაფერს არ ვიგემებ, ვერაფრის გემოს ვერ ვიგრძნობ; სანამ ყველაფერს არ დავეუფლები, ვერაფერს დავეუფლები; სანამ ყველაფერი არ ვიქნები, არარა ვიქნები; ყველაზე დაბლა როცა დავეშვები, ვიცი, შენი ღამის ბადეში გამხვევ, უფალო, და მათზე ამამალლებ. *(ძლიერი და ნალევლნარევი ხმით.)* უფალო, ჩემო ღმერთო, ღმერთო ჩემო! ესაა შენი ნება? როცა ბოროტი ვიყავი, განა მაშინაც ადამიანის სიძულვილს არ ვეძიებდი, საკუთარი თავის სიძულვილს! სიკეთის სიმარტოვე რითი უნდა გავარჩიო ბოროტების სიმარტოვისაგან? *(ხელნელა თენდება.)* დგება დღე, შენი ღამე გამოვიარე. მადლობას გწირავ, ნათელი რომ მომფინე. ამიერიდან ყველაფერს ნათლად დავინახავ. *(შემობრუნდება და დაინახავს დანგრეულ ალტკვაილერს. ჰილდა ქვების გროვაზე ზის, თავი ხელებში აქვს ჩარგული. გეცი ყვირის.)* — ეი!

სცენა მისამი

გეცი, ჰილდა.

**ჰილდა** — *(თავს სწევს და გეცს უყურებს.)* როგორც იქნა!  
**გეცი** — სხვები სად არიან? დაილუპნენ? რატომ? ბრძოლაზე უარი რომ თქვეს?  
**ჰილდა** — ჰო.  
**გეცი** — დამაბრუნე, ჩემო ღამევე, შენთან! ადამიანების დანახვა აღარ შემიძლია. *(პაუზა.)* როგორ მოხდა?  
**ჰილდა** — ვალსჰაიმიდან შეიარაღებული გლეხები მოვიდნენ. გვიტხრეს, ჩვენთან ერთად იბრძოლეთო, ჩვენ არ გვინდოდა და უარი ვუთხარი.  
**გეცი** — სწორედ მაშინ წაუკიდეს ცეცხლი სოფელს, არა? მშვენიერია. *(გადაიხარხარებს.)* რატომ სხვებთან ერთად არ დაილუპე?  
**ჰილდა** — ნანობ?  
**გეცი** — დალახვროს ეშმაკმა! როცა ცოცხალი აღარავინ რჩება, ყველაფერი უფრო მარტივია ხოლმე.  
**ჰილდა** — მეც ვნანობ. *(პაუზა.)* ერთ სახლში გამოგვეკეტეს, მერე ცეცხლი წაუკიდეს. კარგად მოიქცნენ.  
**გეცი** — რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მოქცეულან.  
**ჰილდა** — ბოლოს ერთი ფანჯარა გაიღო. გადმოვხტი, განა სიკვდილისა შემეშინდა. შენი ნახვა მინდოდა.  
**გეცი** — რად გინდოდა, განა სასუფეველში ვერ შევხვდებოდი ერთმანეთს?  
**ჰილდა** — ჩვენ სასუფეველში ვერ შევალთ, გეცი, და თუნდაც ორივენი შევიდეთ, არც თვალები გვექნება ერთმანეთის საყურებლად და არც ხელები, რომ ერთმანეთს შევხვით. იქ, მაღლა მხოლოდ ღმერთზე ვიფიქრებთ. *(ხელს ახებს გეცს.)* ახლა კი აქა ხარ! აქ არის შენი გადაღლილი, გასაცოდავებული უხეში სხეული, და კიდევ ცხოვრება — ეს უბადრუკი ყოფა. მაგრამ მე მიყვარს ეს სხეულიც და ეს სიცოცხლეც. სიყვარული მხოლოდ მინახვა შესაძლებელი ღმერთის საპირისპიროდ.  
**გეცი** — მე კი მხოლოდ ღმერთი მიყვარს და ამის გამო მოვწყდი მიწას.



**ჰილდა** — მე არ გიყვარვარ?

**გეცი** — არა! არც შენ გიყვარვარ, ჰილდა. ის, რაც სიყვარული გგონია, სიძულვილია.

**ჰილდა** — რისთვის უნდა მძულდე?

**გეცი** — იმისთვის, რომ შენი აზრით, შენიანები მე დავლუპე.

**ჰილდა** — ჩემიანები მე დავლუპე.

**გეცი** — შენ?

**ჰილდა** — მე ვთქვი უარი. ვარჩიე, დახოცილიყვენ, ვიდრე მკვლევები გამხდარიყვენ. ოჰ, გეცი, ვინ მომცა უფლება, გადაწყვეტილება მათ მაგივრად მიმელო?

**გეცი** — ჩემსავით მოქცეულხარ. მოიცილე ხელებიდან ეგ სისხლი. ჩვენ არარანი ვართ, უძლურნი, სრულიად უძლურნი. ადამიანს ჰგონია, რომ იგი თვითონ მოქმედებს, მაგრამ სინამდვილეში მას ღმერთი ამოქმედებს.

**ჰილდა** — არა, გეცი, მე რომ არა, ისინი გადარჩებოდნენ.

**გეცი** — კი ბატონო, ვთქვათ, მართლაც ცოცხლები გადარჩენილიყვენ უშენოდ, მე რალა შუაში ვარ.

**ჰილდა** — ოჰ, „ჩვენ ეს ამბავი ერთად გადავწყვიტეთ და შედეგზეც პასუხს ერთად ვაგებთ“. გაიხსენე.

**გეცი** — ჩვენ ერთად არა ვართ. ჩემი ნახვა გინდოდა? ჰოდა, მიყურე, შემეხე. კარგი, ახლა კი წადი. ჩემს სიცოცხლეში არც ერთ სულიერს სახეში აღარ შევხედავ. მხოლოდ მინასა და ქვებს დავაცქერდები. შენ მოგმართე, ღმერთო, და აჰა, პასუხიც გამეცი. კურთხეული იყავი, რომ თვალი ამიხილე ადამიანთა ბოროტებაზე. მათი ცოდვების გამო ჩემს ხორცს დავადებ სასჯელს. ამ სხეულს შიმშილით, სიცივითა და შოლტებით ვანამებ ნელ-ნელა, სულ ნელ-ნელა. ჩემში მოესპობ ადამიანს, რადგან იგი მოსასპობად შექმენი. ეს ჩემი ხალხი იყო, მცირეოდენი ხალხი, სულ ერთი სოფელი, თითქმის ერთი ოჯახი. ჩემი ქვეშევრდომები დაილუპნენ, მე კი ცოცხალი ვარ. მოკვდები ამ ქვეყნისათვის და სიცოცხლის დარჩენილ დღეებს სიკვდილზე ფიქრში გავატარებ. (ჰილდას.) შენ კიდევ აქა ხარ? წადი. სხვაგან ეძებე სილატაკე და ცხოვრება.

**ჰილდა** — შენზე ბედკრული არავინ მეგულება; ჩემი ადგილი აქ არის. ვრჩები.

## სურათი მეორე

დანგრეული სოფელი ექვსი თვის შემდეგ

### სცენა პირველი

ჰილდა, შემდეგ ჰაინრიხი.

*ჰილდა იმავე ადგილას ზის, სადაც წინა სურათში იჯდა და გზას გაჰყურებს. როგორც ჩანს, ვილაც დაინახა გზაზე. წამოდგება და იცდის. შემოდის ჰაინრიხი. ქუდზე ყვავილები აქვს მიმაგრებული. ხელში თაიგული უჭირავს.*

**ჰაინრიხი** — აი, ჩვენც მოვედით. (უბრუნდება უხილავ პერსონაჟს.) ქუდი მოიხადე. (ჰილდას.) მე ჰაინრიხი მქვია, ოდესღაც წირვას ვასრულებდი. ახლა მოწყალებით ვცხოვრობ. (ემშაჟს.) საით გარბიხარ? მოდი აქ. (ჰილდას.) სიკვდილს როგორც კი იცნოსავს, მაშინვე დაბზრილდება, ისე კი ბუზსაც არ აწყენინებს.

**ჰილდა** — ერთი წელი და ერთი დღე გავიდა, არა? ვორმისს შემდეგ ერთი წელი და ერთი დღეა გასული.

**ჰაინრიხი** — ვინ გითხრა?

**ჰილდა** — დღეებს ვითვლიდი.

**ჰაინრიხი** — ვსმენია ჩემი ამბავი?

**ჰილდა** — კი, დიდხნის წინ.

**ჰაინრიხი** — მშვენიერი დღეა, ჰა! გზად ყვავილები დავკრიფე. წლისთავის თაიგულია.

*თაიგულს აწვდის.*

**ჰილდა** — არ მინდა.

*თაიგულს გვერდზე სდებს.*

**ჰაინრიხი** — ბედნიერი ადამიანებისა არ უნდა გეშინოდეს.

**ჰილდა** — შენ ბედნიერი არა ხარ.

**ჰაინრიხი** — აკი ვითხარი, დღეს დღესასწაულია-მეთქი. ამ



ღამეს კარგად მეძინა. კარგი ერთი, დაიკო, გამიღიმე. მე ყველა მიყვარს, ერთი აღამიანის გარდა, და მინდა ყველა კმაყოფილი იყოს. (უცუბ.) მონახე და მომიყვანე. (ჰილდა არ ინძრევია.) მიდი, ნუ აცდევინებ.

**ჰილდა** — ის შენ არ გიცდის.

**ჰაინრიხი** — არ მიცდის? მაკვირვებ. ჩვენ მეგობრები ვართ. სანაძლეოს ვდებ, საგანგებოდ გამოეწყო და ისე მელოდება.

**ჰილდა** — შეიბრაღე. აიღე შენი თაიგული და წადი.

**ჰაინრიხი** — (ემშაკს.) გესმის, რას ამბობს?

**ჰილდა** — თავი დაანებე შენს ეშმაკს, მისი არ მჯერა.

**ჰაინრიხი** — არც მე.

**ჰილდა** — მაშ, რაღა გინდა?

**ჰაინრიხი** — (იციანის.) ჰა, ჰა, რა ზაფხვი ხარ.

**ჰილდა** — ვინც შენ შეურაცხყოფა მოგაყენა, ის აღარ არის, ის ამ ქვეყნისათვის მკვდარია, ვერც გიცნობს და, დარწმუნებული ვარ, ვერც შენ იცნობ. შენ ერთ კაცს ეძებ, მაგრამ მეორეს ნახავ.

**ჰაინრიხი** — ვინც მინდა, სწორედ იმას ვნახავ.

**ჰილდა** — შეიბრაღე, გემუდარები. რად გინდა ვნება მომიტანო, მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებია.

**ჰაინრიხი** — არც მიფიქრია, ძალიან მომწონხარ.

**ჰილდა** — ყველა იმ ჭრილობიდან, რომელსაც მიაყენებ, ჩემი სისხლი გამოჟონავს.

**ჰაინრიხი** — გიყვარს?

**ჰილდა** — დიას.

**ჰაინრიხი** — მაშ, მისი სიყვარული შესაძლებელი ყოფილა? უცნაურია. (იციანის.) ჩემი შეყვარებაც არაერთხელ სცადეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მასაც უყვარხარ?

**ჰილდა** — ვუყვარდი, სანამ საკუთარი თავი უყვარდა.

**ჰაინრიხი** — თუ უყვარხარ, ნაკლებად ვინანებ, რომ გული გატკინე.

**ჰილდა** — შეუნდე შენი წყენა და ღმერთი შეგინდობს.

**ჰაინრიხი** — არავითარი სურვილი არა მაქვს, შემინდოს. შეჩვენებას თავისი კარგი მხარეცა აქვს, მთავარია, მიეჩვიო. მე უკვე მივეჩვიე. ჯერ, მართალია, ჯოჯოხეთში არა ვარ, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვევი.

**ჰილდა** — შე საბრალოვ!

**ჰაინრიხი** — (გაბრალებული.) არა, არა, მე საბრალო კაცი არა ვარ. ბედნიერი კაცი ვარ. ბედნიერი ვარ - მეტყი (პაუზა.) მიდი, დაუძახე. (ჰილდა ჩუმად არის.) აჯობებს, შენ დაუძახო. სი-

ურპრიზი იქნება, მე რომ დამინახავს. არ გინდა? მაშ, თვითონ დაუუძახებ. გეც, გეც, გეც!

**ჰილდა** — აქ არ არის.

**ჰაინრიხი** — მაშ სად არის?

**ჰილდა** — ტყეში. ზოგჯერ რამდენიმე კვირა არ გამოდის ხოლმე ტყიდან.

**ჰაინრიხი** — აქედან შორსაა?

**ჰილდა** — 25 ლიეს მანძილზე.

**ჰაინრიხი** — (ემშაკს.) გჯერა მისი? (ხუჭავს თვალებს და ეშმაკს უსმენს.) კი, კი, კი. (ემშაკურად იღიმის.) ჰოდა, როგორ ვიპოვო?

**ჰილდა** — ეძებე, კეთილო მღვდელი, ეძებე. შენი ამხანაგი გზას მიგასწავლის.

**ჰაინრიხი** — ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო დაო. (ემშაკს.) აბა, წავიდეთ.

გადის. *ჰილდა მარტო რჩება და თვალს აყოლებს.*

## სცენა მეორე

### ჰილდა, გეცი.

*შემოდის გეცი, მარჯვენა ხელში შოლტი უჭირავს, მარცხენაში სურა. გატანჯული იერი აქვს.*

**გეცი** — ვინ მეძახდა? (ჰილდა არ პასუხობს). ვილაც მეძახდა. ხმა მომესმა.

**ჰილდა** — როცა მარხულობ, სულ რაღაც ხმები ჩაგესმის.

**გეცი** — ყვავილები საიდან გაჩნდა?

**ჰილდა** — დავკრიფე.

**გეცი** — იშვიათად კრეფ ხოლმე ყვავილებს. (პაუზა.) დღეს რა დღეა? წლის რა დღეა?

**ჰილდა** — რატომ მეკითხები?

**გეცი** — ვილაცა უნდა მოსულიყო ამ შემოდგომას.

**ჰილდა** — ვინ?

**გეცი** — აღარ მახსოვს. (პაუზა.) თქვი, რა დღეა დღეს? რომელი თვის რა დღეა?



**ჰილდა** — შენ გგონია, მე დღეებს ვითვლი? არსებობს მხოლოდ ერთი დღე, იგი მიდის და მოდის. დილით გვეძლევა და ღამით გვერთმევა. შენ გაჩერებული საათი ხარ, რომელიც ერთსა და იმავე დროს აჩვენებს.

**გეცი** — რატომ გაჩერებული? მე წინ მივდივარ. (სურას აქნებს.) გესმის წყალი ხმაურობს. წყალი ანგელურ მუსიკას გამოსცემს. ყელში ჯოჯოხეთი მაქვს, ყურებში კი სამოთხე.

**ჰილდა** — რამდენი ხანია, რაც არ დაგიღევია?

**გეცი** — სამი დღეა. ხვალამდე უნდა გავძლო.

**ჰილდა** — რატომ ხვალამდე?

**გეცი** — (სულელივით იცინის.) ჰა, ჰა, ასეა საჭირო, ასე. (პაუზა. სურას აქნავენებს.) კაპ, კაპ! გესმის? ამაზე საშინელი ხმა არ არსებობს იმ ადამიანისათვის, რომელიც წყურვილით იხრჩობა.

**ჰილდა** — ჰო, თავი გაირთე, ეფერე შენს სურვილებს, მოგწყურდეს და დალიო, ეგ ძალზე უბრალო საქმე იქნებოდა. შენი სული ამ საცთურით რომ არ ავარჯიშო, თავი დაგავინწყებოდა.

**გეცი** — როგორ გავიმარჯვო საკუთარ თავზე, თუ საცთური არ დავძლიე?

**ჰილდა** — ოჰ, გეც, ეს დღე პირველი არაა; სურა, წყლის ხმაური, შენი გათეთრებული ტუჩები - ყველაფერი ზეპირად ვიცი. ვითომ არ იცი, რაც მოხდება?

**გეცი** — ხვალამდე გავძლებ, მორჩა და გათავდა.

**ჰილდა** — ბოლომდე ვერასოდეს უძლებ, რადგან ძნელი და გრძელი გამოცდის წინაშე აყენებ საკუთარ თავს. იმდენ ხანს ატარებ ამ სურას, სანამ არ დაეცემი, ხოლო როცა დაეცემი, მე დაგაღვივებ.

**გეცი** — სიახლე გინდა? ეგეც შენი სიახლე! (დახრის სურას.) ყვავილებს სწყურიათ. დალიეთ, ყვავილებო, დალიეთ ჩემი წყალი. დაე, ცამ დახედოს თქვენს ოქროს ყელს! ხედავ? ყვავილები ცოცხლებიან. მინა და მცენარეები ჩემს ძღვენს იღებენ, მხოლოდ ადამიანები მეუბნებიან უარს. (სურიდან წყალს აქცევს.) ესეც ასე ველარ დავლევ. (იცინის და მწარედ იმეორებს.) ველარ დავლევ.

**ჰილდა** — ნუთუ ღმერთის ნებაა, მთლად დაჩლუნგდე?

**გეცი** — ცხადია. ადამიანი უნდა მოისპოს, არა? (სურას გადაავდებს.) ახლა კი დამალევი.

**ჰილდა** — (ცივად უყურებს; მერე სიცილს იწყებს.) კარგად იცი, რომ წყალი გადანახული მაქვს. ვიცნობ, რაცა ხარ. (სურით მოაქვს წყალი და გეცს თავს წამოუნწებს.) აჰა, დალიე!

**გეცი** — ხვალამდე არ დავლევ.

**ჰილდა** — ღმერთს, ეტყობა, შენი გაგიჟება და დაჩლუნგება მოსურვებია, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ გიმეტებს. დალიე!

**გეცი** — მთელი გერმანია თრთოდა ჩემი სახელის გაგონებაზე, ახლა კი ჩვილივით ვარ ძიძის მკლავებში. კმაყოფილი ხარ, უფალო? გინახავს ოდესმე ჩემზე დამცირებული კაცი? ჰილდა, შენ ხომ ყველაფერს წინასწარ ჭერეტ, მითხარი ერთი, წყურვილს რომ მოვიკლავ, მერე რა მოხდება?

**ჰილდა** — ვიცი, რაც მოხდება. დაიწყება თამაში, ხორცის ცთუნება - ჩემთან დანოლა მოგინდება.

**გეცი** — და მაინც გინდა, რომ დავლიო?

**ჰილდა** — მინდა.

**გეცი** — მერე რომ გწვდე?

**ჰილდა** — შენ? ამ მდგომარეობაში? ყველაფერი ანონილ-დანონილია, როგორც საეკლესიო მსახურებაში: ჯერ ლანძღვა-გინების კორიანტელს დააყენებ და ბოლოს თავს გაიშოლტავ. დალიე.

**გეცი** — (სურას იღებს.) კიდევ ერთი მარცხი. (სვამს.) სხეული საზიზღრობა ყოფილა.

**ჰილდა** — სხეული კი არა, შენი სულია საძაგელი.

**გეცი** — (სურას დვამს.) წყურვილი მოვიკალი, მთლად გამოფიტული ვარ. (პაუზა.) მეძინება.

**ჰილდა** — დაიძინე.

**გეცი** — არ დავიძინებ, რადგან მეძინება. (ჰილდას უყურებს.) შენი მკერდი მაჩვენე. (ჰილდა არ ინძრევს.) მაჩვენე, მომხიბლე, აღმაგზნე. არა? უხ, შე კახპავ, ვითომ რატომაც არა?

**ჰილდა** — იმიტომ რომ მიყვარხარ.

**გეცი** — ცეცხლი წაუკიდე შენს სიყვარულს და გულში ისე გაატარე, სული აშიშინდეს. რაკი გყვარებივარ, უნდა მანამო.

**ჰილდა** — მე შენი ვარ. ჩემი სხეული ნამების იარაღად რატომ უნდა ვაქციო?

**გეცი** — ჩემს სულში რომ ჩავახედა, თავს გამიხეთქავდი. კუდიანების ბუდეა, შენ კი ყველა კუდიანს ვადასწონი.

**ჰილდა** — (იცინის.) დიდი ტრაბახა ვინმე ხარ.

**გეცი** — ნადირი რომ იყო, მხეცივით დაგეუფლებოდი.

**ჰილდა** — როგორ იტანჯები, რომ ადამიანი ხარ.

**გეცი** — მე ადამიანი არა ვარ. მე არაფერი არა ვარ. არის მხოლოდ ღმერთი. ადამიანი თვალის ილუზიაა. გეზილები არა?

**ჰილდა** — (წყნარად.) არა, რადგან მიყვარხარ.

**გეცი** — ხომ ხედავ, როგორ მინდა დავამცირო.



ეშაპი და უფალი ღმერთი

**ჰილდა** — ვხედავ, ჩემზე ძვირფასი რომ არაფერი გაგაჩნია.

**გეცი** — (გაბრაზებით.) არ გინდა ჩემს თამაშს აპყვე!

**ჰილდა** — არა, მე არ ვთამაშობ.

**გეცი** — სანამ ჩემს გვერდით იქნები, ვერ ვიგრძნობ მთელ ჩემს სისაძაგლეს.

**ჰილდა** — ამიტომაც ვრჩები.

*გეცი ძლივს დგება ფეხზე.*

**გეცი** — გულში რომ ჩავიკრა, ხელს მკრა?

**ჰილდა** — არა.

**გეცი** — იმ შემთხვევაშიც, თუ ჩემი გული ჭუჭყითაა სავსე?

**ჰილდა** — თუ ხელს შემახებ, შენი გული სუფთაა.

**გეცი** — ჰილდა, სირცხვილის გარეშე როგორ შეიძლება სიყვარული? ვნების ცოდვა ყველაზე საშინელია.

**ჰილდა** — შემომხედე, კარგად შემომხედე. შეხედე ჩემს თვალებს, ჩემს ტუჩებს, ჩემ ყელს, ხელებს. რა, მე ცოდვილი ვარ?

**გეცი** — შენ ლამაზი ხარ. სილამაზე კი ბოროტებაა.

**ჰილდა** — დარწმუნებული ხარ?

**გეცი** — აღარაფერში აღარა ვარ დარწმუნებული. (პაუზა.) სურვილებს როცა ვიკმაყოფილებ, მართალია, ვცოდავ, მაგრამ მათგან ვთავისუფლდები. თუ უარს ვიტყვი სურვილის დაკმაყოფილებაზე, მაშინ მთელ ჩემს სულს ისინი ჭირს შეჰყრიან. ღამდება. შესაღამოვებისას კარგი მხედველობა უნდა გქონდეს, რომ ღმერთი ეშმაკისაგან განასხვავო. (ჰილდას უახლოვდება, ეხება მას და უცებ სცილდება.) ღმერთი მიყურებდეს და მე შენთან დავწვე? არ მიყვარს თავაშვებულობა. (პაუზა.) უფრო ბნელი ღამე რომ ყოფილიყო, მის მზერას დავემალეობოდი.

**ჰილდა** — სიყვარული ღამეა; შეყვარებულებს ღმერთი ვერ ხედავს.

*გეცი ყოყმანობს, შემდეგ უკან იწევს.*

**გეცი** — მომეცი ბეოტიური ფოცხვერის თვალი, რომ ჩემმა მზერამ შენს კანში შეაღწიოს. მაჩვენეთ, რა იმალება ამ ქალის ნესტოებსა და ყურებში. ნახვს რომ თითი წავაკარო, ზიზღის ჟრუანტელი მივლის, მაშ, როგორღა მინდა გულში ჩავიკრა ჭუჭყის გროვა?

**ჰილდა** — (ვნებიანად, მკაცრად.) შენს სულში მეტი ჭუჭყია, ვიდრე ჩემს სხეულში, ეს შენს სულშია ხორცის სიმახინჯე და სიბილწე. მე არ მჭირდება ფოცხვერის მზერა. მოვიარე, გაგბანე. შენი სწეულებანი შევიგრძენი, მაგრამ განა აღარ მიყვარხარ? ყოველდღე უფრო და უფრო ემსგავსები იმ გვამს, რადაც სულ მალე

იქცევი, და მაინც მიყვარხარ. თუ მოკვდები, გვერდით მოგინებენ და უჭმელ-უსმელი ბოლო ამოსუნთქვამდე არ მიგატოვებ. ჩემს მკლავებში დალპები და მე შეყვარება შენი გახრწნილი სხეული, რადგან თუ ყველაფერი არ გიყვარს, ეს იმას ნიშნავს, არ გყვარებია.

**გეცი** — (შოლტს აწვდის.) გამშოლტე, მიდი, შენ თვითონ გამშოლტე, შური იძიე მკვდარ კატერინაზე, შენს დალუპულ ახალგაზრდობაზე და ყველა იმ ადამიანზე, ჩემი წყალობით რომ დაინვა.

**ჰილდა** — (გადაიხარხარებს.) ჰო, გაგშოლტავ, ბინძურო ბერო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ჩვენი სიყვარული დალუპე! *ხელში შოლტს იღებს.*

**გეცი** — თვალებში დამარტყი, ჰილდა, თვალებში.

სცენა მესამე

იზივანი და ჰაინრიხი.

**ჰაინრიხი** — მაგრად გადაუჭირე, მაგრად. ისე მოიქეცით, თითქოს აქ არ ვიყო. (წინ მიიწევს. ჰილდას მიმართავს.) ამხანაგმა ჩამჩურჩულა, ცოტა გაიარ-გამოიარე და ჩუმად მობრუნდიო. მაგის მოტყუება არ იქნება. (გეცს.) ამას კი ჩვენი შეხვედრისათვის ხელის შეშლა უნდოდა. მართლა არ მიცდიდი?

**გეცი** — მე? დღეებს ვითვლიდი.

**ჰილდა** — დღეებს ითვლიდი? ოჰ, გეც, მაშ მე მატყუებდი? (უყურებს.) რა დაგემართა? თვალები გიბრწყინავს, როგორ შეიცვალე.

**გეცი** — მაგის ნახვა მესიამოვნა.

**ჰილდა** — უცნაურო სიამოვნებაა. ყველანაირ ბოროტებას მოგწევს, რაც კი ძალუძს, თვითონვე იცი.

**გეცი** — ეს იმის საბუთია, რომ ვუყვარვარ. ეჭვიანობ? (ჰილდა არ პასუხობს. გეცი ჰაინრიხის მიუბრუნდება.) ყვავილები შენ დაკრიფე?

**ჰაინრიხი** — ჰო, შენ დაგიკრიფე.

**გეცი** — გმადლობთ.

*მინიდან იღებს თაიგულს.*



**ჰაინრიხი** — წლისთავს გილოცავ.

**გეცი** — მეც გილოცავ, ჰაინრიხ.

**ჰაინრიხი** — ალბათ ამალამ მოკვდები...

**გეცი** — მართლა? რატომ?

**ჰაინრიხი** — გლეხები მოსაკლავად გეტყვენ. გამწარებული მოვრბოდი, რომ მომესწრო.

**გეცი** — ჩემი მოკვლა უნდათ? ეშმაკმა დალახვროს! ეს რალა პატივია? მე კი ვფიქრობდი, მთლად დამივიწყეს-მეთქი. რატომ უნდა მომკლან?

**ჰაინრიხი** — გასულ ხუთშაბათს, გუნსბახის ველზე, ბარონებმა ნასტის ჯარი პირნმინდად ამოჟლიტეს. 25000 მკვდარია. სრული განადგურება. ორ-სამ თვეში აჯანყებას ჩაახშობენ.

**გეცი** — (აღელვებით.) 25000 მოკლული? არ იყო საჭირო ეგ ბრძოლა, სულელებო! მათ უნდა... (მშვიდდება.) ეშმაკსაც წაუღია! ჩვენ სიკვდილისათვის დავიბადეთ. (პაუზა.) ცხადია, ყველაფერს მე მამბრალეობენ?

**ჰაინრიხი** — ამბობენ, ჯარს სათავეში შენ რომ ჩასდგომოდი, ეს ამბავი არ მოხდებოდაო. შეგიძლია დანყნარდე. მთელ გერმანიაში ყველაზე საძულველი ადამიანი ხარ.

**გეცი** — ნასტი? გაიქცა? ტყვედ ჩავარდა? დაიღუპა?

**ჰაინრიხი** — გამოიცანი.

**გეცი** — გაეთრიე. (ფიქრებში მიდის.)

**ჰილდა** — იციან, აქ რომ არის?

**ჰაინრიხი** — კი, იციან.

**ჰილდა** — ვინ უთხრა? შენ?

**ჰაინრიხი** — არა, იმან. (ეშმაკზე მიუთითებს.)

**ჰილდა** — (ნაზად.) გეც! (მხარზე ადებს ხელს.) გეც!

**გეცი** — (შეკრთება.) ჰა, რა იყო?

**ჰილდა** — აქ ნუ დარჩები.

**გეცი** — რატომ? არ უნდა ვზლო?

**ჰილდა** — არაფერიც არ უნდა ზლო. შენ დამნაშავე არა ხარ.

**გეცი** — ეგ შენი საქმე არ არის.

**ჰილდა** — სწორედაც რომ ჩემი საქმეა. გეც, უნდა წავიდეთ.

**გეცი** — სად წავიდეთ?

**ჰილდა** — სულერთია სად, ოღონდ კი საფრთხე არ გემუქრებოდეს. უფლება არ გაქვს, თავი მოაკვლევიო.

**გეცი** — არა.

**ჰილდა** — ეგ თაღლითობაა.

**გეცი** — ჰო, თაღლითობაა, მერე რა! მთელი სიცოცხლე არ

ვთაღლითობდი? (ჰაინრიხს.) აბა, დაიწყე საბრალდებო სიტყვა: დრო დადგა, მზად ვარ.

**ჰაინრიხი** — (ჰილდაზე მიუთითებს.) უთხარი, წავიდეს.

**ჰილდა** — ჩემი თანდასწრებით მოგიხდება ლაპარაკი, გეცს არ დავტოვებ.

**გეცი** — ჰაინრიხი მართალია, ჰილდა. ეს სასამართლო დახურულ კარს უკან უნდა გაიმართოს.

**ჰილდა** — რომელი სასამართლო?

**გეცი** — ჩემი.

**ჰილდა** — რა უფლება აქვს, სასამართლო მოგიწყოს. გააგდე ეგ მღვდელი და წავიდეთ ამ სოფლიდან.

**გეცი** — ჰილდა! მე სასამართლოს წინაშე უნდა წარვდგე. ყოველდღე, ყოველ საათს საკუთარი თავისათვის განაჩენი გამომაქვს, მაგრამ ჩემი თავისა აღარა მჯერა. ისე კარგად ვიცი რომ საკუთარ თავს, რომ აღარ ვენდობი. ჩემი სულისთვის კი ცხვირი ზედ მაქვს მიბჯენილი, ამიტომაც ცხადად ველარ ვხედავ. ვილაცამ თავისი თვალები უნდა მათხოვოს.

**ჰილდა** — აჰა, ჩემი აიღე.

**გეცი** — არა, ვერც შენ მხედავ. შენ გიყვარვარ. ჰაინრიხს ვძულვარ, მაშასადამე, ჩემი დარწმუნება შეუძლია. როცა მისი პირიდან ჩემს აზრებს მოვისმენ, მაშინ დავიჯერებ.

**ჰილდა** — კარგი წავალ, მაგრამ დამპირდი, რომ ამის შემდეგ აქედან გავიქცევი.

**გეცი** — კი, თუ საქმეს მოვიგებ.

**ჰილდა** — თავადაც კარგად იცი, რომ მისი წაგება გაქვს გადაწყვეტილი. მშვიდობით გეც.

კოცნის და ვადის.

## სცენა მეოთხე

### გეცი, ჰაინრიხი.

**გეცი** — (თავი უღებს ძირს აგდებს.) აბა, სასწრაფოდ შეუდექი საქმეს! ნუ დამინდობ!

**ჰაინრიხი** — ასეთი არ წარმომეღვინე.



**გეცი** — გაბედულად, ჰაინრიხ, ძნელი საქმე არ გავალია. ჩემი ერთი ნახევარი შენი თანამზრახველია მეორე ნახევრის სანინაალ-მდეგოდ. მიდი, ჩემს არსში დაინყე ფათური, რადგან ჩემი არსია ყოვლის მიზეზი.

**ჰაინრიხი** — მართლა ნაგება გინდა?

**გეცი** — არა, ნუ გეშინია, მაგრამ გაურკვევლობას სასონარ-კვეთა მირჩევნია.

**ჰაინრიხი** — მაშ, კარგი. (პაუზა.) მოიცადე. რაღაც დამა-ვინყდა. ამ ბოლო დროს ხშირად მემართება, მაგრამ არა უშავს, მომავონდება. (აღელვებული დადის.) შენი ბრალია. ისეთი არა ხარ, როგორსაც ველოდი. მეგონა ვარდების გვირგვინით შემეუღლს, თვალგაბრწყინებულს გნახავდი. გვირგვინი უნდა ჩამომეგლიჯა და შენი საზეიმო გამომეტყველება ფეხით გამეთელა. ბოლოს კი, ჩემს წინ მუხლებზე უნდა დაცემულიყავი. სად არის შენი სიამაყე, გეცი, სად არის შენი თავხედობა? ცოცხალ-მკვდარი ხარ. აბა, რა სიამოვნებას მივიღებ შენი მოსპობით? (ბრავმოხრეული ყვირის.) ოჰ, ჯერ კიდევ საკმარისად ბოროტი არა ვარ!

**გეცი** — (იციინის.) ნუ ლელავ, ჰაინრიხ, დამშვიდდი, ნუ ჩქარობ.

**ჰაინრიხი** — ნუთით დაკარგვა აღარ შეიძლება. გეუბნები ფეხ-დაფეხ მომყვებიან. (ეშმაკს.) მიკარნახე, მიკარნახე, დამეხმარე, რომ ისე შევიჯავრო, როგორც საჭიროა. (სანყალობლად.) არასოდეს ადგილზე არ არის, როცა გჭირდება.

**გეცი** — მე გიკარნახებ (პაუზა.) მიწები.

**ჰაინრიხი** — მიწები?

**გეცი** — შევცდი, მიწები რომ გავეცი?

**ჰაინრიხი** — ჰო, მიწები. მაგრამ შენ მიწები არ გაგიცია. გაცემა იმისა შეიძლება, რაც გეკუთვნის.

**გეცი** — მართალს ამბობ; რისიმე ქონა ადამიანსა და ნივთს შორის მეგობრობაა. ჩემს ხელში კი ნივთებიც ყმუიან. მე არა-ფერი გამიცია, მხოლოდ საჯაროდ წავიკითხე გასაჩუქრების აქტი. ესაა და ეს. თუ მართალია, მღვდელი, რომ არ გამიცია ჩემი მიწები, ისიც ხომ მართალია, რომ გლეხებმა მიწები მიიღეს. ვინ გამცემს პასუხს?

**ჰაინრიხი** — გლეხებს მიწები არ მიუღიათ, რადგან მათი შენარჩუნება არ შეეძლოთ. როცა ბარონები სამფლობელოს ხელში ჩაიგდებენ და ჰაიდენშტამის სასახლეში კონრადის გარე ბიძაშვილს დასვამენ, ფანტასმაგორიისაგან აღარაფერი დარჩება.

**გეცი** — ღმერთმა ხელი მოგიმართოს. არ მიმიცია, არც

მიუღიათ - ეგ უფრო მარტივია. ეშმაკის პისტოლები უმაღვე ხმელ ფოთლებად იქცევიან ხოლმე, როგორც კი დახარჯვას მოუნ-დომებენ. ჩემი კეთილი საქმეებიც ასევეა. ხელს მიაკარებ თუ არა, ლუშად იქცევა. მაგრამ განზრახვა ხომ იყო, რას იტყვი? მართლა რომ მქონოდა სიკეთის აღსრულების განზრახვა, ვერც ღმერთი და ვერც ეშმაკი ამას ველარ გადამაფიქრებინებდნენ. შეუტეე ჩემს კეთილ განზრახვას. დაამსხვრიე იგი.

**ჰაინრიხი** — ეგ ძნელი საქმე არ იქნება: შენ არ შეგეძლო შენი სიმდიდრით გაგეხარა და ამიტომ გადანყვიტე მასზე მალა დამდგარიყავი, და გაითამაშე, თითქოს უარი თქვი მასზე.

**გეცი** — ო, უღმობელო ხმავე, გამოააშკარავე, ნათელჰყავი ჩემი ფიქრები. არ ვიცი, შენ ვისმენ თუ მე ვლაპარაკობ. მოკლედ, ყვე-ლაფერი ტყუილი და კომედია იყო. კი არ მიმოქმედია მხოლოდ გამითამაშებია მოქმედება. ოჰ, მღვდელი, ნიშანში მოარტყი. მერე, მერე, კიდევ რა ქნა ტაკიმასხარამ? რა იყო, ასე რატომ ქოშინებ? ძალა გეცლება?

**ჰაინრიხი** — (გეცის ვახლეუბა, ვააფთრება გადაედო.) შენ იმი-ტომ გაეცი მიწები, რომ ყველაფერი დაგენგრია.

**გეცი** — ზუსტად მიმიხვდი. ჩემთვის საკმარისი არ იყო მემ-კვიდრის მოკვლა.

**ჰაინრიხი** — (ისევე.) შენ მემკვიდრეობის განიავება მოინდომე.

**გეცი** — მე ხელთ მეპყრა ჰაიდენშტამის ძველი სამფლობელო.

**ჰაინრიხი** — (ისევე.) და შენ იგი მიწაზე დაანარცხე და ნამ-სხვრევებად აქციე.

**გეცი** — მინდოდა, ჩემი სიკეთე ჩემს მანკიერებაზე უფრო გამანადგურებელი ყოფილიყო.

**ჰაინრიხი** — მოახერხე კიდევ. 25000 გვამი! შენმა სიკეთემ ერთ დღეში უფრო მეტი ადამიანი განწყვიტა, ვიდრე შენმა ბო-როტებამ 35 წლის განმავლობაში.

**გეცი** — ისიც დაუმატე, რომ ეს მკვდრები ლატაკები არიან. სწორედ ისინი, ვისაც ვითომდა კონრადის სიმდიდრე დაუფრიგე.

**ჰაინრიხი** — ეშმაკმა დალაზეროს! შენ ისინი ყოველთვის გეჯა-ვრებოდა.

**გეცი** — (მუშტს მალა სწევს.) ძალლო! (შეჩერდება და იციინის.) კინალამ დაგარტყი. ეს იმის ნიშანია, რომ სწორ გზაზე დგახარ. ჰა, ჰა, აი ჩემი მტკიცუნეული ადგილი. განაგრძე. დამდე ბრალად, რომ ლატაკები მეჯავრება, და ისიც, რომ მათი მად-ლიერება გამოვიყენე მათსავე დასამინებლად. ადრე ძალადობით მათ სულებს ვტანჯავდი, ახლა ძალადობით სიკეთეს ჩავდივარ.



სოფელი დამკვნარი სულების თაიგულად იქცა. საცოდავები, მაიმუნებით ყველაფერში მბაძავდნენ, მე კი მაიმუნით სიკეთის ნაბაძვას ვცდილობდი. სანყლები, უაზრო ნამებულებად დაიღუპნენ, არც იცოდნენ, რისთვის იღუპებოდნენ. მისმინე, მღვდლო, მე ყველას ვუღალატე, ძმასაც კი, მაგრამ ლალატის წყურვილი ვერ მოვიკალი. ჰოდა, ერთ ღამეს ვორმის გაღვანთან, გამოვიგონე ბოროტების ლალატი. ესაა და ეს. თუმცა ბოროტების ლალატი არც ისე ადვილი ყოფილა. ნიძლავი რომ დავდეთ, კამათელმა სიკეთე კი არ დასვა, უარესი ბოროტება გამაგორებინა. თუმცა ეგ ჩემთვის სულერთი იყო. ურჩხული თუ წმინდანი ფეხებზე მეკიდა, მსურდა არაადამიანური ვყოფილიყავი. თქვი, ჰაინრიხ, სიმართლე მითხარი, ის რომ სირცხვილით ვინვოდი და ცის გაკვირვება მინდოდა, რათა ადამიანების ზიზღისათვის თავი დამეღწია. თქვი, რას უცდი! ილაპარაკე! შენ თუმცა ლაპარაკი რად გინდა, შენი ხმით მე ვლაპარაკობ. (ჰაინრიხს ბაძავს.) «გეც, შენ კანი არ შეგიცვლია, მხოლოდ მეტყველება შეიცვალე. ადამიანთა მიმართ სიძულვილს შენ სიყვარული შეარქვი და ნგრევის სურვილს - კეთილშობილება. თავად კი იგივე დარჩი, იგივე, ერთი ნაბიჭვარი და სხვა არაფერი». (ისევ თავის ბუნებრივი ხმით ლაპარაკობს.) ღმერთო ჩემო, მე ბრალდებული, ვადასტურებ, იგი მართალია, ვაღიარებ, რომ დამნაშავე ვარ. საქმე ნავაგე, ჰაინრიხ, კმაყოფილი ხარ?

*შეტორტმანდება და კედელს ეყრდნობა.*

**ჰაინრიხი** — არა.

**გეცი** — ძნელი ყოფილა შენი გულის მოგება.

**ჰაინრიხი** — ო, ღმერთო, ესაა ჩემი გამარჯვება? რა ნაღვლიანია იგი.

**გეცი** — როცა მოვკვდები, მაშინ რაღას იხამ, უთუოდ გავიჭირდება უჩემობა.

**ჰაინრიხი** — (ემმაკზე მიუთითებს.) ეგ სამუშაოს არ მომაკლებს. დრო არ მექნება, შენზე ვიფიქრო.

**გეცი** — მართლა დარწმუნებული ხარ, რომ ჩემი მოკვლა სურთ?

**ჰაინრიხი** — დარწმუნებული ვარ.

**გეცი** — კეთილი ადამიანები ყოფილან. კისერს მივუშვერ და ამით ყველაფერი დასრულდება. ყველა ამოისუნთქავს.

**ჰაინრიხი** — არაფერი არასოდეს არ მთავრდება.

**გეცი** — არაფერი. ჰო, მერე ჯოჯოხეთია, იქ შევიცვლები.

**ჰაინრიხი** — არ შეიცვლები. შენ უკვე ჯოჯოხეთში ხარ. ამ ჩემმა სახლიკაცმა (ემმაკზე მიუთითებს.) მასწავლა, რომ დედამინა

მხოლოდ მოჩვენებაა: არის ცა და ჯოჯოხეთი; ესაა და ეს. სიკვდილი მხოლოდ ოჯახს ატყუებს, მიცვალებულისათვის ყველაფერი გრძელდება.

**გეცი** — ჩემთვისაც ყველაფერი გაგრძელდება?

**ჰაინრიხი** — ყველაფერი. შენი თავით დატკობას მარადილობაში შეძლებ.

*პაუზა.*

**გეცი** — რა ახლო ჩანდა სიკეთე, როცა ბოროტებას ჩავდიოდი. ხელის ერთი განვდენა კმაროდა. ნავეტანე და ხელში სიცარიელე შემრჩა. ნუთუ სიკეთე მოჩვენებაა? ჰაინრიხ, ჰაინრიხ, თქვი, შესაძლებელია სიკეთე?

**ჰაინრიხი** — მხიარული წლისთავი გამოგვივიდა! ერთი წელი და ერთი დღეა, რაც შენ იგივე შეკითხვა დამისვი; მე ვიპასუხე: არა. ღამე იყო, მიყურებდი და იცინოდი. თანაც ამბობდი: შენ ვირთხას ჰგავხარო. შემდეგ კამათლებით ითაღლითე და თავი დაიძვრინე. ჰოდა, უყურე! ახლაც ღამეა. თანაც ძალიან ჰგავს იმ ღამეს. ხაფანგში ვინ აღმოჩნდა?

**გეცი** — (მასხრობის კილოზე.) მე.

**ჰაინრიხი** — მოახერხებ კი ხაფანგიდან გამოძრომას?

**გეცი** — (ხუმრობის გარეშე.) ვერა, ვერ გამოვძვრები. (ბოლოს სცემს.) უფალო, თუკი უარს მეუბნები სიკეთე აღვასრულო, მისი აღსრულების ასეთი მძაფრი სურვილი რაღად მარგუნე? თუ ნება არ დამრთე, კეთილი გავმხდარიყავი, რატომღა წამართვი ბოროტად დარჩენის სურვილი? უცნაურია, მაგრამ გამოსავალი არა ჩანს.

**ჰაინრიხი** — რას თამაშობ? ვითომ მას ელაპარაკები? ხომ კარგად იცი, რომ არ ვიპასუხებს.

**გეცი** — რატომ დუმს? თუკი წინასწარმეტყველის სახედარს დაენახვა, მე რატომ არ მენახვება?

**ჰაინრიხი** — შენ არ ითვლები. სუსტებს ტანჯავ თუ საკუთარ თავს ანამებ, კახპების ბაგეებს კოცნი თუ კეთროენისას, საჭმელს არ ეკარები თუ ვნებას იოკებ, ღმერთს ეს სულ ფეხებზე ჰკიდია.

**გეცი** — მაშ, ვიღას უწევს ანგარიშს?

**ჰაინრიხი** — არავის. ადამიანი არარაა. ნუ გაიკვირვე, შენ ყოველთვის იცოდი ეს. მაშინაც იცოდი, კამათელს რომ აგორებდი. მაშ, რატომღა ითაღლითე? (გეცს რალაცის თქმა უნდა.) კი, კი, ითაღლითე, კატერინამ დაგინახა! ხმა აიმაღლე, რომ ღმერთის სიჩუმე დაგეფარა. ვითომ ბრძანებებს იღებ, სინამდვილეში კი



თვითონ უბრძანებ შენს საკუთარ თავს.

**გეცი** — ჰო, ასეა.

*ფიქრობს.*

**ჰაინრიხი** — (გაკვირვებული.) ჰო, მხოლოდ შენ თვითონ.

**გეცი** — (ისევე.) მართალია, მხოლოდ და მხოლოდ მე თვითონ.

**ჰაინრიხი** — ჰო, გეუბნები, ჰო-მეთქი.

**გეცი** — (თავს მაღლა სწევს.) მარტო მე, მღვდელი. მართალი ხარ. ვევედრებოდი, ვეხვეწებოდი, ციდან რაიმე ნიშანი წარმოეგზავნა. ცად აღვაველენდი ვედრებას. ყველა თხოვნა უპასუხოდ დარჩა. ცამ ჩემი სახელიც კი არ იცის. ყოველ წამს საკუთარ თავს ვეკითხებოდი, თუ რას წარმოვადგენდი ღმერთის თვალში. ახლა ვიცი პასუხი. არარას. ღმერთი არ მხედავს, ღმერთს ჩემი არ ესმის, ღმერთი არ მიცნობს. ხედავ, ჩემს გარშემო რომ სიცარიელეა, ეს ღმერთია. ხედავ, კარში ამ ჭუჭრუტანას? ესეც ღმერთია. ხედავ იმ ხვრელს მიწაში? ისიც ღმერთია. სიჩუმე ღმერთია, არყოფნა ღმერთია. ღმერთი - ეს ადამიანია. სიმარტოვეა. ჩემს გარდა არავინაა; მე მარტომ გადავწყვიტე ბოროტების ჩადენა. მხოლოდ ჩემს თავს ვადანაშაულებ, მხოლოდ თვითონ შემძლია ჩემს თავს ცოდვები მიუტევო, მე - ადამიანმა. თუ ღმერთი არსებობს, ადამიანი არარაა, თუ ადამიანი არსებობს... სად გარბიხარ?

**ჰაინრიხი** — მივდივარ. შენთან აღარაფერი მაქვს საერთო.

**გეცი** — მოიცა, მღვდელი, უნდა გაგაცინო.

**ჰაინრიხი** — გაჩუმდი.

**გეცი** — შენ ხომ ჯერ არ იცი, რას გეტყვი? (დააცქერდება ჰაინრიხს და უეცრად.) თუმცა არა, იცი!

**ჰაინრიხი** — (ყვირის.) ტყუილია! არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

**გეცი** — ჰაინრიხ, ყველაზე დიდი სერი, იცი, რა ყოფილა: ღმერთი არ არსებობს! (ჰაინრიხი სწვდება და ურტყამს. ყოველ დარტყმაზე გეცი იცინის და ყვირის.) არ არსებობს. გაიხარე, იტირე სიხარულისაგან. ალილუია! შეშლილო, ნუ მირტყამ. მე - ჩვენ ორივეს ვათავისუფლებ. აღარც ცაა, აღარც ჯოჯოხეთი, არის მხოლოდ მინა!

**ჰაინრიხი** — დაე, ასჯერ შემაჩვენოს, ათასჯერ, ოღონდაც არსებობდეს! გეცი, ადამიანებმა მოლალატეები და ბუმები გვიწოდეს და მსჯავრი დაგვადეს. თუ ღმერთი არ არსებობს, ადამიანებს ვერ გადაუზრჩებთ. ღმერთო ჩემო, ამ კაცმა ღმერთი დაგმო, მე

კი მნამხარ! მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა... მირჩენია უზენაესმა დამდოს მსჯავრი, ვიდრე ჩემმა თანასწორმა.

**გეცი** — ვის ელაპარაკები? ახლახანს არა თქვი, ყრუ არისო? (ჰაინრიხი ჩუმად უყურებს.) ადამიანებს ველარ გავექცევით. მშვიდობით, ურჩხულებო, მშვიდობით, წმინდანებო, მშვიდობით, სიამაყევე. არსებობენ მხოლოდ ადამიანები!

**ჰაინრიხი** — მაგრამ ადამიანებსაც რომ არ უნდისხარ, ნაბიჭვარო!

**გეცი** — ამას როგორმე მოვიწვებ.(პაუზა.) ჰაინრიხ, საქმე არ წამიგია. სასამართლო არ შედგა, რადგან მოსამართლე არა გვყავს. (პაუზა.) ყველაფერი თავიდან უნდა წამოვიწყო.

**ჰაინრიხი** — (შეკრთება.) რა უნდა წამოიწყო?

**გეცი** — ცხოვრება.

**ჰაინრიხი** — იოლი გამოსავალი გიპოვნია. (გეცს სწვდება.) ვერაფერსაც ვერ წამოიწყებ. ყოველივე დასრულდა. დღეს ყველაფერი უნდა შეჯამდეს.

**გეცი** — თავი დამანებე, ჰაინრიხ. თავი დამანებე. ყველაფერი შეიცვალა. სიცოცხლე მინდა. (ჰაინრიხისაგან თავისუფლდება.)

**ჰაინრიხი** — (გეცის დახრჩობას ცდილობს.) გეცი, სად არის შენი ძალა, სად არის შენი ძალა? რა კარგია, რომ სიცოცხლე კიდევ გინდა. სასონარკვეთილი ჩაძაღღები. (დასუსტებული გეცი ამოად ცდილობს ჰაინრიხის მოცილებას.) დაე, შენი წილი ჯოჯოხეთი მთლიანად მაგ შენს ბოლო წამში ჩაეტიოს.

**გეცი** — გამიშვი. (თავისუფლდება.) ეშმაკმა წავიღოს! თუ ჩვენს შორის ერთ-ერთს სიკვდილი უნერია, დაე, ეს ერთი, შენ იყო! (არტყამს დანას.)

**ჰაინრიხი** — აჰა. (პაუზა.) სიძულელიზე უარს არ ვამბობ, არც სატანჯველზე ვამბობ უარს. (ეცება.) ყველაფერი გაქრება, ყველაფერი, შენ კი ხვალ ახალ დღეს შეესწრები. (კედება.)

**გეცი** — შენ მოკვდი, სამყარო კი ძველებურად სავსეა. შენ არავის დააკლდები. (იღებს ყვავილებს და ჰაინრიხს აყრის.) სიკეთის კომედია მკვლელობით დამთავრდა. მით უკეთესი, უკან დასახევი გზა მოჭრილია! (ეძახის.) ჰილდა, ჰილდა!

## სცენა მეხუთე

ჰილდა, გეცი.

ღამეა.

გეცი — ღმერთი მოკვდა.

ჰილდა — ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, ჩემთვის სულერთია. დიდი ხანია აღარც გამხსენებია. ჰაინრიხი სად არის?

გეცი — ნავიდა.

ჰილდა — საქმე მოიგე?

გეცი — სასამართლო არ შედგა. ხომ ვითხარი, ღმერთი მოკვდა-მეთქი. (ჰილდას ეხვევა.) მონმე აღარა გვყავს. მარტო მე ვხედავ შენს თმასა და შენს შუბლს. რა ნამდვილი ხარ, რაც ის აღარ არის. შემომხედე, თვალს ნუ მომაცილებ. სამყარო დაბრმავდა. მზერას ნუ მომაცილებ, მეშინია, არ გაუჩინარდე. (იციინის.) როგორც იქნა მარტონი დავრჩით.

*სინათლე ჩირალდნები ახლოვდება.*

ჰილდა — აი, ისინიც, ნავიდეთ.

გეცი — მირჩევნია დავიცადო.

ჰილდა — მოგკლავენ.

გეცი — ვითომ? (პაუზა.) დავრჩეთ. მე ადამიანების ნახვა მიწდა.

*ჩირალდნები ახლოვდება.*

## სურათი მეთერთმეტი

გლეხების ბანაკი

## სცენა პირველი

კარლი, ჯადოქარი ქალი,  
ორი გლეხი, შემდეგ ნასტი.*ჯადოქარი ქალი ხის ხელით გლეხებს ეხება.*

ნასტი — (შემოდის.) აქ რას აკეთებ?

ჯადოქარი — ვისაც ამ ხელს შევახებ, ხელშეუხებელი გახდება. ვერავეთარი იარაღი ვნებას ვერ მიაყენებს.

ნასტი — გადაადგე ეგ ხელი. (მისკენ მიდის.) კარლ, შენც მაგათთან ხარ?

კარლი — ჰო, და აცადე.

ნასტი — სანამ ბრძანებებს მე ვიძლევი, მეთაურები ჯარისკაცებს ვერ მოატყუებენ.

კარლი — მაშინ ჯარი თავისი მეთაურებიანად დაიღუპება.

ნასტი — (გლეხებს.) გაეთრიეთ!

*გლეხები გადიან. პაუზა. კარლი ნასტისაკენ მიდის.*

კარლი — ნასტი, შენს ყოყმანსა და ოცნებაში, დეზერტირები მომრავლდნენ. ლაშქარი თავის ჯარისკაცებს ისევე კარგავს, როგორც დაჭრილი სისხლს. სისხლდენა უნდა შევაჩეროთ. ჩვენ უფლება გვაქვს, ყველა საშუალება გამოვიყენოთ.

ნასტი — რას აპირებ?

კარლი — ბრძანებას გავცემ, ყველას შეახოს ხელი ამ მშვენიერმა ასულმა. იფიქრებენ, ხელშეუხებელი გავხდებითო, და დარჩებიან.

ნასტი — მე ისინი ადამიანებად ვაქციე, შენ კი ისევ ცხოველებად გინდა გადააქციო?

კარლი — სასიკვდილოდ მიმავალი ცხოველები მირჩევნია იმ ადამიანებს, დამფრთხალნი რომ გარბიან.



**ნასტი** — შეცდომებისა და სისაძაგლის წინასწარმეტყველი ხარ.

**კარლი** — ჰო, კარგი, ცრუ წინასწარმეტყველი ვარ. შენ რაღა ხარ?

**ნასტი** — მე ეს ომი არ მინდოდა.

**კარლი** — ეგ არა კმარა. თუ ხელი ვერ შეუშალე, გამოდის, ღმერთი შენთან არ ყოფილა.

**ნასტი** — ცრუ წინასწარმეტყველი არა ვარ. ადამიანი ვარ, რომელიც უფალმა მოატყუა. რაც გინდა, ისა ჰქენი. (*კარლი ვადის ჯადოქართან ერთად.*) დიახ, უფალო, შენ მომატყუე, დამარწმუნე, რომ შენი რჩეული ვიყავი. მაგრამ როგორ უნდა გისაყვედურო, საკუთარ ქმნილებებს ატყუებ-მეთქი, და როგორ უნდა დავეჭვდე შენს სიყვარულში, მე, ვისაც ესოდენ მიყვარს ჩემი ძმები და მაინც ვატყუებ მათ?

## სცენა მეორე

*ნასტი, გეცი, ჰილდა,  
სამი შიარალეპული გლეხი.*

**ნასტი** — (*გაკვირების გარეშე.*) აქ ყოფილხართ?

**გლეხი** — (*გეცზე მიუთითებს.*) ამას ვეძებდით. გვინდოდა მოგვეკლა, მაგრამ ეს უკვე ის კაცი აღარ არის. აღიარა, რომ შეცდა, და მზად არის, ჩვენთან ერთად იბრძოლოს. ამიტომაც მოგიყვანეთ.

**ნასტი** — დაგვტოვეთ. (*ყველა ვადის.*) გინდა ჩვენთან ერთად იბრძოლო?

**გეცი** — მინდა.

**ნასტი** — რამ გადაგანყვეტინა?

**გეცი** — ასე მჭირდება (*პაუზა.*) მინდა კაცთა შორის, მეც ერთი კაცთაგანი ვიყო.

**ნასტი** — მხოლოდ მაგიტომ?

**გეცი** — ვიცი, რომ ამაზე ძნელი არაფერი ყოფილა, ამიტომაც სულ თავიდან ვინყებ.

**ნასტი** — რითი ინყებ?

**გეცი** — დანაშაულით. დღეს ადამიანები დამნაშავეებად იბადებიან. თუ მინდა მათი სიყვარულისა და სიკეთის თანაზიარი გავხდე, მათ დანაშაულშიც წილი უნდა დავიდო. მე წმინდა სიყვარული მსურდა. სისულელეა. თუ გვიყვარს ერთმანეთი, მტერი უნდა გვძულდეს. მე ვუერთდები თქვენს სიძულვილს. მე სიკეთე მინდოდა. გულუბრყვილობაა. აქ, ამ მიწაზე და ამ დროში, სიკეთე და ბოროტება განუყოფელია. მზად ვარ, სიკეთის გულისათვის ბოროტება ჩავიდინო.

**ნასტი** — (*გეცს უყურებს.*) გამოცვლილხარ!

**გეცი** — სასაცილოა, არა? მე ძვირფასი არსება დავკარგე!

**ნასტი** — ვინ?

**გეცი** — შენ არ იცნობდი. (*პაუზა.*) მიმსახურეთ, როგორც უბრალო ჯარისკაცი.

**ნასტი** — უარს ვამბობ.

**გეცი** — ნასტი!

**ნასტი** — რას მიზამს ერთი ზედმეტი ჯარისკაცი, როცა ყოველდღე ორმოცდაათს ვკარგავ.

**გეცი** — როცა მდიდარივით ამაყი მოვედი თქვენთან, თქვენ არ მიმიღეთ და სწორადაც მოიქეცით, რადგან იმ რწმენით ვიყავი მოსული, რომ გჭირდებოდით, დღეს კი მოვდივარ და გეუბნებით, თქვენ მჭირდებით-მეთქი. მე რომ ახლა გამავდო, ეს უსამართლობა იქნება, რადგან მათხოვრის გავდება უკადრისი საქციელია.

**ნასტი** — მე არ გავდებ. (*პაუზა.*) ერთი წელი და ერთი დღეა შენი ადგილი გელოდება. დაბრუნდი და ჯარს სათავეში ჩაუდექი.

**გეცი** — არა. (*პაუზა.*) მე ბრძანებებისათვის არ დავბადებულვარ. მე მსურს დაგემორჩილოთ.

**ნასტი** — ძალიან კარგი. მამ, გიბრძანებ, სათავეში ჩავგიდგე. დამემორჩილე!

**გეცი** — ნასტი, მზადა ვარ, სისხლი დავღვარო, სიცოცხლესაც დავთმობ, თუ საჭირო იქნება, მაგრამ სხვას ველარ გავგზავნი სასიკვდილოდ. ამიერიდან ვიცი, რას ნიშნავს სიკვდილი. არაფერი არ არსებობს, ნასტი, არაფერი. მხოლოდ ერთი სიცოცხლე გვაქვს, რომლის მიღმაც არაფერია.

**ჰილდა** — გეც, გაჩუმდი.

**გეცი** — (*ჰილდას.*) კარგი (*ნასტის.*) ვინც სათავეში დგას, მარტოსულია. მე კი ყველგან ხალხი მინდა: ჩემს გარშემო, ჩემს ზემოთ, ცა რომ გადამიფაროს. ნასტი, ნება დამრთე, ერთი უბრალო მებრძოლი ვიყო.



**ნასტი** — ასეც იქნება. რა გგონია, მხედართმთავარი ჯარისკაცზე მეტი ღირს? თუ უფროსობაზე უარს ამბობ, ნადი.

**ჰილდა** — (გეტს.) დათანხმდი.

**გეცი** — არა, 36 წელიწადი მარტოობაც მეყოფა.

**ჰილდა** — მე შენთან ვიქნები.

**გეცი** — მე და შენ ერთნი ვართ. ჩვენ ერთად ვიქნებით მარტონი.

**ჰილდა** — (ხმადაბლა.) თუ უბრალო ჯარისკაცი იქნები, სხვებსაც ეტყვი, რომ ღმერთი მოკვდა?

**გეცი** — არა.

**ჰილდა** — ხომ ხედავ?

**გეცი** — რას ვხედავ?

**ჰილდა** — მათი ტოლი არასოდეს იქნები, არც უკეთესი და არც უარესი, სხვა იქნები. თუ ერთმანეთში შეთანხმდებით, ეს გაუგებრობა იქნება.

**გეცი** — მე ღმერთი მოკვალი, რადგან ადამიანებს მაშორებდა. მაგრამ ღმერთის სიკვდილმა კიდევ უფრო გამიძლიერა მარტოობა. ვერ ავიტან, რომ ამ ვეება გვამმა ადამიანური ურთიერთობანი მომიწამლოს. ყველაფერსაც ვიტყვი, თუ საჭირო გახდება.

**ჰილდა** — გაქვს კი იმის ნება, წაართვა ხალხს სასოება?

**გეცი** — ერთბაშად არ ვეტყვი, ერთი წელი მოვითმენ.

**ჰილდა** — (იციინის.) ერთ წელიწადში ცოცხლები აღარ ვიქნებით.

**გეცი** — თუ ღმერთი არ არის, რატომ ვარ მარტო, მე ხომ ყველასთან ერთად მინდა ცხოვრება?

*შემოდის გლეხები და ჯადოქარს წინ უბიძგებენ.*

**ჯადოქარი ქალი** — გეფიცებით, აღარაფერი დაგიშავდებათ. ამ ხელით თუ შეგეხებით, არაფერი გაგეკარებათ.

**გლეხები** — დაგიჯვრებთ, თუ ნასტი დაგვთანხმდება, რომ პირველს მას შეეხო.

*ჯადოქარი ნასტის უახლოვდება.*

**ნასტი** — ეშმაკსაც ნაულისარ, მომწყდი თავიდან!

**ჯადოქარი ქალი** — (ჩუმი ხმით.) კარლმა გამომგზავნა. თუ ნებას არ მომცემ, ყველაფერი ჩაგეფუშება.

**ნასტი** — (ხმამაღლა.) კარგი, ოღონდ ჩქარა მოათავე.

*ჯადოქარი ხელით ეხება თითოეულს. გლეხები ტაშს უკრავენ.*

**ერთი გლეხი** — ბერსაც შეეხე.

**გეცი** — მომამორეთ ეს დედაკაცი!

**ჰილდა** — (ნაზად.) გეც!

**გეცი** — შემეხე, ლამაზო, მაგრად შემეხე. (ჯადოქარი ხელს უსვამს.)

**ნასტი** — (გაბრაზებული.) გაეთრიეთ! (ყველანი გადიან.)

**გეცი** — ნასტი, ასე დაეცი?

**ნასტი** — ჰო.

**გეცი** — მაშ, შენც გეზიზღება ისინი?

**ნასტი** — მხოლოდ ჩემი თავი მეზიზღება. (პაუზა.) გაგიგია, ამაზე საშინელი მასხარაობა. მე, ვისაც ტყუილი მეჯავრება, ვატყუებ ჩემს ძმებს, რომ გაბედულება შევმატო ერთმანეთის საუღელტადა, არადა, როგორ მძაგს ომი!

**გეცი** — ეშმაკმა დალახვროს, ჰილდა, ეს კაცი ჩემსავით მარტოსულია.

**ნასტი** — უფრო მეტადაც. შენ ყოველთვის მარტო იყავი, მე კი ასი ათასთან ერთად ვცხოვრობდი, ახლა კი სულ მარტო დავრჩი. მე არც მარტოობა ვიცოდდი, რა იყო, და არც სიმძიმელი, ახლა კი უძღური ვარ ორივეს წინაშე.

*შემოდის ჯარისკაცი.*

**ჯარისკაცი** — მეთაურებს შენთან საუბარი სურთ.

**ნასტი** — შემოვიდნენ. (გეტს.) ალბათ იმის სათქმელად არიან მოსულები, რომ ჯარმა ჩვენი ნდობა დაკარგა და მორჩილებაზე უარს აცხადებს.

**გეცი** — არა. (ნასტი მას უყურებს.) ტანჯვა, კაემანი, სინდისის ქენჯნა, დაე, ჩემთან დარჩეს, მაგრამ თუ შენც იტანჯები, ეს იმას ნიშნავს, ბოლო სანთელიც ჩამქრალა და ყოველივე ბნელმა მოიცვა. ვკისრულობ ჯარის სარდლობას.

*შემოდის მეთაურები და კარლი.*

**მეთაური** — ნასტი, ომი უნდა დამთავრდეს, ჩემი ხალხი...

**ნასტი** — სიტყვას რომ მოგცემ, მაშინ ილაპარაკე. (პაუზა.) გაცნობებთ ახალ ამბავს, რომელიც გამარჯვების ტოლფასია. გერმანიის ყველაზე სახელოვანი მხედართმთავარი სათავეში ჩაუდგება ჩვენს ლაშქარს.

**უფროსი** — ეს ბერი?

**გეცი** — ყველაფერი ვარ ბერის გარდა!

*კაპიუშონს გადაიგდებს და ჯარისკაცად წარუდგება ყველას.*

**მეთაურები** — გეცი!

**კარლი** — გეცია, ეშმაკმა დალახვროს!

**მეორე მეთაური** — გეცი, ეს უკვე სხვა საქმეა.



**სხვა მეთაური** — ამით რა იცვლება? არაფერი. ეგ ხომ მოლაღატა. ისეთ ხაფანგში გაგვაბამს, არასოდეს დაგვავეინყდება.

**გეცი** — მომიახლოვდი. ნასტიმ უფროსად და მხედართმთავრად დამასახელა. მემორჩილები?

**მეთაური** — მირჩევნია, ჩავძაღლდე.

**გეცი** — მაშ, ჩაძაღლდი, ჩემო ძმაო! *(ხანჯალს უყრის.)* თქვენ კი მისმინეთ. მხედართმთავრობას ჩემი ნების წინააღმდეგ დავთანხმდი, მაგრამ რაკი ვიკისრე, იოლად აღარ დავთმოზ. დამიჯერეთ, ომის მოგების ერთი შანსიც თუ არსებობს, მე მას მოვიგებ. სასწრაფოდ გამოაცხადეთ: ყოველ ჯარისკაცს, ვინც გაქცევას ეცდება, სახრჩობელა ელის. დღესვე, ამ საღამოსვე წარმომიდგინეთ ჯარის, იარაღისა და სასურსათო მომარაგების სრული აღწერილობა, ყველაფერზე თქვენ აგებთ პასუხს. გამარჯვებას მაშინ ვირწმუნებთ, როცა ჯარისკაცებს ჩემი უფრო შეეშინდებათ, ვიდრე მტრისა. *(ხალხს რაღაცის თქმა უნდა.)* არც ერთი სიტყვა. ჩემს გეგმებს ხვალ გაგაცნობთ. *(ყველა გადის. გეცი ფეხს გაჰკრავს გვამს.)* ესეც ასე. ადამიანის მეუფება იწყება. კარგი დასაწყისია. ნავიდეთ ნასტი. ამიერიდან ჯალათი და ყასაბი უნდა ვიყო.

*წამიერად შეტორტმანდება.*

**ნასტი** — *(მხარზე ხელს ადებს.)* გეცი...

**გეცი** — ნუ გეშინია. უკან არ დავიხევ. შიშის ზარს დავცემ ყველას, რადგან მათი შეყვარების სხვა საშუალება არ გამაჩნია. მხოლოდ ბრძანებების ენით დაველაპარაკები, რადგან მათი დამორჩილების სხვა საშუალება არ გამაჩნია. მე მარტო ვიქნები და ჩემს თავზემთ მხოლოდ ცარიელი ცა იქნება, რადგან ყველასთან ერთად ყოფნის სხვა საშუალება არ გამაჩნია. ახლა ომია და მეც ვიომებ.

ფარდა